ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 თებერვალი ოთხშაბათი 2010
№ 038 (13 026) ფასი 60 თეთრი

ლელოს სპეციალური კორესპონდენტები თენგიზ გაჩეჩილაძე და კახა ბერიძე ვანკუვერიდან



## რა, ნოდარის გამოუცდელობა მანამდე ვერ შენიშნეს?!

ინტერვიუ ირაკლი ჯაფარიძესთან >> გვერდი 2

სკანდალის კვალდაკვალ

# ვიცი, რა მიზანიც აქვთ...



ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტისა და პროფლიგის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ბოლნისის „სიონისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ შეხვედრის გარიგებულად გამოცხადების თაობაზე, სკანდალური გაგრძელება აქვს. ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით კირკიტაძე, რომლის პატრონობითაც რეგიონის ორი გუნდი, რუსთავის „ოლიმპი“ და ბოლნისის „სიონი“, დაშლას გადაურჩა, ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას „აბსურდულსა და სასაცილოს“ უწოდებს. ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, ცხინვალის „სპარტაკში“ კი მომხდარს ისეთი რეაქცია მოჰყვა, რასაც ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ამ ყველაფერს „სპარტაკის“ ვიცე-პრეზიდენტ მურთაზ შელიასთან ინტერვიუდან შეიტყობთ...

ინტერვიუ მურთაზ შელიასთან

>> გვერდი 4

## რუნიმ სან სირო ორჯერ დახვრიტა



უეინ რუნის ამ დარტყმის შემდეგ ანგარიში 1:2 გახდა

## რეალის ლიონური სინდრომი

>> გვერდი 8



ტიმ ლეინი

## ესპანეთთან რთული თამაში გვექნება

## რუსეთთან მატჩზე წამსვლელთა საყურადღებოდ...

პრესკონფერენცია >> გვერდი 13



ირაკლი ჯაფარიძე

● ინტერვიუ

## ირაკლი ჯაფარიძე

# რა, ნოდარის გამოუცდელობა მანამდე ვერ შენიშნეს?!

### ქართული მისიის ხელმძღვანელი მიიჩნევს, საერთაშორისო ფედერაცია და ოლიმპიადის ორგანიზატორები პასუხისმგებლობას გაურბიან

ოლიმპიური თამაშები საყოველთაო ზეიმია და ეს განსაკუთრებით იგრძნობა მასპინძელ ქვეყანაში, მით უფრო, იმ ქალაქში, სადაც ეს უდიდესი სპორტული ფორუმი ტარდება. რა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისი არც ვანკუვერია, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ქალაქში ისეთი საყოველთაო აჟიოტაჟი არ შეინიშნება, როგორიც წინამორბედ ოლიმპიადებზე გვინახავს. ერთადერთი, რასაც ყველგან წაიკითხავთ და ყველგან გაისმის, ეს არის - GO CANADA GO.

შედარებით წყნარი ცხოვრებით ცხოვრობს ოლიმპიური სოფელიც. აშკარაა, რომ დელეგაციებს შორის ურთიერთობები მისალმება-მოკითხვას, კვებისა და სპორტულ ობიექტებზე შეხვედრების ფარგლებს არ სცილდება.

შეკითხვაზე, აქვს თუ არა ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დელეგაციას ვინმესთან გამორჩეული ურთიერთობა, ჩვენი გუნდის მისიის ხელმძღვანელმა ირაკლი ჯაფარიძემ გვიპასუხა, რომ ამის ინიციატივა არავის გამოუჩენია. ასეთი რამ წინასწარ არ იგეგმება, ბუნებრივად ხდება ხოლმე... ერთადერთი, რაც დაგეგმილია, ეს არის დელეგაციათა ფორმალური შეხვედრები ოლიმპიური სოფლის მერთან, რომელიც სამახსოვრო საჩუქრების გაცვლით მთავრდება. ასეთი შეხვედრა ჩვენ გრაფიკით 16 თებერვალს გვქონდა. მერმა, ცხადია, მოგვისამძიმრა მომხდარი ტრაგედიის გამო...

**- ბატონო ირაკლი, რაიმე ცვლილება ხომ არ არის მოახლოებული სტარტების წინ ქართველი სპორტსმენების მზადებაში?**

- ვარჯიშები გეგმურად მიმდინარეობს. იცით, რომ პირველი ჩვენებიდან ოლიმპიურ სტარტზე ჯაფარიძე-რიდის წყვილი გამოვა. მერე ასპარეზობაში სამთო-მოთხილამურეები ჩაებმებიან. 23 და 25 თებერვალს კი ყინულის სარბიელზე ელენე გედევანიშვილი გამოვა.

**- საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ტრასაზე დატრიალებული ტრაგედია ჩვენი სპორტსმენის გამოუცდელობამ გამოიწვია...**

- ეს იყო მცდელობა, საერთაშორისო ფედერაციას და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინათ. სპორტსმენის კვალიფიკაცია და გამოუცდელობა არაფერ შუაშია. თუ ასეა, პირველი საკონტროლო დაშვებისას ნოდარმა მე-12 შედეგი როგორ აჩვენა?! სპეციალისტები წინადღესაც ხომ ადევნებდნენ თვალს?! რა, მისი გამოუცდელობა ვერ შენიშნეს?! ანდა, რატომ ატყდა ასეთი ხმაური ტრასის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს, ნაკლი ხომ გამოასწორეს და სწორედ ტრაგედიის შემდეგ აამაღლეს დამცავი კედელი.

**- ევროპის ჩემპიონატში ელენე გედევანიშვილის წარმატებული გამოსვლის შემდეგ როგორია სპეციალისტთა პროგნოზი?**

- რა თქმა უნდა, ელენეს წინსვლას სპეციალისტები ლოგიკურად მიიჩნევენ და როგორც მზარდი სპორტსმენისგან, მომავალში გაცილებით მაღალ შედეგებს მოელიან.

**- ამ ოლიმპიადაზეც?**

- არა, ასე არ აკონკრეტებენ.

**- პირადად თქვენ რას ფიქრობთ, როგორც გამოცდილი სპეციალისტი და საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტი?**

- მე რასაც უნდა ვფიქრობდე, ალბათ ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, მაგრამ ოლიმპიური სტარტის წინ ელენეს შედეგის პროგნოზირებისგან თავს შევიკავებდი.

**- როგორც ვიცით, ელენეს ვანკუვერში ჩამოსვლა 19 თებერვალს იგეგმება. რატომ მაინცდამაინც 19-ში?**

- სხვადასხვა გათვლითა და ანალიზით, ასე ვამჯობინეთ. მთავარი კი ის არის, რომ ამერიკაში საგანგებო რეჟიმით ემზადება. აქ კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველდღიური ვარჯიშები დროში ლიმიტირებულია.

***დავამთავრეთ თუ არა საუბარი ირაკლი ჯაფარიძესთან, თბილისიდან ტელეფონის ზარი გაისმა. პირველი ქართველი ოლიმპიელი ქალი მზია ჯუღელი შეგვეხმიანა. როგორც ყველა - საქართველოში, ისიც შეძრული იყო ვანკუვერში მომხდარი უბედურებით და ჩვენი ქვეყნის ოლიმპიელთა სახელით მწუხარება გამოთქვა.***

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**კახა ბერიძე**
ვანკუვერიდან

---

გუნდური ჩათვლა

# ლიდერი ისევ შეიცვალა

ოლიმპიადის მეოთხე დღეს კიდევ ერთხელ შეიცვალა ლიდერი საერთოგუნდურ ჩათვლაში.

**დარიო კოლონიასა** და **დიდიე დეფაგოს** გუშინდელი წარმატებით შვეიცარიის გუნდი გუშინდელი დღის ტრიუმფატორი გახდა და ახლა უმაღლესი სინჯის მედლების რაოდენობით დაწინაურდა. ამ მაჩვენებლით მეორე-მეოთხე ადგილებს ამერიკა, სამხრეთი კორეა და საფრანგეთი იყოფენ.

აშშ კვლავინდებურად ლიდერია მედლების საერთო რაოდენობით, მეორე შედეგი აქვს გერმანიის ნაკრებს.

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 3 |
| 2. აშშ | 2 | 2 | 4 | 8 |
| 3. ს. კორეა | 2 | 1 | 0 | 3 |
| 4. საფრანგეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 5. გერმანია | 1 | 3 | 1 | 5 |
| 6. კანადა | 1 | 2 | 1 | 4 |
| 7. ჩინეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 8. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 9. ჰოლანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 9. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 9. შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 12. ნორვეგია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 13. იტალია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 14. იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 15. ავსტრალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 15. პოლონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 15. ესტონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 18. ავსტრია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 18. ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 18. რუსეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

**ჰოკეი**

**ქალები. A ჯგუფი**

**შვეიცარია–კანადა 1:10**

0:2, 1:3, 0:5

გოლები: 0:1 აპსი (კინგსბური, პაიპერი), 0:2 ვაილანკური (ჯონსტონი), 0:3 პაიპერი (ვიკენჰაიზერი), 0:4 აგოსტა (უორდი, ოულეტი), 0:5 აგოსტა (ოულეტი, ჰიფორდი), 1:5 ლეიმგრუბერი (ლემანი, ს. მარტი), 1:6 ჰიფორდი (ვიკენჰაიზერი), 1:7 უორდი, 1:8 პოულინი, 1:9 ჯონსტონი (ვაილანკური, კელარი), 1:10 ვიკენჰაიზერი (პაიპერი, აპსი.

**შვედეთი–სლოვაკეთი 6:2**

3:2, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 ვინბერგი (ჰოლმლოვი, ჰოლსტი), 1:1 ტურნაკოვა (ბაბონოვა, ჰერიშოვა), 2:1 რუნდკვისტი (ელიასონი, ჰოლმლოვი), 2:2 კუპკოვა (კულიკოვა, კაპუსტოვა), 3:2 ასერჰოლტი (მიურენი, ოსბრეგი), 4:2 ვინბერგი (ე. ანდერსონი), 5:2 ჰოლმლოვი (ჰოლსტი, გ. ანდერსონი), 6:2 ვინბერგი (ნორდინი).

**ციგაობა**

**ქალები. I და II ცდა**

1. ტატიანა ჰიუფნერი (გერ) - 1:23,241; 2. ნინა რაიტმაიერი (ავსტრია) - +0,050; 3. ნატალი ჰაიზენბერგერი (გერ) - +0,159; 4. ტატიანა ივანოვა (რუს) - +0,176; 5. ანკე ვიშნევსკი (გერ) - +0,229; 6. ალექსანდრა როდიონოვა (რუს) - +0,318.

---



სიგურებით სირბილი

# სკანდალური სპრინტი

სულ ცოტა დააკლდა მამაკაც სპრინტერთა შეჯიბრების სკანდალურად გაუქმებას. პირველ ცდის მიმდინარეობისას, ფავორიტთა ჯგუფის გამოსვლამდე ყინულზე პატარა ორმოები გაჩნდა და ასეთ პირობებში ასპარეზობა შეუძლებელი გახლდათ. ორგანიზატორებისთვის სამწუხაროდ, ყინულის ჩასასხმელი ორივე მანქანა მწყობრიდან გამოვიდა, მესამე კი იმ მომენტისთვის მზად არ იყო. ყინული პრაქტიკულად ხელით მოჰყავდათ წესრიგში.

მიუხედავად ამისა, ორგანიზატორებმა შეჯიბრების გაგრძელება ბრძანეს, მაგრამ დარჩენილმა ექვსმა წყვილმა კატეგორიული უარი განაცხადა არენაზე გასვლაზე. უფრო მეტიც, ჰოლანდიურმა მხარემ პირველი ათი წყვილის შედეგების გაუქმება და სპრინტის მეორე დღისთვის გადატანა მოითხოვა. საბოლოოდ, კონფლიქტი უშუალოდ მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა **იტავიო ჩინკვანტამ** მოაგვარა. მან სპორტსმენები და ოფიციალური პირები დააშოშმინა და ორი საათის შემდეგ, ყინული ასე თუ ისე მზად იყო ასპარეზობის გასაგრძელებლად.

ლიდერთა ჯგუფის გამოსვლა ლეგენდარულმა კანადელმა **ჯერემი ჯეზერსპუნმა** გახსნა. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს თასის ეტაპების 67-გზის გამარჯვებულს ოლიმპიადებზე ბედი არასდროს წყალობდა. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მან ერთადერთი ვერცხლი მიიღო 1998 წლის თამაშებზე. პირველ ცდაზე ჯეზერსპუნმა 35.09 წამი აჩვენა. ცხადი იყო, რომ ასეთი მოკრძალებული შედეგი საკმარისი არ იქნებოდა ოქროსთვის საბრძოლველად.

მართლაც, პირველი ნამდვილი ორიენტირი შემდეგ გარბენში დაფიქსირდა: კორეელმა **ტაი-ბუმ მომ** 34,92 წამი აჩვენა. ასევე 35 წამზე ნაკლები დრო მოანდომა დისტანციის გავლას იაპონელმა **იოძი კატომ**. ყველაზე დიდი სიურპრიზი შემდეგ გარბენში დაფიქსირდა, რომელშიც იაპონელი **იუ ოიკავა** და ფინელი **მიკა პოუტალა** გამოდიოდნენ. სკანდინაველმა არათუ მოიგო ეს გარბენი, არამედ 34,86 წამით პირველი ცდის გამარჯვებული გახდა.

ფინელს მეორე ცდისთვის დიდი მარაგი ჰქონდა და დისტანციის იმავე დროით გავლის შემთხვევაში ოქროს რეალური კანდიდატი ხდებოდა. ბოლოსწინა გარბენში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ჯეზერსპუნი და ტაი-ბუმ მო. ჯერემი 35.18-ით გამოეთიშა პრეტენდენტთა სიას, კორეელმა კი 34.90 წამი დააფიქსირა და სერიოზული განაცხადი გააკეთა გამარჯვებაზე.

პოუტალას კარგად ესმოდა, რომ ლიდერობის შესანარჩუნებლად ძალიან უნდა მოენდომებინა. ამიტომაც ბოლო ვირაჟისას ვა-ბანკზე წავიდა - შიდა ბილიკზე შესვლისას დიდი სიჩქარე აკრიფა, წაიფორხილა და სასწაულებრივ გადაურჩა წაქცევას. თუმცა მის მიერ ნაჩვენები დრო - 35.18 წამი წაგების ტოლფასი იყო - მეხუთე ადგილი. ტაი-ბუმ მოს დიდხანა არ სჯეროდა საკუთარი ბედნიერების, ისევე როგორც ვერცხლის პრიზიორ **კეიჰირო ნაგასიმას**.

**კაცები. 500 მ**

1. ტაი-ბუმ მო (ს. კორ) - 69,82; 2. კეიჰირო ნაგასიმა (იაპ) - +0,16; 3. იოძი კატო (იაპ) - +0,19; 4. კანსეოკ ლი (ს. კორ) - +0,22; 5. მიკა პოუტალა (ფინ) - +0,22; 6. იან სმიკენსი (ჰოლ) - +0,39... 9. ჯერემი უეზერსპუნი (კან) - +0,46... 20. სიმონ კუიპერსი (ჰოლ) - +1,51... 29. იან ბოსი (ჰოლ) - +2,44... 33. პეკა კოსკელა (ფინ) - +2,65...

**გია თვალაბეიშვილი**

---

ფიგურული სრიალი

# ბატონყმობა გადავარდა

სპორტული წყვილების დისციპლინაში დაემხო რუსეთის (სსრკ-ს) 46-წლიანი ჰეგემონია. 1964 წლიდან მოყოლებული, აქ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და რუსეთის წარმომადგენლები ადიოდნენ, მაგრამ ამჯერად მათ დათმეს პოზიციები, თანაც ისე, რომ საერთოდ უმედლოდ დაასრულეს ვანკუვერის ოლიმპიადა.

გუშინ ნამდვილი ფურორი მოახდინეს ჩინელმა მოციგურავეებმა. პირველ რიგში ეს **სუე შენისა** და **ჰონგბო ჟაოს** დუეტზე ითქმის. მათ თავიანთი ბრწყინვალე კარიერით დაიმსახურეს ოლიმპიური ოქრო. ჰონგბო ჟაოს სექტემბერში 37 წელი უსრულდება, სუე შენს ნოემბერში - 32 წელი. როგორც წესი, მოციგურავეები ამდენი ხანი არ "ცოცხლობენ". ამასთან, ეს წყვილი ერთგულებით არის ცნობილი. როცა ჟაომ სერიოზული ტრავმა მიიღო, შენისთვის ახალი პარტნიორის ძებნა დაიწყეს. ეს საკითხი მთავრობის დონეზე წყდებოდა. მაგრამ ქალმა მოციგურავემ კატეგორიული უარი განაცხადა. ასე დაბრუნდნენ ორწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები დიდ სპორტში და კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ თავისუფალი პროგრამა წააგეს თანამემამულეებთან - **კინ პანთან** და **ჟიან ტონგთან**, მაგრამ მოკლე პროგრამაში მოპოვებული გამარჯვება საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

**სპორტული წყვილები**

1. სუე შენი/ჰონგბო ჟაო (ჩინ) - 216,57; 2. კინ პანი/ჟიან ტონგი (ჩინ) - 213,31; 3. ალიონა სავჩენკო/რობინ შოლკოვი (გერ) - 210,60; 4. იუკო კავაგუტი/ალექსანდრ სმირნოვი (რუს) - 194,77; 5. დან ჟანგი/ჰაო ჟანგი (ჩინ) - 194,34; 6. ჯესიკა დუბი/ბრაის დევისონი (კან) - 187,11...:

**გია თვალაბეიშვილი**



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო-სათხილამურო სპორტი

# სხვა დიდიემ მოიგო

როგორც იქნა, მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა სამთო-სათხილამურო სპორტში. ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო სტარტის რამდენჯერმე გადადების შემდეგ, ტრასაზე მამაკაცები გავიდნენ, რომლებმაც სწრაფდაშვებაში გაარკვიეს გამარჯვებული.

ვინ ითვლებოდნენ მთავარ ფავორიტებად? რა თქმა უნდა, პირველ რიგში **მიხაელ ვალჰოფერსა** და **დიდიე კუშს** ასახელებდნენ, შემდეგ **აქსელ-ლუნდ სვინდალს** და კანადური პუბლიკის კერპ **მანუელ ოსბორნ-პარადის** ახსენებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ მოდიოდა სამთო-სათხილამურო სპორტში მეტად კოლორიტული პერსონაჟი **ბოდე მილერი**.

ფაქტია, რომ სპორტის ეს სახეობა ამერიკელის გარეშე მოსაწყენია. ბოდე არანორმალური ხასიათის ადამიანია, პრაქტიკულად არ ვარჯიშობს და საერთოდ გაურკვეველია, რით არის დაკავებული, სამაგიეროდ არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი გახლავთ.

ფავორიტთაგან პროგრამა სწორედ მან გახსნა. ამერიკელი ბევრს რისკავდა, დისტანციის პირველი ნაწილი ბრწყინვალედ გაიარა, მაგრამ ფინიშის სიახლოვეს ტემპს უკლო. მიუხედავად ამისა, ბოდეს დრო კარგა ხანი იყო სხვებისთვის ორიენტირი. მილერს აქამდე ორჯერ ჰქონდა მოპოვებული ოლიმპიური მედალი - 2002 წელს, სოლტ-ლეიკ-სიტიში მან ორი ვერცხლი მოიგო. ამჯერად ამერიკელი ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა, ვინაიდან დარჩენილი 15 სპორტსმენისგან მისი დროის გაუმჯობესება ორმა მოთხილამურემ მოახერხა.

პირველმა ეს სვინდალმა გააკეთა - სწორედ მან გახსნა უძლიერესთა ჯგუფის გამოსვლა. სკანდინაველმა არც ისე დამაჯერებლად დაიწყო და ბევრი შეცდომა დაუშვა. ბოლოს მან მაინც მოუგო მილერს სულ რალაც ორი მეასედი წამი.

თუმცა ნორვეგიელმა დიდხანს ვერ გაიხარა. მის შემდეგ ტრასაზე შვეიცარიელი **დიდიე დეფაგო** გავიდა, რომელმაც მთელი დისტანცია უშეცდომოდ გაიარა და ახალი ლიდერი გახდა.

დეფაგოს რამდენიმე ფავორიტი მიჰყვა, მაგრამ საუკეთესო სამეული აღარ შეცვლილა: ვალჰოფერმა სრული კრახი განიცადა, ოსბორნ-პარადიმ წამზე მეტი წააგო, იგივე ბედი ეწია **კარლო იანკას**. რჩებოდა დიდიე კუში. მან ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ფინალური ნაწილი სუსტად გაიარა და პოდიუმს გვერდით ჩაუქროლა.

ჩემპიონი დეფაგო გახდა, რომელმაც სვინდალის მსგავსად კარიერაში პირველად მოიპოვა ოლიმპიური მედალი.

32 წლის დეფაგო დიდი ხანია შედის სამთო-სათხილამურო სპორტის ელიტაში და ერთ-ერთ უნივერსალად ითვლება. თუმცა გუშინდელ წარმატებას ის მთელი 14 წელი ელოდა - 1996 წელს იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა. ამის შემდეგ იყო პირველობები და პოდიუმები მსოფლიოს თასის ეტაპებზე, მაგრამ დიდ სპორტულ ფორუმებზე მედალი დღემდე სანატრელი ჰქონდა.

■ ■ ■

მაშ ასე, აქამდე დაგეგმილი ოთხი რბოლიდან სამთო-სათხილამურო სპორტში მხოლოდ ერთი გაიმართა და ამინდმა კვლავ შეუქმნა პრობლემები ორგანიზატორებს. უხვთოვლიანობის გამო პარასკევისთვის გადაიდო სუპერკომბინაცია მამაკაცებს შორის. ამ დისციპლინაში მედლები პარასკევს უნდა გათამაშებულიყო.

ანალოგიური პრობლემები აქვთ ქალებს. მათი სწრაფდაშვება დღეს გაიმართება, სუპერკომბინაციაში შეჯიბრება კი ხუთშაბათისთვის არის დაგეგმილი.



**კაცები. სწრაფდაშვება.**

1. დიდიე დეფაგო (შვეიც) - 1:54,31; 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) - +0,07; 3. ბოდე მილერი (აშშ) - +0,09; 4. მარიო შაიბერი (ავსტრია) - +0,09; 5. ერიკ გუაი (კან) - +0,33; 6. დიდიე კუში (შვეიც) - +0,36... 10. მიხაელ ვალჰოფერი (ავსტრია) - +0,57; 11. კარლო იანკა (შვეიც) - +0,71... 17. მანუელ ოსბორნ-პარადი (კან) - +1,13; 18. ივიცა კოსტელიჩი (ხორ) - +1,18... 23. ამბროზი ჰოფმანი (შვეიც) - +1,73...

თხილამურებით რბოლა

# კალა და კოლონია



ვანკუვერში პირველი მედლები გაითამაშეს თხილამურებით მორბენლებმა. ქალები 10 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, კაცებმა კი 15-კილომეტრიან დისტანციაზე მოსინჯეს ძალები.

ქალებში მთავარ ფავორიტად პოლონელი **იუსტინა კოვალჩიკი** მიიჩნეოდა, რომელიც ბრწყინვალე სეზონს ატარებს და აბსოლუტურად ყველა ტურნირში დომინირებს. "ტურ დე სკის" პრესტიჟული სერიის გამარჯვებული და მსოფლიოს თასის ლიდერი ოლიმპიადის წინ კარგ ფორმას აჩვენებდა და ბუნებრივია, გუშინდელ რბოლაში მისი ერთადერთი მიზანი ოქროს მედალი იყო.

მეორე ფავორიტად ნორვეგიელი **მარიტ ბიორგენი** სახელდებოდა, რომელიც სეზონის სტარტზე ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა, შემდეგ კი მსოფლიოს თასის ეტაპებს ჩამოსცილდა და მხოლოდ საშინაო ტურნირებში მონაწილეობდა, ამიტომაც ნორვეგიელის ფორმაზე წინასწარ მსჯელობა შეუძლებელი იყო.

მაგრამ ოქროს მედლისთვის ბრძოლა სხვა ორმა მოთხილამურემ წარმართა. დიდხანს ლიდერობდა მოქმედი ჩემპიონი, ესტონელი **კრისტინა შმიგუნი**. საშუალედო ფინიშებზე მისი უპირატესობა 30 წამსაც კი აღწევდა. ერთადერთი, ვინც მას კონკურენცია გაუწია, შვედი **შარლოტა კალა** იყო. მან მოგვიანებით აილო სტარტი და თითქმის ესტონელის გრაფიკით მოძრაობდა. სკანდინაველმა განსაკუთრებით ტრასის ბოლო მონაკვეთზე მოუმატა, რისი წყალობითაც ფინიშზე 6 წამი მოუგო ლეგენდარულ ბალტიისპირელს და კარიერაში პირველად მოიგო ოლიმპიური მედალი, თანაც უმაღლესი სინჯის.

ბიორგენი მესამეზე გავიდა. მისი შესრულებით რაიმე განსაკუთრებული არ გვინახავს, არადა მოლოდინი დიდი იყო. რაც შეეხება კოვალჩიკს, ის მხოლოდ მეხუთე მივიდა ფინიშთან. პოლონური პრესა უკვე აკრიტიკებს იუსტინას იმისთვის, რომ არ ღირდა ოლიმპიადამდე ძალების მაქსიმალურად დაძაბვა და "ტურ დე სკიზე" გამარჯვება. ბუნებრივია, ახლა კოვალჩიკი რევანშის აღებას შეეცდება.

■ ■ ■

ამის შემდეგ ტრასა მამაკაცებს დაეთმოთ და აქ თითქმის ყველა პირველ ადგილს ნორვეგიელ **პეტერ ნორთუგს** უწინასწარმეტყველებდა, რომელიც წელს მსოფლიოს თასის ეტაპებზე დომინირებს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სკანდინაველმა ვერ აჩვენა თავისი დონე, გამარჯვებულთან ორ წუთზე მეტი წააგო და საბოლოოდ 41-ე ადგილზე გავიდა. ფავორიტის ასეთ ჩავარდნას თავად მოთხილამურემაც ვერ უპოვა ახსნა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ნორვეგიელს ნაგებას უწინასწარმეტყველებდნენ. ისინი ითვალისწინებდნენ "ტურ დე სკის" ბოლო ეტაპებზე პეტერის გამოსვლას, სადაც ნორვეგიელმა აშკარად უკლო შედეგებს, თუმცა ასეთ კრახს მაინც არავინ ელოდა.

ნორთუგი არ ყოფილა ერთადერთი ფავორიტი, ვისაც გუშინ ხელი მოეცარა. **ტობიას ანგერერის** გარდა, მთელმა გერმანიის ნაკრებმა ასევე ორი წუთი წააგო ჩემპიონთან. ანგერერი ათეულში მოხვდა, მაგრამ საპრიზო ადგილებზე პრეტენზია არ განუცხადებია.

ჩემპიონობაზე რეალური პრეტენდენტებიდან დისტანციაზე პირველი **პიეტრო პილერ-კოტრერი** გავიდა, რომელმაც შესანიშნავი დრო აჩვენა, მაგრამ მის უკან სამი ძლიერი მოთხილამურე ილებდა სტარტს, ამიტომაც იტალიელი ერთგვარად წამგებიან სიტუაციაში იმყოფებოდა.

ერთ-ერთი მდევარი გახლდათ შვეიცარიელი **დარიო კოლონია**, რომელიც იმ დღეს შეუჩერებელი იყო. მსოფლიოს თასის შარშანდელმა მფლობელმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს და ყველა საშუალედო ფინიშზე საუკეთესო დრო აჩვენა. კოლონიასთვის მიმდინარე სეზონი არც ისე კარგად დაიწყო, ვერც თავის საყვარელ "ტურ დე სკიზე" გამოიჩინა თავი, სამაგიეროდ ოლიმპიადას ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა, რაც გუშინდელმა რბოლამაც დაამტკიცა. საბოლოოდ შვეიცარიელმა 24 წამი მოუგო პილერ-კოტრერს. მესამეზე ჩეხი **ლუკაშ ბაუერი** ალმოჩნდა, რომელიც "ტურ დე სკის" მოქმედი ჩემპიონი გახლავთ.

**ქალები. 10 კმ. თავისუფალი**

1. შარლოტა კალა (შვედ) - 24:58,4; 2. კრისტინა შმიგუნი (ესტ) +6,6; 3. მარიტ ბიორგენი (ნორ) - +15,9; 4. ანა ჰააგი (შვედ) - +20,90; 5. იუსტინა კოვალჩიკი (პოლ) - +21,70; 6. რიიტა-ლიისა როპონენი (ფინ) - +25,90... 8. კრისტინ სტეირა (ნორ) - +52,10... 12. ევი ზახენბახერი (გერ) - +59,30... 15. აინო კასა საარინენი (ფინ) - +01:01,10... 17. საბინა ვალბუზა (იტა) - +01:07.40...

**კაცები. 15 კმ. თავისუფალი**

1. დარიო კოლონია (შვეიც) - 33:36,3; 2. პიეტრო პილერ-კოტრერი (იტა) - +24,6; 3. ლუკაშ ბაუერი (ჩეხ) - +35,7; 4. მარკუს ჰელნერი (შვედ) - +37,20; 5. ვენსან ვიტოზი (საფ) - +39,90; 6. მორის მანიფიუკა (საფ) - +51,10; 7. ტობიას ანგერერი (გერ) - +52,20... 10. ჯორჯო დი ჩენტა (იტა) - +59,90; 11. იოჰან ოლსონი (შვედ) - +01:03,00... 41. პეტერ ნორთუგი (ნორ) - +02:03,20... 44. აქსელ ტაიხმანი (გერ) - +02:10,70...

# დღის ჩემპიონები

**ციგურებით სირბილი. 500 მ. კაცები**

1. ტაი-ბუმ მო (ს. კორეა)
2. კეიჰირო ნაგასიმა (იაპონია)
3. იოძი კატო (იაპონია)

**ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები**

1. სუე შენი/ჰონგბო ჟაო (ჩინეთი)
2. კინ პანი/ჟიან ტონგი (ჩინეთი)
3. ალიონა სავჩენკო/რობინ შოლკოვი (გერმანია)

**სამთო-სათხილამურო. სწრაფდაშვება. კაცები**

1. დიდიე დეფაგო (შვეიცარია)
2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია)
3. ბოდე მილერი (აშშ)

**თხილამურებით რბოლა. 10 კმ. ქალები**

1. შარლოტა კალა (შვედეთი)
2. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი)
3. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია)

**თხილამურებით რბოლა. 15 კმ. კაცები**

1. დარიო კოლონია (შვეიცარია)
2. პიეტრო პილერ-კოტრერი (იტალია)
3. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)

**სნოუბორდი. სნოუბორდ-კროსი. კაცები**

1. სეტ უესკოტი (აშშ)
2. მაიკ რობერტსონი (კანადა)
3. ტონი რამუანი (საფრანგეთი)

ჰოკეი

# კანადა ფავორიტია

კანადის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ნორვეგიის ნაკრებთან პირველი მატჩისთვის შეტევითი ხაზი სამეულებად დაყო. მასპინძელთა გუნდის პირველი ტრიოს შემადგენლობაში მოხვდნენ ჰოკეის ეროვნული ლიგის მთავარი ვარსკვლავი **სიდნი კროსბი, რიკ ნეში** და **პატრის ბერჟერონი**.

სრულად ჰოკეის ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის შეტევითი სამეულები ასე გამოიყურება:

ნეში-კროსბი-ბერჟერონი
ე. სტაალი-გეტლაფი-პერი
ტეუვზი-მ. რიჩარდსი-იგინლა
ჰიტლი-ჯ. ტორნტონი-მარლო.

როგორც TSN იუწყება, პირველ ორ სამეულში რიკ ნეში და ერიკ სტაალი შეეცვლებიან ერთმანეთს. ასევე ცნობილია მცველების დუეტები:

ბოილი-პრონგერი
კეიტი-სიბრუკი
უებერი-ს. ნიდერმაიერი

სათადარიგო იქნება **დრიუ დაუტი**.

ამასობაში კანადის ნაკრების დამრიგებელმა **მაიკ ბებკოკმა** ძირითად მეკარეებს - **რობერტო ლუონგოსა** და **მარტინ ბროდოს** შორის ჯგუფური ეტაპის მატჩები გადაანაწილა.

მწვრთნელის გადაწყვეტილებით ნორვეგიასთან სასტარტო შეხვედრაში "ვანკუვერ კენაქსის" მეკარე ლუონგო ითამაშებს, შვეიცარიის წინაალმდეგ კი მასპინძელთა კარს ბროდო დაიცავს. ამ მატჩების შედეგების მიხედვით გახდება ცნობილი გოლკიპერი, რომელიც შაბათს ამერიკის ნაკრებს დაუპირისპირდება.

*"ჩვენ ასე გადავწყვიტეთ. რობერტო ადგილობრივ კლუბში თამაშობს და სამართლიანი იქნებოდა მისთვის პირველ მატჩში შანსის მიცემა. ბროდო ცოტას დაისვენებს და ხუთშაბათს შვეიცარიასთან ითამაშებს"*, - განაცხადა ბებკოკმა.

ნაკრების მესამე მეკარეს - **მარკ-ანდრე ფლერის** ჯერჯერობით მოედანზე გასვლის მცირე შანსი აქვს.

■ ■ ■

მამაკაცთა ჰოკეის ტურნირის სტარტამდე წამყვანმა საბუკმეიკერო კანტორებმა მთავარ ფავორიტად კანადის ნაკრები დაასახელეს.

ტოტალიზატორმა SkyBet-მა მასპინძელთა ჩემპიონობაზე 2.2 კოეფიციენტი დააწესა. მას მოჰყვება რუსეთის ნაკრები (3.6) და შემდეგ მოდიან - შვედეთი (6.0), აშშ (10.0), ფინეთი (12.0) და ჩეხეთი (19.0).

Bwin-ს ასეთი კოეფიციენტები აქვს გამოტანილი: კანადა - 2.1, რუსეთი - 3.05, შვედეთი - 6.5, აშშ - 9.0, ჩეხეთი - 18.0, ფინეთი - 21.0.

Ladbrokes-ის ბუკმეიკერები ფსონებს ფინალის სავარაუდო მონაწილეებზეც იღებენ. აქ ყველაზე დაბალი კოეფიციენტი აქვს კანადა-რუსეთის ფინალს - 2.62. შემდეგი შესაძლო ვარიანტებია: კანადა-შვედეთი - 4.0, კანადა-აშშ - 6.5, რუსეთი-შვედეთი - 9.0.

რაც შეეხება ტურნირის საუკეთესო ბომბარდირს, აქ მთავარ პრეტენდენტად რუსეთის ნაკრების ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი** მიიჩნევა. Bet365-მა რუსს 5.5 კოეფიციენტი დაუწერა. "ვაშინგტონის" ფორვარდის შემდეგ მოდიან: კანადელები - სიდნი კროსბი და **დენი ჰიტლი** (9.5-9.5) და კიდევ ერთი რუსი **ილია კოვალჩუკი** (10.5).

სნოუბორდი

# უესკოტის ზედიზედ მეორე

ასევე გუშინ გახსნეს ოლიმპიური პროგრამა სნოუბორდისტებმა. მამაკაცებმა მედლები გაითამაშეს სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთ ყველაზე სანახაობრივ დისციპლინაში - სკონბორდ-კროსში. აქ მარტივი წესები მოქმედებს - ტრასაზე ოთხი სნოუბორდისტი გადის და ბრძოლა გასწრებაზე მიმდინარეობს.

ფინალში გასული ოთხი სპორტსმენიდან ორი ამერიკელი იყო. მათგან ფავორიტად ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონი **სეტ უესკოტი** ითვლებოდა, რომელმაც ამჯერადაც დაამტკიცა მაღალი კლასი და ზედიზედ მეორე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.

მეორე ადგილზე კანადელი **მაიკ რობერტსონი** გავიდა, მესამე იყო ფრანგი **ტონი რეიმონი**.

**სნოუბორდ-კროსი. კაცები**

1. სეტ უესკოტი (აშშ); 2. მაიკ რობერტსონი (კან); 3. ტონი რამუანი (საფ); 4. ნეიტ ჰოლანდი (აშშ); 5. რობერტ ფაგანი (კან); 6. ლუკას გრიუნერი (ავსტრია)...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარი და ლოგიკა

16.02. რუსთავი. ფოლადი
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| სიონი | 0 |

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, ა. კვახაძე, ადამაძე, ჯაფარიძე - კორიფაძე (69. ჯანელიძე), რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, ვასაძე - ლიპარტია, ვ. კვარაცხელია.

სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, მაისაშვილი, გურეშიძე, ბერიაშვილი, დ. ლომაია, როსტიაშვილი.

სიონი: ბობლიაშვილი - კობაური, ქემოკლიძე, დიდავა, რაქვიაშვილი, - გ. მაისურაძე (23. სილაგავა), ლ. ნოზაძე, გ. დეკანოსიძე, ი. შენგელია - უგულავა (64. ისიანი), ლ. მელქაძე (82. უგრეხელიძე).

სათადარიგოები: ზუხბაია, გ. კვანტალიანი, ლ. მერებაშვილი, რუსეიშვილი.

გაფრთხილება: კორიფაძე (43), კვახაძე (62), დეკანოსიძე (75), დიდავა (81), კვარაცხელია (85)

გაძევება: კვარაცხელია (88)

არბიტრი: გ. ურუშაძე (ლანჩხუთი)

და აი, „ვიტ ჯორჯიასთვისაც" დაიწყო მეორე ეტაპი - ზედიზედ ორი გადადებული მატჩის შემდეგ, გუშინ, როგორც იქნა, მოქმედი ჩემპიონისთვისაც „დადგა შესაფერისი ამინდი". რაც მთავარია, თოვლი არ იყო, მაგრამ გუშინდელ კლიმატურ პირობებს იდეალურს ნამდვილად ვერ ვუწოდებდით. უფრო, პირიქით იყო - 90 წუთის განმავლობაში ფეხბურთელებს ძლიერი ქარის „თანხლებით" თამაშმა მოუწიათ. ეგ კი არა, მთელი შეხვედრის განმავლობაში არაერთხელ იყო, ცოტა არ იყოს, კურიოზული მომენტებიც, როცა ძლიერ ქარს სერიოზული „კორექტივებიც" შეჰქონდა თამაშში. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გუშინდელმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ჩემპიონატის მატჩების ვადების „გადახედვაზე" - თებერვალში ოფიციალური შეხვედრების დანიშვნა გაუმართლებლად მიგვაჩნია.

..."ვიტ ჯორჯია" ამ ეტაპისთვის თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით წარდგა; ყოველ შემთხვევაში, **გურამ ადამაძის, გიორგი კორიფაძისა** და **გურამ ვასაძის** ძირითადში გამოჩენა ნამდვილად არ გაგვკვირვებია - სამივე ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი „ვიტ ჯორჯიას" უკანასკნელ საკონტროლო მატჩებში ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა. ანუ არც „ვეტერინართა" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **გელა გომელაურმა** „გადაუხვია" კლუბის სტრატეგიას და ახალგაზრდა ფეხბურთელებს უდიდესი ნდობა გამოუცხადა. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ როგორც წესი, „ვიტ ჯორჯიაში" ძირითადი აქცენტი საკუთარ აღზრდილებზე კეთდება; რაც შეეხება „სიონს", წინა მატჩისგან განსხვავებით, **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდი მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით წარდგა: ტრავმებისგან განიკურნენ და გუნდს დაუბრუნდნენ წამყვანი ფეხბურთელები (**მინდია ბობლიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე, გივი დიდავა**). თუმცა, ერთი დანაკლისი ქვემოქართლელებს მაინც ჰქონდათ: **გიორგი მელქაძე** „სიონში" იჯარის წესით სწორედ „ვიტ ჯორჯიადან" გადავიდა და ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ჰქონდა.

...აი, კონკრეტულად მატჩი კი, სამწუხაროდ, დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. ზედმეტად „კრიტიკულები" ან არანაკლებ ზედმეტად „მომთხოვნები" რომ არ ვიყოთ, მოდი, ყველაფერი... ძლიერ ქარსა და თებერვლის სუსხს დავაბრალოთ; ამ „ყველაფერში" კი, რაღა თქმა უნდა, ორივე გუნდის ფეხბურთელთა მოქმედებებში არსებულ უამრავ წუნს ვგულისხმობთ. სწორედაც ამიტომაც იყო, სახიფათო მომენტები (განსაკუთრებით - პირველ ტაიმში) იშვიათობას რომ წარმოადგენდა. თავად განსაჯეთ: „ვიტ ჯორჯიას" მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი** პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, თამაშში არც ჩართულა. სამაგიეროდ, მის კოლეგა მინდია ბობლიაშვილს რამდენჯერმე მოუხდა საკუთარი ოსტატობის დემონსტრირება: მატჩის დასაწყისში, ერთწუთიან ინტერვალში ჯერ გიორგი ვასაძის დარტყმა მოიგერია, მერე კი **ლაშა ჯაფარიძეს** არ დაანება გოლის გატანა. პირობით მასპინძელ „ვიტ ჯორჯიას" პირველ ტაიმში კიდევ ერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ჰქონდა, მაგრამ **ჯაბა ლიპარტიას** „სტანდარტული" მიზანს ოდნავ აცდა. სხვათა შორის, ლიპარტია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო გუშინდელ შეხვედრაში, თუმცა მისი აქტიურობა საკმარისი არ აღმოჩნდა.

მეორე ტაიმის საწყისი 20 წუთის განმავლობაში მოედანზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: „სიონი" მეტოქესთან შედარებით აქტიურად გამოიყურებოდა და ერთ ეპიზოდში **ირაკლი შენგელიასა** და **ლევან მელქაძეს** მეტოქის საჯარიმოში უფრო მეტი აგრესიულობა რომ გამოემჟღავნებინათ, რეალურ საგოლე მომენტსაც ვნახავდით. ბოლნისელებს მატჩის დარჩენილ დროშიც არ დაეწუნებოდათ მონდომება, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახიფათო მომენტებამდე საქმე ვერ მიჰყავდათ; სამაგიეროდ, „ვიტ ჯორჯია" მწვავე „ჩხვლეტებით" პასუხობდა და ორი კარგი შანსიც გაანიავა. განსაკუთრებით ის ეპიზოდი იყო საინტერესო, როცა ცენტრალურმა მცველმა გურამ ადამაძემ გრძელი რეიდი წამოიწყო, შემდეგ შეტევა ჯაბა ლიპარტიამ და გიორგი კორიფაძემ გააგრძელეს და ბოლოს ისე მოხდა, რომ სტუმართა მეკარის წინ... ადამაძე აღმოჩნდა მარტოდმარტო - „ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდა მცველის თავური დარტყმა არაზუსტი გამოდგა. მეორე მომენტი კი „ვეტერინართა" საუკეთესო ბომბარდირს **ვახტანგ კვარაცხელიას** შეექმნა, მაგრამ მასპინძელთა ცენტრფორვარდის დარტყმა მინდია ბობლიაშვილმა მოიგერია. სხვათა შორის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი მატჩის მიწურულს კვლავ ყურადღების ცენტრში მოქცა; ოღონდ, ამჯერად, აშკარად უარყოფითი „ნიშნით" - დროის საკმაოდ მოკლე ინტერვალში კვარაცხელიამ ორი ყვითელი ბარათი მიიღო (ორივე - უწყინარ სიტუაციაში) და მოედნიდან გააძევეს...

...შეხვედრის დასრულებამდე ოთხიოდე წუთი რჩებოდა, ბობლიაშვილმა ბურთი თამაშში რომ შეიყვანა; ერთი მხრივ, მასპინძელთა მცველების შეუთანხმებლობა, მეორე მხრივ... ძლიერი ქარი და ისე მოხდა, რომ „სიონის" მეკარე ლამის საგოლე პასის ავტორად მოგვევლინა. ყოველ შემთხვევაში, შეცვლაზე შემოსული **ვლადიმერ უგრეხელიძე** „ვიტ ჯორჯიას" მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთს ფეხი ვერ მიარტყა. საბოლოო ჯამში კი, ალბათ, მაინც ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა - ვერც ერთ გუნდზე ითქმოდა, ამ შეხვედრაში გამარჯვებას იმსახურებდაო...

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-13 | 45 |
| 2. ზესტაფონი | 20 | 12 | 6 | 2 | 35-18 | 42 |
| 3. დინამო | 19 | 10 | 5 | 4 | 33-12 | 35 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 19 | 9 | 7 | 3 | 26-18 | 34 |
| 5. სპარტაკი | 20 | 8 | 5 | 7 | 28-30 | 29 |
| 6. სამტრედია | 19 | 6 | 4 | 9 | 26-38 | 22 |
| 7. სიონი | 20 | 3 | 9 | 8 | 12-26 | 18 |
| 8. გაგრა | 19 | 3 | 5 | 12 | 19-34 | 14 |
| 9. ბაია | 19 | 3 | 3 | 13 | 15-29 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 19 | 1 | 7 | 11 | 7-24 | 10 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკიეო (ოლიმპი) | 18 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |
| გაბედავა (გაგრა) | 10 |

*შენიშვნა: ცხრილში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის „სიონი"-"სპარტაკის" მატჩთან დაკავშირებული პფლ-ის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება.*

## დღეს

**ბაია-ლოკომოტივი**
17.02. ზუგდიდი. ცენტრალური
14:00
წინა მატჩები: 2:1, 0:0
დისკვალიფიკაცია: არავინ

**ოლიმპი-სამტრედია**
17.02. რუსთავი. ფოლადი
14:00
წინა მატჩები: 5:0, 4:0
დისკვალიფიკაცია: ზ. ხაჭიპერიძე (ს)

**დინამო-სპარტაკი**
17.02. თბილისი. ეროვნული
18:00
წინა მატჩები: 5:0, 1:1
დისკვალიფიკაცია: ბოიომო (ს)

**ზესტაფონი-გაგრა**
17.02. ზესტაფონი. ცენტრალური
18:30
წინა მატჩები: 1:0, 1:0
დისკვალიფიკაცია: დაუშვილი (ზ), გ. ტყეშელაშვილი (გ)

**მომდევნო ტური**

**20 თებერვალი, შაბათი**
დინამო-ვიტ ჯორჯია

**21 თებერვალი, კვირა**
სამტრედია-ბაია
გაგრა-ოლიმპი
სიონი-ზესტაფონი
სპარტაკი-ლოკომოტივი

სკანდალის კვალდაკვალ

## მურთაზ შელია
# ამ ყველაფერს სხვა მიზანი აქვს, სპარტაკი და სიონი მხოლოდ ფონის შესაქმნელად გაწირეს
## სკანდალური სხდომის შედეგები. ხაჩიძე სპარტაკიდან მიდის, სანაკოევიც?

« პირველი გვერდიდან

**- გულახდილად ვილაპარაკოთ. როცა გუნდს ასეთ ბრალდებას წაუყენებენ, როგორც მინიმუმ, იმიჯი უფუჭდება...**

- მთელი სერიოზულობით ვაცხადებ, რომ ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და თამაშების ყიდვა დავიწყეთ. იმდენი ფული გვაქვს, არც ვიცით, სად და რაში დავხარჯოთ. ჰოდა, მოწინააღმდეგეს ვერ მოვიმადლიერებთ?! რაზეა ლაპარაკი?!

**- ხუმრობა კარგია, მაგრამ კლუბი სერიოზულად დასაჯეს...**

- არ მაინტერესებს იმ ხალხის აზრი, ვინც ჩემპიონატის მატჩებს არ ესწრება და ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვილაცებს სამომავლოდ ქულების დაწერა სურდათ და ამ სურვილს ჩვენ გადაგვაყოლეს. წავიდეთ მე და თქვენ საქართველოს ჩემპიონატის იმ შეხვედრაზე, რომელშიც „სპარტაკის" კონკურენტი თამაშობს. ორი აზრი არ არის - თამაში არ მომეწონება და ვიტყვი, ესენი უემოციოდ თამაშობენ, ჩაწყობილი მატჩია-მეთქი და ამის საფუძველზე კლუბს დასჯიან. და სწორი იქნება ეს? არ იქნება მაგარი აბსურდი? რაიმე არგუმენტი გააჩნიათ, გარიგება რომ დაამტკიცონ? მომხდარმა ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ვოვა ხაჩიძე იმდენად აალელვა, წასვლას აპირებს - ასეთი შეურაცხყოფილი ცხოვრებაში არ ვყოფილვარო. რაში სჭირდებოდა თამაშის ყიდვა ცხინვალის „სპარტაკს", რომელიც უმაღლესი ლიგიდან არ გავარდება და არც ევროთასებზე მოხვედრის შანსი აქვს?! ამიხსნას ვინმემ ეს და ავწევ ხელებს. თანაც, თამაშს ვყიდულობ გუნდისგან, რომელიც აუტსაიდერებშია და ქულები თავად სჭირდება. იქნებ, ვინმემ იპოვოს ამაში ლოგიკა. დამნაშავე არასდროს იტყვის, რომ დამნაშავეა, მაგრამ მე ნამდვილად არ მსურს სიბინძურეში მონაწილეობა და ტყუილად ნუ დაგვაბრალებენ.

**- წელან ახსენეთ, ხაჩიძე გუნდიდან წასვლას აპირებსო. ჩვენ გვითხრეს, რომ დღევანდელ ვარჯიშზე არ მოსულა „სპარტაკის" პრეზიდენტი და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი. ის იმედგაცრუებულია და შესაძლოა, კლუბის დაფინანსებაზე უარი თქვასო...**

- გამორიცხული არ არის. კაცმა ასეთი მადლი გააკეთა, ამდენი ქართველი დაასაქმა და ასე ვუხდით მადლობას? მას თავისუფლად შეეძლო, გამოყოფილი თანხები სულ სხვა მიმართულებით გამოეყენებინა, მაგრამ ქართული ფეხბურთის სამსახური ამჯობინა. აფხაზეთის მთავრობას სამჯერ მეტი დაფინანსება აქვს და გუნდს მაინც ვერ ინახავს. თუ ქართული ფეხბურთის გადარჩენა ასე წარმოგვიდგენია, ყოჩაღ ჩვენ!

**- არავინ იტყვის, რომ ჩაწყობილ მატჩში მონაწილეობდა. არსებობს გარკვეული საფუძველი - სადისციპლინო კომიტეტის წევრ თემურ ღლონიძის თქმით, ფეხბურთელებს ემოცია არ ეტყობოდათ...**

- ეს „ლელოში" მეც წავიკითხე - ფეხბურთელთა დანაშაული იკვეთებაო. ამ ბავშვებს რაღას ერჩიან, ასე ტყუილად რომ ადანაშაულებენ?

**- თუმცა გარკვეული ლოგიკაც არსებობს - მოთამაშემ გოლის ან გამარჯვების სიხარული არ უნდა გამოხატოს?**

- აქ გოლზე კი არა, ჩემპიონობაზეც არ გამოხატავენ ემოციებს. ეს არ არის ინგლისი ან იტალია და რა გვიკვირს? გოლს ტრიბუნაზე ავარდნით არ აღნიშნავენ, მაისურას არ იხდიან და ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ თამაში ჩაწყობილია?! მე „სპარტაკში" ფულის საკეთებლად არ მივსულვარ, ფინანსურად არ მიჭირდა, მაგრამ ქართული ფეხბურთის გასაჭირს გვერდიდან ვერ ვუყურებდი და ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენა მსურდა, ისევე, როგორც დიმიტრი სანაკოევს. ჩემზე უკეთ ვინ იცის, რომ ამ ყველაფერს სხვა მიზანი აქვს, „სპარტაკი" და „სიონი" მხოლოდ ფონის შესაქმნელად გაწირეს.

**- მოდით, ნუ ვიკამათებთ იმაზე, რომ ქართულ ფეხბურთში ბევრი სიბინძურეა...**

- ...და რაღა მურთაზ შელიასა და ცხინვალის „სპარტაკს" მიახტნენ? იმიტომ დავიწყე ფეხბურთში მუშაობა, რომ ეს საქმე მიყვარს და მჯერა, ჩვენი თაობა ამ სფეროში წესიერებასა და წესრიგს დაამყარებდა. ბევრი რამ გამოგვდის, ბევრიც - ვერა, მაგრამ მე კარგს ვცდილობ და ამის პასუხად ტალახს ვერ მოვითმენ. ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებ და მანამდე ვერ მოვისვენებ, სანამ არ იტყვიან, რომ ცილი დაგვწამეს. მეც არ მგონია, რომ „სპარტაკი" იდეალურად თამაშობს, არ გვყავს მაღალი დონის შემსრულებლები, მაგრამ ამის გამო გარიგებაში მონაწილეობა უნდა დაგვაბრალონ? გადახედეთ, ტრიბუნები ცარიელია, საშინელი ამინდებია და ასეთ დროს ფეხბურთელს როგორ მოვთხოვო განსაკუთრებული ემოცია?!

**- თქვენი აზრით, როგორ უნდა გამოაშკარავდეს მატჩის ჩაწყობა?**

- (იცინის) საქართველოში თამაშის ჩაწყობა რა საჭიროა? ფულიანი გუნდების ფეხბურთელები დარბიან, უფულოებისა ვერ დარბიან და შედეგიც წინასწარაა გარკვეული. გუშინ გამწარებული ვიყავი, დღეს ცოტათი ხასიათზე მოვედი და მეგობარი მეხუმრებოდა - ჩვენთან ხომ ფიზიკური მომზადება დაბალ დონეზეაო? ასეა-მეთქი, ვუპასუხე. მერე? სირბილის დროს ფეხბურთელებს ენები აქვთ გადმოყრილი და ემოციებს როგორღა გამოხატავენო? ასეთ სტადიონებზე, უმაყურებლოდ, უხალისოდ, ათასი პრობლემით მიდიან სათამაშოდ და მართლაც არ აქვთ ის ემოცია, რომელიც ფეხბურთელებს უნდა ჰქონდეთ. ამიტომაც გარბიან უცხოეთში, თუნდაც, ბანგლადეშის ჩემპიონატი იყოს... ამის მიზეზი ჩაწყობილი თამაში კი არ არის, უბრალოდ, აქ თამაში არ ეხალისებათ.


მურთაზ შელია

**- გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით, სარჩელს როდის შეიტანთ?**

- თბილისის „დინამოსთან" მატჩის შემდეგ მოვიცლით...

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი



# ჟონატასი ბრუნდება?

## კირკიტაძემ მოაგვარა: პარანენსეს ძირითადიდან ოთხი მოთამაშე ზაფხულში!

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის რუსთავის „ოლიმპი" არა ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა, მაგრამ მათ შორის არ არიან ბრაზილიელები, რომლებზეც თავის დროზე ბევრს ლაპარაკობდნენ.

ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ „ბრაზილიური პროექტი" ჩაიშალა. ამაზე გარკვეულწილად ისიც მიუთითებდა, რომ პროექტის ინიციატორებმა „ატლეტიკო პარანენსესთან" თანამშრომლობა მინსკის „დინამოს" შესთავაზეს. თუმცა ჩვენი ინფორმაციით, საქმე ცოტა სხვაგვარადაა - კლუბის მესვეურებმა უარი თქვეს ისეთ ფეხბურთელებზე, რომლებიც კლასით ბევრად ვერ აღემატებიან ადგილობრივ მოთამაშეებს, ხოლო მოტივაციის ნაკლებობის გამო, უფერულად გამოიყურებოდნენ. რუსთავის „ოლიმპი" არ არის „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელსაც ზედმეტი ფული შეიძლება ჰქონდეს.

ერთი სიტყვით, ბრაზილიელთა დიდი ნაწილი გუნდიდან დაითხოვეს - სეზონის დასაწყისში დამატებული 6 სამხრეთამერიკელიდან, ამჟამად „ოლიმპში" მხოლოდ ცენტრალური მცველი **ალექს ფრაგა** და პლეიმეიკერი **ანდერსონ აკინო** დარჩნენ. მათზე საყვედური არავის დასცდენია. აკინო ჩემპიონატის ბომბარდირია (18 გოლი 15 მატჩში, რაც ბრწყინვალე მაჩვენებელია საშუალოდ ერთ მატჩში გატანილი გოლების მხრივ) და ისეთი ტემპით უტევს ამ ტიტულს, შესაძლოა, ამ მხრივ რეკორდსაც გამოჰკრას ხელი. ფრაგა კი, ვფიქრობთ, ეროვნული პირველობის ერთ-ერთი გამორჩეული შენაძენია. ჰოდა, მინსკის „დინამოც" შემთხვევით არ დაინტერესებულა ამ ფეხბურთელებით.

შესაძლოა, მალე „ოლიმპში" კიდევ ერთი ბრაზილიელი გამოჩნდეს (უფრო სწორად, დაბრუნდეს): კლუბის სპორტული დირექტორის, **ოთარ კორღალიძის** თქმით, მიმდინარეობს მოლაპარაკება ცენტრფორვარდ **ჟონატასთან** და შესაძლოა, ის „ოლიმპს" დაუბრუნდეს.

და რაც მთავარია - **დავით კირკიტაძის** ბრაზილიური ვიზიტი „ატლეტიკო პარანენსეს" ოფიციალურმა ვებგვერდმა გააშუქა და ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ არ იყო დელეგაციაში „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, როგორი ტიპის მოთამაშე სჭირდება. როგორც გავიგეთ, კირკიტაძის ვიზიტის მთავარი მიზანი ბრაზილიელების ჩამოყვანა არ გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპისთვის ეს არ იგეგმებოდა. ახლა რუსთავში ისედაც სოლიდური შემადგენლობაა შეკრებილი და ჩემპიონობის მოსაპოვებლად, სოლიდური უპირატესობის შენარჩუნება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, „ოლიმპის" მიზანი ევროთასებზე ღირსეული გამოსვლაა. კირკიტაძეც „ატლეტიკო პარანენსეს" ხელმძღვანელობას სწორედ საზაფხულო ტრანსფერებსა და სამომავლო გეგმებზე ელაპარაკა.

სანდრო წყაროდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ან ევროლიგაში რუსთაველთა გასვლის შემთხვევაში, ბრაზილიელები „ოლიმპს" ძირითადი შემადგენლობის ოთხ მოთამაშეს (ყველა პოზიციის) დაუთმობენ.

მერაბ მამულაშვილი

სატრანსფერო



# გაბედავა ილიჩევეცს ხვალ შეუერთდება

**გიორგი გაბედავა** კვლავ თბილისშია და მარიუპოლის „ილიჩევეცში" გადასვლას ელოდება. „ლელო" უკვე იუწყებოდა, რომ „გაგრას" თავდამსხმელით უკრაინის ჩემპიონატის მონაწილე დაინტერესდა და ჯერ 6-თვიანი კონტრაქტის, ზაფხულში კი ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას უპირებდა.

მარიუპოლელთა გარდა, ახალგაზრდა ფორვარდმა ყაზახურ „ტობოლს", უკრაინულ „ობოლონს", თურქულ „ტრაბზონსფორსა" და კიდევ ერთ რუსულ კლუბს (რომელიც ვერ დაგვიკონკრეტეს) მოაწონა თავი.

თუმცა ერთია ინტერესი, ხოლო მეორე - რეალური მიწვევა. ასეთი კი „ილიჩევეციდან" იყო და გაბედავას, როგორც წინასწარ იუწყებოდნენ, კონტრაქტი ორშაბათს უნდა გაეფორმებინა. თუმცა გაგრელი სამშაბათ საღამოსაც თბილისში იმყოფებოდა. კლუბის არც ერთმა ოფიციალურმა პირმა ამ ტრანსფერზე საუბარი არ ისურვა. როგორც დავადგინეთ, კომენტარები მხოლოდ გაბედავას „ილიჩევეცში" ჩარიცხვის შემდეგ გაკეთდება.

გიორგი დღეს „ზესტაფონთან" შეხვედრაშიც არ მიიღებს მონაწილეობას, რადგან ხვალ (ხუთშაბათს) უკრაინელებს უნდა შეუერთდეს და კონტრაქტი გააფორმოს. ჯერჯერობით უცნობია, გააგრძელებს თუ არა იმავე კლუბში კარიერას „გაგრას" საყრდენი ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი**. შეგახსენებთ, რომ ორივე მათგანი **ოთარ გაბელიამ** ესტონეთთან 3 მარტის შესარჩევი საშინაო მატჩისთვის გამოიძახა.

მერაბ მამულაშვილი

საპარაუდო ტრანსფერი

# ალადაშვილმა კრილიაში ითამაშა
## ვინ არის მაისურაძე?

ქართველი მცველი **კახა ალადაშვილი**, რომელმაც რუსეთში გასული სეზონი პრემიერლიგაში დაბრუნებულ „ანჟიში" ჩაამთავრა, მოულოდნელად სხვა გუნდში გამოჩნდა. როგორც ირკვევა, **კახა ალადაშვილმა** სამარის „კრილიას" რიგებში უკვე ითამაშა. **იური გაზაევის** გუნდი ახალი სეზონისთვის ანთალიაში ემზადება, სამარელები მატჩებს ორი შემადგენლობით ატარებენ. გუშინწინ, 15 თებერვალს, „კრილიამ" ბრაზილიური „ნაუტიკო" 5:1 დაამარცხა, მეორე შემადგენლობამ კი სერბულ „ნოვი პაზართან" 0:2 წააგო. ამ შეხვედრაში ორმა ქართველმა ითამაშა. მცველი კახა ალადაშვილი და თავდამსხმელი **მაისურაძე** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ და შეხვედრაც ჩაამთავრეს. ამ ქართველების შესახებ „კრილიას" ოფიციალურ ვებგვერდზე, საკონტროლო მატჩის ანოტაციის გარდა, სხვა არაფერია ნათქვამი.

როგორც ირკვევა სამარელები მომდევნო საკონტროლო მატჩებს ხვალ, 18 თებერვალს რუსეთის პირველი დივიზიონის „სკა ენერგიასთან" და უკრაინული ვიშა ლიგის მეოთხეადგილოსან დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან" ჩაატარებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „კრილიას", რომელიც პრემიერლიგის გასულ სეზონში მე-10 ადგილზე გავიდა, შესაძლოა, ახალ ჩემპიონატში მთავარ დივიზიონში ვერც კი იასპარეზოს. საქმე ისაა, რომ სამარელთა კლუბს ფინანსური და სხვა სახის პრობლემები შეექმნა და გაივლის თუ არა ლიცენზირებას, ეს ჯერაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სამარელთა ოფიციალური საიტის ინფორმაციით, „კრილიას" ლიცენზირების საკითხს 19 თებერვალს განიხილავენ.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

# ნავალოვსკის ინტერში გატანილი გოლი არ ახსოვს

ზამთრისპაუზისას რუსეთის პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში აღზევებულ მახაჩყალის „ანჟის" არაერთი ქართველი გამოაკლდა. მათ შორის იყო მცველი **გიორგი ნავალოვსკი**. ნავალოვსკი მახაჩყალელებმა **კახა ცხადაძის** ბაქოს „ინტერში" მიმდინარე სეზონის ბოლომდე გაანათხოვრეს. გიორგიმაც გაამართლა ავანსად გაცემული იმედები და ახალ გუნდში მეორე მატჩში გოლით გამოირჩა. „ინტერმა" „სიმურგი" სწორედ გიორგი ნავალოვსკის მიერ გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა. ასე რომ, კახა ცხადაძის გუნდში, მეკარე **გიორგი ლომაიას**, მცველ **კახა მჟავანაძისა** და ნახევარმცველ **დავით ოდიკაძის** შემდეგ, ნავალოვსკი მეოთხე ქართველი ფეხბურთელია.

გოლის ავტორი ქართველი მცველი აზერბაიჯანული „ექსტრა ტაიმის" ინტერესის სფეროში მოხვდა და ამ გამოცემის ჟურნალისტი ჩვენებურს სხვადასხვა თემაზე გაესაუბრა. უპირველესად კი ახალ გუნდში გატანილ პირველ ბურთზე დაეკითხნენ, რომელიც გიორგიმ სათანადოდ მხოლოდ მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ნახვისას გაიხსენა.

*„მართალი გითხრათ, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ბურთის გატანის შემდეგ, უმალვე ეს კითხვა რომ დაგესვათ, ეპიზოდს ვერ აღვიდგენდი. გამოგიტყდებით და ეს პირველი შემთხვევა ნამდვილად არაა. საერთოდ კი ჩვევად მაქვს, ყოველი მატჩის შემდეგ, თამაშის ვიდეოჩანაწერს ვუყურებ და ვაცნობიერებ ამა თუ იმ მომენტში სად და როგორ ვითამაშე. ვიდეოფირზე ჩემი პლუსიც კარგად ჩანს და ნაკლიც. ბუნებრივია, ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ უფრო იოლია ნაკლის გამოსწორებაზე მუშაობა...*



*რაც შეეხება ახალ გუნდში გატანილ პირველ ბურთს, ეს მომენტიც ვიდეოფირზე ვნახე და უმალ აღვიდგინე მთელი ეს ეპიზოდი"*, - აღნიშნა გიორგი ნავალოვსკიმ.

ქართველ მცველს ახალ გუნდში ადაპტაცია არ უნდა გაძნელებოდა და არც გასჭირვებია. მით უმეტეს, რომ იქ მას თანამემამულეები, მწვრთნელები (მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე და მისი თანაშემწე **გიორგი ჩიხრაძე**) და ფეხბურთელები დახვდნენ.

*„ადაპტაციისთვის დიდი დრო ნამდვილად არ დამჭირვებია. „ინტერში" ჩინებული, მეგობრული კონტინგენტია შეკრებილი. გუნდში არაერთი ქართველია და რაღა თქმა უნდა, ამან თავისი როლი ითამაშა. საერთოდ კი თანაგუნდელებში თითქმის ყოველთვის მიმართლებს. ბაქოურ კლუბამდე მახაჩყალის „ანჟიში" ვიყავი" და იქაც ბევრი ქართველი თანაგუნდელი მყავდა. ერთსაც ვიტყოდი, გუნდში სადაც ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ, ყოველთვის მეგობრული ატმოსფეროა შექმნილი".*

ნავალოვსკი „ანჟიდან" ბაქოს „ინტერში" მიმდინარე სეზონის ბოლომდეა განათხოვრებული. მცველმა ახალ გუნდში მეორე მატჩში გოლი გაიტანა და ბუნებრივია აზერბაიჯანული პრესა დაინტერესდა, სურს თუ არა გიორგის „ინტერში" დარჩენა.

*„დავრჩები თუ არა „ინტერში"? ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. აზერბაიჯანულ კლუბთან ჩემი საიჯარო კონტრაქტის ვადა მიმდინარე წლის მაისის ბოლოს იწურება. ამ ვადის გასვლის შემდეგ დავჯდებით და დავილაპარაკებთ. თუ შეთანხმებას მივაღწევთ, მაშინ სულაც არ გამოვრიცხავ, რომ დავრჩე. მით უმეტეს, ახალი გუნდი და საერთოდ აქაური ვითარება, პირველივე დღეებიდანვე მომეწონა".*

ამჟამად აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ბაქოს „ინტერი" 45 ქულით ერთპიროვნული ლიდერია და უახლოეს მდევარ „ყარაბაღს" ერთბაშად 5 ქულით უსწრებს. მომდევნო ტურში, უფრო სწორად კი დღეს, 17 თებერვალს, ჩვენებურთა გუნდი სტუმრად სწორედ უახლოეს მდევარს ეთამაშება, მერე კიდევ ორი რთული მატჩი (ჩემპიონატის და სათასო) აქვს „ნეფთჩისთან". ინტერვიუში გიორგი ნავალოვსკის მომდევნო შეხვედრებზეც დაეკითხნენ.

*„სიმურგი" ლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია და მის დასამარცხებლად სრული მობილიზება დაგვჭირდა. ამ თამაშმა დიდი ენერგია მოითხოვა. თუმცა ვფიქრობ, რომ ამ მატჩის შემდეგ, ძალების აღდგენა უკვე შევძელით. „ყარაბახთან" შეხვედრაში სასურველი შედეგის მისაღწევად, რაღა თქმა უნდა, სრული კონცენტრაცია დაგვჭირდება. ჩვენ პროფესიონალები ვართ. მჯერა, ამ შეხვედრაში სრულად მობილიზებულები გავალთ და დადებით შედეგის მიღწევასაც შევძლებთ"*, - საუბრის ბოლოს აღნიშნა ქართველმა მცველმა.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

# გუგავა ისევ მკურნალობს

**გუგა გუგავა** ესპანეთში გამგზავრებას ვერ ახერხებს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბოლოს ესპანეთის III დივიზიონის კლუბ „არმილიაში" თამაშობდა, ზამთარში კი კლუბისა და ლიგის შეცვლას იმედოვნებდა - მენეჯერი პრიმერა დივიზიონის კლუბში გადასვლით აიმედებდა, მაგრამ დღემდე ტრავმირებულია და გეგმებში კორექტივები შეაქვს.

*„ესპანეთში დღემდე არ წავსულვარ, რადგან ტრავმა ვერა და ვერ მოვირჩინე. კუნთი შემოდგომაზე დამიზიანდა, ნაკრებშიც ამის გამო ვერ ჩამოვედი, მაგრამ მეგონა, დეკემბრის ბოლოსთვის ვარჯიშს განვაახლებდი. სამწუხაროდ, ჩემი იმედი არ გამართლდა და მკურნალობა დაგეგმილზე ბევრად დიდხანს გამიგრძელდა. სამწუხაროდ, კუნთი დღემდე ვერ აღდგა და სანამ ბოლომდე არ მოვირჩენ, მანამდე ესპანეთში წასვლას აზრი არ აქვს. ექიმები ჯერ ზუსტ პასუხს ვერ მეუბნებიან. წესით, ერთ თვეს არ უნდა გასცდეს. სამწუხარო ის არის, რომ მენეჯერი მელოდება"*, - გვითხრა გუგავამ

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ

## ბესიკ ჩიმაკაძე
# ჩემთვის ვიტ ჯორჯია წინგადადგმული ნაბიჯია

**ორიოდე დღეა, რაც „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი თბილისის „ამერისა“ და ბოლნისის „სიონის“ ყოფილმა თავდამსხმელმა ბესიკ ჩიმაკაძემ გააფორმა. გუშინ ერთმანეთს მისი ყოფილი და ამჟამინდელი კლუბები შეხვდნენ, სადაც სატრანსფერო ფურცლის დაგვიანების გამო ჩიმაკაძეს არ უთამაშია. საუბარი მაინც „ვიტ ჯორჯია“-“სიონით“ დავიწყეთ, შემდეგ კი ვეტერინართა ახალწვეულის ბოლოდროინდელი ამბებითა და სამომავლო გეგმებითაც დავინტერესდით.**

- თამაშს ცუდმა ამინდმა დაასვა დაღი. „ვიტ ჯორჯია“ გარკვეულ უპირატესობას ფლობდა, თუმცა ურიგოდ არც „სიონს“ უთამაშია. ბუნებრივია, ეს შედეგი ბოლნისელებს უფრო აძლევდათ ხელს. იმედია, მომავალ ტურებში „ვიტ ჯორჯია“ გაუთვალისწინებელ ქულებს აღარ დაკარგავს. უკვე შემდეგი ტურიდან, ალბათ, ახალი გუნდის შემადგენლობაში თამაშის საშუალება მომეცემა. შაბათს „დინამოს“ ვეთამაშებით და ბუნებრივია, ამ შეხვედრაში მონაწილეობის უდიდესი სურვილი მაქვს.

**- სეზონის პირველი ნახევარი „სიონში“ გაატარეთ, ზამთარში კი არც ერთი ქართული გუნდის შემადგენლობაში არ გივარჯიშიათ...**

- იმიტომ, რომ ლატვიაში ვიყავი, სადაც „დინაბურგში“ გავდიოდი სინჯებს. სამწუხაროდ, სავიზო პრობლემების გამო, უკან გამობრუნებამ მომიწია.

**- „ვიტ ჯორჯიას“ გარდა, კიდევ რომელიმე ქართული კლუბი ხომ არ გიწვევდათ?**

- „გაგრადან“ მქონდა საინტერესო შემოთავაზება, „სიონში“ დარჩენაც შემეძლო, მაგრამ „ვიტ ჯორჯიაში“ გადმოსვლა ვამჯობინე. უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდში თამაშს სულ სხვა მოტივაცია ახლავს თან და ეს გადაწყვეტილება ამიტომაც მივიღე.

**- ამჟამად როგორ ფორმაში ხართ?**

- რა დასამალია და ოპტიმალურ ფორმაში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ლატვიაში გატარებული დრო მთლად უქმადაც არ დამიკარგავს. იქ ვარჯიში ძალიან წამადგა, საბედნიეროდ, ჯანმრთელობაც არ მაწუხებს და ამის წყალობით, სასურველ კონდიციებს სულ მალე ავიდგენ.

**- „ვიტ ჯორჯიას“ თავდასხმის ხაზში არცთუ პატარა კონკურენციაა.**

- ძალიანაც კარგი. ფეხბურთელი კონკურენციის პირობებში უკეთესად ვითარდება. სადაც მითამაშია, ყველგან ძლიერი კონკურენტები მყავდა და ამის არც ახლა მეშინია. მოკლედ, ახალი გამოწვევებისთვის მზად ვარ. „ვიტ ჯორჯია“ ჩემს კარიერაში აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია, ამაღლებულ განწყობაზე ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოვუტანო.

**- ორი წლის წინ მიღებული მძიმე ტრავმის გამო დიდი პერიოდი გაგიცდათ.**

- ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე ფეხი მოვიტეხე და თითქმის მთელი სეზონი დავკარგე. მოედანს რომ დავუბრუნდი, „ამერს“ უკვე სერიოზული პრობლემები ჰქონდა, მალე პირველ ლიგაში აღმოჩნდა და შემდეგ დაიშალა კიდეც. მოკლედ, ჩემს ცხოვრებაში ორი ძალიან უსიამოვნო ამბავი ერთმანეთს მიჰყვა. მე კარიერის გაგრძელება შევძელი, „ამერმა“ კი საუბედუროდ, არსებობა შეწყვიტა. ამ კლუბში შვიდი წელიწადი გავატარე, ფეხბურთელად იქ ჩამოვყალიბდი და ბუნებრივია, მისმა დაშლამ ძალიან დამწყვიტა გული. ეს რომ არ მომხდარიყო, ჩემი და კიდევ ბევრი ამერელის საფეხბურთო კარიერა უკეთ განვითარდებოდა.

**- როგორ ფიქრობთ, რისი მიღწევა შეუძლია „ვიტ ჯორჯიას“ მიმდინარე სეზონში?**

- გუნდს ჯერ კიდევ აქვს საქართველოს ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი, უფრო რეალური კი, ბუნებრივია, თასის მოპოვებაა. დიდი იმედი მაქვს, რომ სეზონს ერთი ტიტულით მაინც დავასრულებთ.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში დაბრუნების იმედი თუ გაქვთ?**

- რატომაც არა. ახალგაზრდულში თამაშის უფლება ამ შესარჩევი ციკლის ბოლომდე მაქვს და მინდა, ნაკრების წარმატებებში ჩემი წვლილიც შევიტანო. რაღა თქმა უნდა, დღეისათვის ნაკრებში გამოძახებას არ ვიმსახურებ, მაგრამ თუ შედეგიანად ავთამაშდი და გოლების გატანა დავიწყე, მჯერა, ნაკრების მწვრთნელები ჩემს მონდომებას დააფასებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფეხბურთელთა სტაჟირება ბრაზილიის ს/კ "ინტერნაციონალში"

წარვადგენთ ბრაზილიის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 2009 წლის ვიცე-ჩემპიონ პორტო ალეგრეს საფეხბურთო კლუბ "ინტერნაციონალში" 16-17-18-19 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონის ასამაღლებლად. სტაჟირების პროგრამის მინიმუმი 3 თვეა, მაქსიმუმი - ერთი წელი. სტაჟირების შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს საკონტროლო თამაშები ექნებათ ს/კ "ინტერნაციონალსა" და პორტო ალეგრეს სხვა გუნდებში. თუ ქართველი ფეხბურთელები დაიმსახურებენ მოწონებას, მათ მიიწვევენ ბრაზილიურ კლუბებში სათამაშოდ. სტაჟირების ხარჯებს ბრაზილიური მხარე არ აფინანსებს. ავიაბილეთების (თბილისი-პორტო ალეგრე-თბილისი), ვიზების, ადგილზე საცხოვრებლის, კვებისა და მომსახურების ხარჯებს იხდის მსურველი ან მისი სპონსორი. დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მიმართეთ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის № 4 (თავისუფლების მოედნიდან ზემოთ, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება 10 თებერვლიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 12-დან 13 საათამდე.

ტელეფონი: 899 23 55 20.

ბრაზილიაში ფეხბურთელები გაემგზავრებიან ა. წ. 1 მარტიდან.

ინტერვიუ

**იანვარში, უკრაინული და რუსული წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კიევის „არსენალის“ ქართველ ფორვარდ ლაშა ჯაკობიას, დოპინგის, კერძოდ კი მეტადონის მიღების გამო, დისკვალიფიკაცია მისცეს. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, დისკვალიფიკაციის ვადა 6 თვით განისაზღვრა, მერე კი სხვა ცნობა გამოჩნდა, რომლის მიხედვითაც ქართველი თავდამსხმელის დისკვალიფიკაციის ვადა მარტის დასაწყისში ამოიწურება. საინტერესოა, რა მოხდა რეალურად, რატომ გაცხადდა ოქტომბერში მომხდარი ამბავი იანვარში. თუ დისკვალიფიკაციის ვადა ექვსთვიანზე გაცილებით ნაკლები იყო, რატომ ითქვა ნახევარი წელიწადი. რატომ აღარ გაუშვეს ჯაკობია განმეორებით დოპინგტესტზე. ვინ მტრობს ქართველ ფორვარდს და სად გააგრძელებს კარიერას... ამ და სხვა საინტერესო თემებზე სამშობლოში მყოფ ლაშა ჯაკობიას გავესაუბრეთ.**




## ლაშა ჯაკობია
# მჯერა, ძველებურად ავთამაშდები

### ჯაკობიას მარტიდან თამაში შეუძლია... საბერძნეთამდე ბელგიასა თუ კვიპროსზე?

**- ლაშა, საუბარი თქვენი დისკვალიფიკაციის თემით უნდა დავიწყოთ. უცხოური წყაროების მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აკრძალულ პრეპარატის, მეტადონის გამოყენებაში დაგადანაშაულეს. რეალურად რა მოხდა?**

- დავიწყოთ იქიდან, რომ ის ამბავი, რომლის გამოც დისკვალიფიკაცია მომცეს, ოქტომბერში მოხდა... მეორეც, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მომცეს. არა და ასე ნამდვილად არაა საქმე. 6-თვიანი კი არა 100-დღიანი დისკვალიფიკაცია მომცეს, რომლის ვადა 8 მარტს იწურება. 9 მარტს უკვე შემიძლია ვითამაშო. ეს მაშინ, როცა მეტადონის მიღება მინიმუმ 1-წლიანი დისკვალიფიკაციით ისჯება. მე კი ასეთი მცირე ვადა იმიტომ მომცეს, რომ ვაღიარე ეს შემთხვევა, რომელიც გააზრებულად კი არ გამიკეთებია, არამედ შემთხვევით მოხდა და მსგავსი ჩემს ცხოვრებაში არასდროს ყოფილა.

**- მაინც რა მოხდა, იქნებ კონკრეტულად გვითხრათ...**

- ბოლო თვეების განმავლობაში 8 უახლოესი ადამიანი დავკარგე, მათ შორის მამა, ბაბუა, მეგობრები, მათ შორის საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილი ადამიანი, აკა ტონია... ამ რთული ვითარებიდან და სტრესისგან თავი რომ დამეღწია, ანტიდეპრესანტ პრეპარატებს ვიღებდი, რომლის შესახებაც ჩემს კლუბში, კიევის „არსენალში“ ყველამ იცოდა, მათ შორის კლუბის ექიმმაც და ხშირად თავად მინიშნავდა მათ... ოქტომბერში, კიევში, ერთ-ერთ წვეულებაზე მიმიპატიჟეს. იქ ჩემი მეგობრებიც იყვნენ, ფეხბურთელები და თანაგუნდელებიც... წვეულებაზე ჩვეულებრივი ხუმრობები დაიწყო, კოქტეილი დავლიე, რომელშიც ალბათ ვიღაცამ იხუმრა და მეტადონი ჩაყარა... ეს ამბავი ოქტომბერში მოხდა, დამალვა არც მიცდია და ჩვეულებრივ განვაცხადე ყველაფერი, რადგან ყველაფერი შემთხვევით მოხდა...

**- ოქტომბერში მომხდარი ამბავის შესახებ, იანვრამდე რატომ არაფერი ითქვა?**

- ეს მართლაც მნიშვნელოვანი დეტალია. 2 წლის წინ ხარკოვის „მეტალისტიდან“ „არსენალში“ 6 თვით ვიყავი განათხოვრებული. მაშინ ზავაროვს უნდოდა ჩემი დატოვება, მაგრამ კლუბის მფლობელმა ვადიმ რაბინოვიჩმა არ ქნა. ქართველები არ უყვარს და არც მალავს, აცხადებს ქართველი ფეხბურთელები კლუბში არ მჭირდებაო. ამჯერადაც რაბინოვიჩია „არსენალის“ მეპატრონე, ამიტომაც მაგრძნობინებდნენ, რომ კლუბი შემეცვალა. კონტრაქტი მქონდა და უარი ვთქვი... არც იმას დავმალავ, რომ განმეორებით დოპინგტესტზე მინდოდა გასვლა, მაგრამ „ზემოდან“ დარეკეს, ალბათ ხვდებით ვინც და უარი მითხრეს.

**- ეს დოპინგსკანდალიც ამას უკავშირდება?**

- არა, ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ ჩემთან ერთად ერთი, თანაკლუბელსაც აღმოუჩინეს დოპინგი, მის გვარს არ დავასახელებ, მაგრამ იმ ამბავს ასეთი რეზონანსი არ მოჰყოლია, როგორც ჩემსას. როგორ უნდა ავხსნა, რომ ოქტომბერში მომხდარი მხოლოდ იანვარში, სატრანსფერო პერიოდის დაწყებისას გაჟღერდა, თანაც 6-თვიანი დისკვალიფიკაცია აშკარად გაბუქებული ამბავია.

**- დისკვალიფიკაციის ვადა მალე იწურება. რას აპირებთ?**

- 9 მარტიდან უკვე მაქვს თამაშის უფლება. ჩემს ტრანსფერზე აგენტი მუშაობს. იმედი მაქვს მალე ახალ გუნდში ვიქნები, მანამდე კი თბილისში ვემზადები.

**- სად ემზადებით?**

- ფიზიკური მომზადების სპეციალისტ ავთო ბერიძესთან, პარალელურად კი „ზოოვეტში“ სერგო გუგუშვილთან ვვარჯიშობ.

**- კონტრაქტით კვლავაც „არსენალს“ ეკუთვნით?**

- არა, ამჟამად თავისუფალი აგენტი ვარ.

**- ისევ უკრაინაში აპირებთ კარიერის გაგრძელებას?**

- ლუგანსკის „ზარიას“ ვარიანტი მქონდა, მაგრამ დასავლეთ ევროპაში მინდა ვითამაშო...

**- ჩემს ტრანსფერზე აგენტი მუშაობსო, თქვით, რაიმე ვარიანტი ხომ არ გამოიკვეთა?**

- ბელგიურ და კვიპროსულ კლუბებზეა ლაპარაკი, მაგრამ ჯერჯერობით ყველაზე რეალური ისაა, რომ ბერძნული „იანინა“ მზადაა, ივნისში ჩემთან კონტრაქტი გააფორმოს. ერთმა კვიპროსულმა კლუბმა 2-წლიანი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა, მაგრამ 2 წელი კუნძულზე თამაში ნამდვილად არ მინდა. ზაფხულში ალბათ „იანინაში“ წავალ, თავის დროზე ამ კლუბში ვთამაშობდი და ძველი ნაცნობები იქ ახლაც მელოდებიან. ზაფხულამდე არ მინდა უქმად ვიყო და ამიტომაც ვეძებ კლუბს, ეს 2-3 თვე რომ არ გამიცდეს.

**- დროებით, საქართველოს ჩემპიონატში თამაშს გამორიცხავთ?**

- არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ თუ უკეთეს ლიგაში თამაშის შანსი გამიჩნდება, რა თქმა უნდა, მირჩევნია. რამდენიმე კვირაა აქ ვარ და ეროვნულ ჩემპიონატსაც შეძლებისდაგვარად თვალს ვადევნებ. ფინანსების ნაკლებობის გარდა, მოედნებიც სავალალო მდგომარეობაშია და ალბათ ტრავმიანობის მაჩვენებელიც მაღალია ჩვენს ჩემპიონატში... ყველაფერ ამის შემხედვარე იმასაც ვფიქრობ, 2-3 თვით თამაშს, ალბათ ინდივიდუალურად მომზადება სჯობს-თქო. აქ ალბათ არ დავრჩები სათამაშოდ... თუმცა ვნახოთ, არსებული ვითარებიდან გამომდინარე არაფერს გამოვრიცხავ...

**- ზოგჯერ ასეც ხდება, ფეხბურთელის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა კარიერის აწყობა თავიდან უწევს. ალბათ თქვენს ცხოვრებაშიც მსგავსი მომენტია. რამდენად მზად ხართ საამისოდ?**

- მართალი გითხრათ, თამაში მომენატრა, ფეხბურთი მწყურია... ფიზიკური კონდიციების მხრივ კარგად ვგრძნობ თავს. უკრაინის ჩემპიონატში ვთამაშობდი და ბელგიაში ან საბერძნეთში თამაშიც არ უნდა გამიჭირდეს. თუ 2-3 თვით კვიპროსზე მომიწევს თამაში, იქ კიდევ უკეთ მოვემზადები... ვიცი საკმაო დრო გამიცდა, მაგრამ ყოველივე ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა. ჯერ 29 წლის ვარ და ეს ფეხბურთელისთვის საგანგაშო ასაკი ნამდვილად არ არის. ზოგს ჩემს ასაკში ეხსნება მეორე სუნთქვა. მზად ვარ ხელახლა ავაწყო კარიერა. მერწმუნეთ, მართლა ძალიან მონდომებული ვარ და იმედი მაქვს, გამომივა.

**- ეროვნულ ნაკრებშიც კარგა ხანია არ გამოჩენილხართ...**

- კი, ბევრი დრო დავკარგე, მაგრამ ყველაფერს ავანაზღაურებ. ახლა ჩემი უმთავრესი ამოცანა კლუბში მოწყობაა და ძველებურად უნდა ავთამაშდე, მერე ნაკრებზე დაბრუნებაზეც ვიზრუნებ. მივესალმები ნაკრების თავკაცად თემურ ქეცბაიას დანიშვნას. მჯერა მის ხელში ეროვნულ გუნდს უკეთესი შედეგები ექნება.

**დავით ცაბაძე**

U 17 მეტოქე

# ჩემპიონი დაუმარცხებელი არ არის

13 მარტს გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრები ქართველ თანატოლებს ამხანაგურად უმასპინძლებს. უაღრესად წარმატებული ბელგიური ვოიაჟის შემდეგ, საინტერესოა, როგორ შედეგს აჩვენებს **გიორგი დევდარიანის** გუნდი უფრო ძლიერ გერმანელებთან.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის 17-წლამდელთა წინა ფორმაციის ნაკრები ევროპის მოქმედი ჩემპიონია და შესაბამისად, ქართველთა მეტოქეები თავისი ქვეყნისთვის ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძვიან. თუმცა კი ვერ ვიტყვით, რომ გერმანიის ნაკრები შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში დამაჯერებლად გავიდა. პირველი ეტაპის პირველ ტურში გერმანელებმა მაკედონიას 2:0 სძლიეს, რასაც ფინეთთან განცდილი მარცხი (0:1) მოჰყვა. ბოლო გერმანიის ნაკრებმა თურქეთს 2:1 მოუგო. ამ ჯგუფიდან ელიტრაუნდში სამმა გუნდმა - გერმანიამ, ფინეთმა და თურქეთმა გააღწია. გერმანელებმა მეორე პოზიცია დაიკავეს.

ელიტრაუნდში გერმანია შვეიცარიის, უნგრეთისა და სერბეთის წინააღმდეგ ითამაშებს. ამ ჯგუფის შეხვედრებს შვეიცარია უმასპინძლებს. გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრებს 43 წლის **შტეფან ბიოგერი** წვრთნის, შემადგენლობა კი ასე გამოიყურება.

მეკარეები - **ტიმო ჰორნი** (კიოლნი), **პატრიკ რაკოვსკი** (შალკე);

მცველები - **იოჰანეს გაისი** (ფიურტი), **ალექსანდერ ჰანი** (ვერდერი), **ფლორიან ჰარტჰერცი** (ვოლფსბურგი), **ანდრე ჰოფმანი** (დუისბურგი), **იანის პლეშკე** (ჰანოვერი), **ნიკო შულცი** (ჰერტა), **დანი ვიეირა და კომტა** (ლევერკუზენი);

ნახევარმცველები - **ლეონარდო ბიტენკურტი** (კოტბუსი), **ლუკა დიურჰოლტცი** (ლევერკუზენი), **ბარის გიუნდიუზერი** (ჰერტა), **ალექსანდერ ჰინი** (აინტრახტი), **სონი კიტელი** (აინტრახტი), **ფელიქს მიულერი** (ჰოფენჰაიმი), **კოლია პუში** (ლევერკუზენი);

თავდამსხმელები - **მურატ ბილდირიჩი** (აინტრახტი), **ფაბიან ჰიურცელერი** (ბაიერნი), **რუსელ ნგანკამი** (ჰერტა), **შონ პარკერი** (მაინცი).

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

## გიგიაძემ მოიგო, გურულმა ვერა

უკრაინული კლუბები სეზონის მეორე ნახევრისთვის ემზადებიან. **ვასილ გიგიაძის** სიმფეროპოლის „ტავრია" მოსამზადებელ შეკრებას ანთალიაში გადის. სიმფეროპოლელებმა მთავარი და სარეზერვო გუნდებით თითო საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. „ტავრიას" მთავარმა გუნდმა გდანსკის (პოლონეთი) „ლეხია" 4:1 დაამარცხა. ყირიმელთა გუნდის ქართველი თავდამსხმელი გიგიაძე სასტარტო შემადგენლობაში იყო. 65-ე წუთზე ის **გოლაიდომ** შეცვალა. ამჯერად, ჩვენებურ მეგოლეს თავი არაფრით გამოუჩენია. სანამ გიგიაძე მოედანზე იყო, უკრაინული გუნდი 1:0-ს იგებდა...

ბორისოვის ბატე-სთან მოგებული (3:2) საკონტროლო მატჩის შემდეგ, **სანდრო გურულის** ლვოვის „კარპატი" სოჭის „ჟემჩუჟინას" გაეჯიბრა და 1:4 წააგო. ლვოველთა მწვრთნელებმა რუსეთის ქვედალიგოსანთან სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ფეხბურთელები გამოცადეს. ძირითადის მოთამაშეები მხოლოდ მეორე ტაიმიდან გამოჩნდნენ მოედანზე. გურულიც შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში, მაგრამ მისი გუნდი მარცხს მაინც ვერ ასცდა.

დავით ცაბაძე

## მარცვალაძემ სერბებს სძლია, გვაზავა დინამოს დაუზავდა



თურქეთში ემზადება ნიჟეგოროდის „ვოლგა", სადაც ახლახან საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ოთარ მარცვალაძე** გადავიდა. ჩვენებურის გუნდმა საკონტროლო შეხვედრაში სერბული „ნაპრედაკი" მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა. ქართველმა თავდამსხმელმა მეორე ტაიმი სრულად ჩაატარა. ნიჟეგოროდის გაზეთ „ვრემია ნოვოსტეის" ცნობით, **კოჟანოვი-მარცვალაძის** დუეტი მეორე ნახევარში ჩინებულად წარმოჩნდა. მათი წყალობით „ვოლგამ" გამარჯვება მოამწიფა. გადამწყვეტი გოლი კი **პროკოფიევმა** გაიტანა.

**ლევან გვაზავას** გროზნოს „ტერეკი" ბრესტის „დინამოს" შეეჭიდა. მატჩი უგოლოდ დასრულდა. გროზნოელთა რიგებში მეორე ტაიმი ჩაატარა **ლევან გვაზავამ.** სხვათა შორის, ამ შეხვედრაში, შესვენების შემდეგ, ბრესტის „დინამოში" ორმა ჩვენებურმა ითამაშა - ნახევარმცველმა **ჭელიძემ** და ფორვარდმა **გოგოლაძემ.** სამწუხაროდ, ბრესტის „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდი მათზე არაფერს გვეუბნება.

დავით ცაბაძე

ამბები

## შეკრება გახანგრძლივდა

ოდესის „ჩერნომორეცის" თურქული შეკრება, რომელიც, წესით, დღეს უნდა დასრულებულიყო, 24 თებერვლამდე გასტანს. „ჩერნომორეცის" სამწვრთნელო შტაბმა შეკრების გახანგრძლივების გადაწყვეტილება ოდესური ავდრის გამო მიიღო. ასე რომ, უკრაინულ გუნდში გასინჯვაზე მყოფ **ირაკლი კლიმიაშვილს** კიდევ რამდენიმე მატჩში მიეცემა თავის გამოჩენის შანსი. დღეს „ჩერნომორეცის" მეტოქე ბელარუსული „მინსკი" იქნება, ოდესელთა დანარჩენი მეტოქეების ვინაობა კი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## ისევ თურქეთში

დღეს „დნეპრს" მეორე თურქული შეკრება ეწყება, სადაც ახლად გამოჯანმრთელებული **ჯაბა კანკავაც** მიიღებს მონაწილეობას. დნეპროპეტროვსკელებს თურქეთში სამი საკონტროლო შეხვედრა აქვთ დაგეგმილი – 18 თებერვალს მოსკოვის ცსკა-ს დაუპირისპირდებიან, 21 თებერვალს გროზნოს „ტერეკს", ხოლო 22 თებერვალს ალმა-ათის „ქაირატს".

ლევან ჯანეზაშვილი

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | ბაბუნაშვილი (სექთცია, ისრაელი), ფოფხაძე (სპარტაკი), გ. თოდუა (კოლხეთი 1913), აბრამიძე (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ჯერონიმო, ჯონათასი, სალესი (სამივე ბრაზილიაში), ს.თოდუა (ბაია), მ. ალავიძე (უზბეკეთი), კაკულია (ლოკომოტივი), ზ. ჭელიძე (ყაზახეთი), გველესიანი (?) | გ. კვარაცხელია (მტზ-რიპო, ბელარუსი), ხიდეშელი, ხუბუა, (ორივე სიონი), რ. ჯიქია (ბაია), ა. გილაური, პ. დათუნაიშვილი (ორივე სპარტაკი), გაბისკირია (მეორე მწვრთნელი, IBSU), ელოხი (ნიგერია), მერლანი (?), თ. ლონლაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ს. იაშვილი (ანჟი, რუსეთი) |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | იონანიძე (?), ლობჟანიძე (დნიპრო, უკრაინა), ნ. კვასხვაძე (გაგრა, იჯარით) | მჭედლიშვილი (?), გ. მიქაბერიძე (მეშახტე), კობახიძე (საბურთალო), დ. გამეზარდაშვილი (სკონტო, ლატვია) |
| ვიტ ჯორჯია<br>გელა გომელაური | ყველაშვილი (ბაია), ღურწკაია (მეკარეების მწვრთნელი), კახელიშვილი (დინამო), გ. მელქაძე (სიონი, იჯარით), კლიმიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), მგელაძე (სპარტაკი) | აბაშიძე (მეკარეების მწვრთნელი), ჩიმაკაძე (სიონი) |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | სომხიშვილი (ბაია), ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი), კრშკო (?), ჩარასი (?), შ. ლომია (ბაია), ნ. ჯიშკარიანი (გაგრა), ნერგაძე (მოროკა სვალოუსი, სამხრეთ აფრიკა), მერებაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი) | შეყრილაძე (სპარტაკი), კახელიშვილი (ვიტ ჯორჯია), კრსტესკი (ვარდარი, მაკედონია), ჩიკვილაძე (სიონი), თექთურმანიძე (35-ე სკოლა), რობერტინიო (ბრაზილია), ჯეიმსი (ახალი ზელანდია) |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | რ. გოცირიძე (ჰაპოელი, ისრაელი), დიდავა (სიონი), ლ. დეკანოსიძე (ლოკომოტივი),შეყრილაძე (დინამო), გვენცაძე (ლოკომოტივი), კეტაშვილი(?), შ. ჯიშკარიანი (სიონი), მანწკავა (?) პ. დათუნაიშვილი, ა. გილაური (ორივე ოლიმპი), ჯოხაძე (სიონი), ლ. ჩალაძე (სამტრედია), ცხადაძე (?), ზონი (მარტვილი, იჯარით), შალამბერიძე (ოდრა, პოლონეთი), შონია (ვოლინი, უკრაინა) | ფოფხაძე (ოლიმპი), დეკანოიძე (ჩიხურა), ბუზალაძე (დილა), ბურჯანაძე (?, სომხეთი), ნონოსი კამერუნი), ნალო (საფრანგეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), სალარიძე (ჭიათურა), უხურგუნაშვილი (?), მგელაძე (ვიტ ჯორჯია), თარხნიშვილი (სიონი) |
| სამტრედია<br>მამუკა მესიაჩენკო<br>ლევან ანჯაფარიძე | კვესეიშვილი (ბაია), ლ. ვაშაკიძე, ბ. ხაჭიპერაძე (ორივე ტორპედო 2008), ჯიქიძე (?), კაკალაძე (?), ჯანგიძე (?), ბაკარანძე (ბაია) | კუპრეიშვილი (გაგრა), ჟვანია (ბაია), ლ. ჩალაძე (სპარტაკი), ილურიძე (მარტვილი), სამსეიშვილი (ბათუმი), კვალინიძე (უგუნდოდ), დარბაიძე (?) |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | თარხნიშვილი (სპარტაკი), ხუბუა, ხიდეშელი (ორსივე ოლიმპი), გოგობერიშვილი (?), მახვილაძე (?), ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია), ი. ვაშაკიძე (?), ბ. ნოზაძე (?), ფიფია (ბაია), კიკნაძე (გაგრა), ჩიკვილაძე (დინამო), სვანიძე (მულანი, აზერბაიჯანი), სტურუა (გაგრა) | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), ჯაგიდისი (მეორე მწვრთნელი), შ. ჯიშკარიანი, დიდავა (ორივე სპარტაკი), რაქვიაშვილი (გაგრა), გ. დეკანოსიძე (?), გ. კვანტალიანი (ლოკომოტივი),ი. შენგელია (?), გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია, იჯარით), გ. სილაგავა (?), ვ. ისიანი (დინამო 2), გ. მაისურაძე (ნ/დინამო), ლ. მერებაშვილი (?), ლ. მელქაძე (?), გ. ჯოხაძე (სპარტაკი), ზუხბაია (?) |
| გაგრა<br>კახა კარანაძე | კუპრეიშვილი (სამტრედია), ვ. ხორგუაშვილი (?), პ. ხორგუაშვილი (?), რაქვიაშვილი (სიონი), გოგიჩაიშვილი (?), თოთაძე (დიორ ეტო, უნგრეთი), გაბედავა (ილიჩოვეცი, უკრაინა) | ნ. ჯიშკარიანი (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ტორპედო 2008), კიკნაძე (სიონი), გულორდავა (?), ქორთუა (დინაბურგი, ლატვია), ქურდობაძე (35-ე სკოლა), სტურუა (სიონი), ჩენსუ (კამერუნი) |
| ბაია<br>ელგუჯა კომეთიანი | ბ. შეროზია (მთ. მწვრთნელი, კოლხეთი 1913), ძალამიძე (ცსკა, რუსეთი), გუჩუა, დ. ქირია (ორივე-კოლხეთი 1913), რ. ჯიქია (ოლიმპი), ჟვანია (სამტრედია) | ს. ჭედია (მთ. მწვრთნელის კონსულტანტი), სომხიშვილი (დინამო), კვესეიშვილი (სამტრედია), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია), სახოკია (?), ვ. ბოლქვაძე (დინამო 2), ბებუა (ლოკომოტივი), შ. ლომია (დინამო), ბაკარანძე (სამტრედია), ს. თოდუა (ოლიმპი), ფიფია (სიონი), გელენიძე (რუსეთი), ფურთუხია (?), ბიბილაშვილი (?), ჭკადუა (?) |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | მოდებაძე (?), ი. გილაური (?), ქურდაძე (?), ბებუა (ბაია), ტიკურიშვილი (?), გ. კვანტალიანი (სიონი) | გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე (?), ჩარგეიშვილი (დინამო 2), ვეკუა (ვიტ ჯორჯია 2), ლ. დეკანოსიძე, გვენცაძე (ორივე სპარტაკი), კაკულია (ოლიმპი), ბონ. გოცირიძე (?), ზ. მეტრეველი (?) |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალი. პირველი მატჩები



უეინ რუნიმ ეს დაიმსახურა

# რუნიმ სან სირო ორჯერ დახვრიტა

## რეალს ლიონის სინდრომი შეეყარა

**დევიდ ბექჰემს** ჯერ ყოფილი თანაგუნდელებისთვის გამარჯვობის თქმა არ ჰქონდა დასრულებული, რომ ვეტერანმა ინგლისელმა ჩვეულ სტილში ჩაახვია საჯარიმო, **პატრის ევრამ** კი გამოიტანა ბურთი, მაგრამ ზუსტად **რონალდინიოს** მიმართულებით და ბრაზილიელმაც დაუმუშავებლად გაუშვა **ვან დერ სარის** კარში. ჰოლანდიელი გოლკიპერი არ დაიბნეოდა, რომ არა **ქერიკის** უნებლიე რიკოშეტი. მიმდინარეობდა თამაშის მე-3 წუთი...

ინგლისელებმა 36-ე წუთზე გაათანაბრეს ანგარიში. „მილანის" დაცვის მარცხენა ფლანგზე **პარკმა** და **ფლეტჩერმა ანტონინი** გააბითურეს, ჩანოდებულ ბურთს კი **სქოულზმა** მარჯვენა ფეხი ააცილა, თუმცა ცაციაზე მოხვდა კარში შეგორდა - 1:1.

პარალელურად მიმდინარე მატჩშიც პირველი ტაიმი ფრედ, ოღონდ 0:0 მორჩა. პირველ ტაიმში **დელგადოს** დარტყმულს გამოვყოფდით, რომელმაც **კასილიასის** კარის ძელი შეაზანზარა, ასევე **კრიშტიანო რონალდოს** ქუსლურ პასებს.

მეორე ტაიმში „რეალის" ნახევარდაცვის ჩავარდნით პირველად **ჟან მაკუნმა** ისარგებლა და შორეული დარტყმით **კასილიასის** კარი აილო - „ლიონი" 1:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ ფრანგთა შეტევები უფრო გააფთრებული გახდა. სანამ ლიონში მატჩი ორმხრივ შეტევებში მიდიოდა, რომლის დროსაც **უგო ლორისმა იგუაინს** „მკვდარი" ბურთი აუღო, მომდევნო გოლი უკვე „სან სიროზე" გავიდა - **ვალენსიას** მოწადინების შემდეგ **უეინ რუნიმ** ჩემპიონთა ლიგის 50-ე მატჩში მე-16 გოლი გაიტანა. 74-ე წუთზე მან დუბლი შეასრულა და ამჯერადაც თავურით.

მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა **ზეედორფმა** რონალდინიოს პასით ერთი გოლი გაქვითა - 2:3. მატჩის მე-3 დამატებულ წუთზე ქერიკმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, თუმცა მისმა გუნდმა დიდი ნაბიჯი გადადგა შემდგომ ეტაპზე გასასვლელად.

ლიონში შეხვედრა 1:0 დასრულდა, რითიც, თამაშის სცენარიდან გამომდინარე, უფრო „რეალი" უნდა იყოს კმაყოფილი. „სამეფო კლუბმა" კვლავ წააგო „სტად ჟერლანზე", თუმცა ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობას „სანტიაგო ბერნაბეუს" მატჩი გაარკვევს.

დაბოლოს - ისე შევეჩვიეთ **კახა კალაძის** არყოფნას, რომ კინალამ დაგვავიწყდა ამის აღნიშვნა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი „მილანის" განაცხადშიც არ ყოფილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**მილანი–მანჩესტერი 2:3**

**მილანი (4-3-3):** დიდა - ბონერა, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი (38. ფავალი) - ბექჰემი (72. ზეედორფი), პირლო, ამბროზინი - პატო, ჰუნტელაარი (77. ინძაგი), რონალდინიო.

**მანჩესტერი (4-5-1):** ვან დერ სარი - რაფაელი (93. ბრაუნი), ფერდინანდი, ევანსი, ევრა - ნანი (65. ვალენსია), ფლეტჩერი, კერიკი, სქოულზი, პარკი - რუნი.

**გოლები:** 1:0 რონალდინიო (3), 1:1 სქოულზი (36), 1:2 რუნი (66), 1:3 რუნი (74), 2:3 ზეედორფი (83)

**გაძევება:** კერიკი (93. მანჩესტერი)

**მაყურებელი:** 80 000

**არბიტრი:** ო. ბენკერენშა (პორტუგალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** მილანი

**პირველი კუთხური:** მანჩესტერი

**პირველი ჯარიმა:** მანჩესტერი

**პირველი გაფრთხილება:** მანჩესტერი

| | | |
|---|---|---|
| 16 (6) | დარტყმა | 14 (4) |
| 15 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

**ლიონი–რეალი 1:0**

**ლიონი (4-1-4-1):** ლორისი - რეველიერი, კრისი, ბუმსონგი, სისოხო - ტულალანი - გოვუ, მაკუნი, პიანიჩი (78. კალსტრიომი), დელგადო (89. ბაშტოში) - ლოპესი (81. გომისი).

**რეალი (4-3-1-2):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, ალბიოლი, მარსელო (46. გარაი) - მ. დიარა, ჩაბი ალონსო, გრანერო - კაკა - რონალდო, იგუაინი (64. ბენზემა).

**გოლი:** 1:0 მაკუნი (47)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** მ. ატკინსონი (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ლიონი

**პირველი კუთხური:** ლიონი

**პირველი ჯარიმა:** რეალი

**პირველი გაფრთხილება:** ლიონი

| | | |
|---|---|---|
| 17 (4) | დარტყმა | 13 (5) |
| 15 | ჯარიმა | 18 |
| 4 | კუთხური | 7 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 40% | ბურთის ფლობა | 60% |

ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალი. დღევანდელი მატჩების წინათქმა

# არიენ რობენი: 6:0 ფიორენტინას!

## მიუნხენში ფლორენციელთა გვემაზე ფიქრობენ, ვენგერი ფრეზეც ყაბულსაა

**ბაიერნი–ფიორენტინა**

„ბაიერნის" ლიდერი **ფრანკ რიბერი** ამბობს, „ფიორენტინასთან" დუელში ფავორიტები ჩვენ ვართო. ეს ისედაც ყველამ იცის, რადგან მიუნხენური კლუბი ბრწყინვალე ფორმაშია და ბუნდესლიგაში „ქვას ქვაზე აღარ ტოვებს", „ფიორენტინას" კი კრიზისული დროება უდგას, მაგრამ მაინც ხაზს უსვამს რეკორდმაისტერის ფავორიტობას. და „ბაიერნის" ხელმძღვანელებსაც სწორედ ამისი ეშინიათ - ფავორიტობის.

*„ფიორენტინას" ცუდი დროება უდგას, მაგრამ ჩვენ ამან არ უნდა დაგვაბრმავოს. თუ კონცენტრაციას შევინარჩუნებთ, მეოთხედფინალში გავალთ. ლოგიკურად ასე უნდა მოხდეს. ხოლო თუ იმაზე ვიფიქრებთ, რომ ფლორენციულ კლუბთან იოლი გასეირნება გველის, შეიძლება მაგრად დავისაჯოთ",* - ამბობს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**. შეგახსენებთ, რომ „ფიორენტინა" სერია A-ში მისთვის უჩვეულო, მე-11 ადგილზეა.

„ბაიერნი" შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ **ლუის ვან გაალის** გუნდმა ბოლო მატჩებში დაცვის ხაზში სისუსტეები გამოავლინა. ამიტომაცაა, მეკარე **ჰანს-იორგ ბუტი** ცენტრალურ მცველებს, **მარტინ დემიკელისსა** და **დანიელ ვან ბუიტენს** გაორმაგებული ყურადღებით თამაშს რომ სთხოვს. *„ფიორენტინა" ის გუნდია, რომელიც შეცდომებს არ გვაპატიებს,"* - ამბობს ბუტი. ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში ერთი გოლის გაშვება ორის გაშვებას ნიშნავსო, ამბობს კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** და მცველებს ისიც მაქსიმალური კონცენტრაციისკენ მოუწოდებს. თუმცა ყველაფერი მარტო ვან ბუიტენსა და დემიკელისზე როდია დამოკიდებული - ვან გაალმა რიბერისა და **არიენ რობენსაც** მოსთხოვა დაცვითი ფუნქციების შესრულება და მეორე თავდამსხმელ **თომას მიულერსაც**, რომელიც ცენტრფორვარდ **მარიო გომესის** გარშემო, უფრო ხშირად კი მის უკან იმოქმედებს.

მიუნხენელთა რიგებში გუშინდელ დღემდე საეჭვო იყო **მიროსლავ კლოზეს** გამოჩენა, რადგან მიროს მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მან სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და დღეს განაცხადში იქნება. მაგრამ ვან გაალი კლოზეს ისევ სკამზე დასვამს და მოედანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუშვებს, თუ დასჭირდა...

„ბაიერნს" ზედიზედ 12 ოფიციალური მატჩი აქვს მოგებული. ამიტომაცაა, რობენი ძალიან თავდაჯერებული რომ არის. *„იდეალური ანგარიში 6:0 იქნებოდა, მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი დიდი სხვაობით მოვიგოთ. ფაქტი ის არის, რომ გოლი უნდა გავიტანოთ და ფრთხილად ვიყოთ, რომ „ფიორენტინამ" არ გაგვიტანოს,"* - ამბობს ჰოლანდიელი დრიბლიორი.

რაც შეეხება „ფიორენტინას" - ფლორენციულმა კლუბმა ამ უქმეებზე 0:2 წააგო და თანაც, პირველ 15 წუთში ორი ფეხბურთელი დაკარგა. ამრიგად, „ფიორენტინას" ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წაგებული აქვს და „ბაიერნთან" მატჩის წინ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. „სამპდორიასთან" განცდილმა მარცხმა ფლორენციელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. **ჩეზარე პრანდელის** გუნდი თავს ვერ იცავს, გოლს ვერ იტანს და ნახევარმცველებიდან ფაქტობრივად არც ერთი არ არის კარგ ფორმაში - არც **მარკიონი**, არც **მონტოლივო** და არც **ვარგასი**.

*„განსაკუთრებით დამაგვირგვინებელ ფაზაში ვცოდავთ. შეტევებს ნორმალურად ვავითარებთ, მაგრამ ბოლო მუხტი გვაკლია,"* - წუხს პრანდელი. ფლორენციელი გულშემატკივრები „ბაიერნთან" მატჩის წინ ძალიან პესიმისტურად არიან განწყობილები, რადგან წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებს რომ თავი დავანებოთ, მათ კარგად იციან, როგორ ფორმაშია მიუნხენური გიგანტი. თუმცა არც მთლად ისეა საქმე, თითქოს „ფიორენტინა" განწირულია. პრანდელის ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი ჰყავს და გუნდს ისეთი ტაქტიკით ათამაშებს (4-2-3-1), რომ მთელი გუნდი კომპაქტურად დგას ხოლმე. ფლორენციელთათვის დიდი დანაკლისია **ადრიან მუტუს** არყოფნა, რომელსაც დიდი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. პრობლემას პრობლემა დაემატა: დაშავდა ფლორენციელთა დაცვის ბურჯი **ალესანდრო გამბერინიც**, რომელსაც დღეს სავარაუდოდ **ფელიპე** შეცვლის.

„ბაიერნთან" მატჩს პოზიტიურად უყურებს ფლორენციელთა კაპიტანი რიკარდო მონტოლივო: *„კრიზისი გვაქვს, თამაშებს ვაგებთ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ „ბაიერნთან" შეხვედრა დროულად მოგვესწრო. მიუნხენში გვეძლევა იმის შანსი, რომ დავამტკიცოთ, რა შეგვიძლია. ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მდგომარეობის გამოსწორება სწორედ „ბაიერნთან" დუელებში შეგვიძლია."*

„ფიორენტინა" „ბაიერნს" ბოლოს 2008/2009 წლების სეზონში ესტუმრა და 0:3 განადგურდა...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი, რიბერი - თ. მიულერი, გომესი.

**ფიორენტინა (4-2-3-1)** ფრეი - კომოტო, კროლდრუპი, ფელიპე, პასკუალი - მონტოლივო, ბოლატი - მარკიონი, იოვეტიჩი, ვარგასი - ჯილარდინო.

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**პორტუ–არსენალი**

„პორტუ" ის გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის დამაჯერებლად, კარგად ასპარეზობს და განსაკუთრებით საშინაო მატჩებში გამოიყურება ხოლმე კარგად. ჩემპიონთა ლიგაში სტაბილურია „არსენალიც", უფრო სტაბილურიც კი, ვიდრე „პორტუ", მაგრამ ლონდონურ კლუბს არასდროს მიიჩნევენ ხოლმე ტურნირის ფავორიტად. „არსენალი" იყო და დარჩა საშუალო დონის ევროპულ კლუბად, რომელსაც გრანდობაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ ვერ გახდა გრანდი. სწორედ ამიტომ, „პორტუსა" და „არსენალის" დუელში შანსები 50/50-ზეა შეფასებული.

ლონდონელთა თავკაც **არსენ ვენგერს** სერიოზული საკადრო პრობლემა აქვს, რადგან წამყვანი ფორვარდის, რუსი **ანდრეი არშავინის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. თვითონ რუსი თავდამსხმელი მიიჩნევს, რომ ის არ არის ცენტრფორვარდი და არ ესმის ვენგერის, რომელიც მას ჯიუტად ამ პოზიციაზე აყენებს. არშავინს მიაჩნია, რომ ის უფრო ფლანგის (მარცხენა) ან მეორე ფორვარდია და ფიქრობს, რომ მისი ამოცანა ცენტრფორვარდის მიხმარება უნდა იყოს. მოკლედ, დღეს არშავინი ვერ ითამაშებს, ვენგერმა კი რაღაც ახალი უნდა მოიფიქროს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრავმა აქვს გარემარბ **რობინ ვან პერსისაც**.

რაც შეეხება „პორტუს" - პორტუგალიურ გუნდს ამგვარი პრობლემები არ აწუხებს. ფორვარდები **ფალკაო** და **ვარელა** კარგ ფორმაში არიან. მათთან ერთად, „არსენალისთვის" სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლია **ჰალკსაც**, რომელიც პორტუგალიის ჩემპიონატში დისკვალიფიცირებულია, ჩემპიონთა ლიგაში კი აქვს იმის უფლება, რომ მინდორზე გამოვიდეს. ასე რომ, ვენგერი და მისი რაზმი გაფრთხილებულია!

*„მინიმუმ არ უნდა წავაგოთ,* - ეს ვენგერის სიტყვებია, *- ფრე კი ყველანაირი მაწყობს, მათ შორის 0:0-იც. მაგრამ „არსენალი" არ არის მიჩვეული დაცვაში დგომას ან მატჩის დროს დამალვას. ყველაზე მთავარი, რასაც ამ მატჩში ჩემი შეგირდებისგან ვითხოვ, არის ის, რომ დავრწმუნდეთ, დაცვაში ყველაფერი რიგზე რომ გვაქვს. შეიძლება ბევრს მიაჩნია, რომ ფავორიტები ჩვენ ვართ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. „პორტუ" ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად თამაშობს და ყველამ ვიცით, რომ ამ გუნდთან დუელი იოლი მოსაგები არ იქნება."*

„მეთოფეების" თავკაცი გახარებულია იმით, რომ **ედუარდო** ნელ-ნელა ფორმაში შედის. *„მას ძალიან მძიმე ტრავმა ჰქონდა და ცხადია, ფორმის აღდგენისთვის დრო სჭირდებოდა. ფაქტია, რომ დღითიდღე უმატებს და მე მას ვუთხარი, ნუ ნერვიულობ იმის გამო, რომ გოლებს ვერ იტან, საგოლე პასებიც გოლების ტოლფასია-მეთქი. თუ გახსოვთ, იმავეს ვამბობდი ვან პერსის შესახებაც, როცა მას გოლები ვერ გაჰქონდა, სამაგიეროდ, საგოლე პასებს აკეთებდა,"* - ამბობს ვენგერი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ (4-3-3):** ჰელტონი - ფუკილე, ბრუნო ალვეში, როლანდო, პერეირა - ბელუში, ფერნანდო, რაულ მეირელეში - ჰალკი, ფალკაო, მარიანო.

**არსენალი (4-3-2-1):** ალმუნია - სანია, გალასი, ვერმალენი, კლიში - დენილსონი, ფაბრეგასი, დიაბი - როსიცკი, ნასრი - ბენდტნერი.

**არბიტრი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი ფიორენტინას განადგურებას უპირებს



FM 107.9
საქართველოს ხმა

16 და 17 თებერვალს რადიო „საქართველოს ხმა" (FM 107,9)
და „ბავარიული ლუდსახარში" წარმოგიდგენთ
FOOTBALL SHOW-ს ლონ ელოსთან ერთად.
თქვენ გელით ჩემპიონთა ლიგის სიახლეები, შეხვედრა საღამოს სტუმართან,
ვიქტორინა, კონკურსი „პროგნოზების კლუბი" და საინტერესო პრიზები,
ენერგიული მუსიკა და ჩემპიონთა ლიგის მატჩების ჩვენება.
დასაწყისი: 21:00
მისამართი: სიონის ქ. 8 (სიონის გვერდით, ყოფილი რესტორანი „კავშირი").

საღამოს საინფორმაციო მხარდამჭერები:
რადიო „საქართველოს ხმა" (FM 107,9) და სპორტული გაზეთი „ლელო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა

ტურის რჩეულნი

# რეიესი და მეფის ქვეშევრდომები

**რომელი** გუნდი იყო ლა ლიგის 22-ე ტურის გმირი? რა თქმა უნდა, „ატლეტიკო", რომელმაც „ბარსელონას" სეზონში პირველად აგემა მარცხი. რომელი გუნდის ფეხბურთელები მოხვდებოდნენ goal.com-ის ტურის სიმბოლურ ნაკრებში? რა თქმა უნდა, პირველ რიგში - „ატლეტიკოსი" - რჩეულთა 11-ეულში მადრიდის „ატლეტიკოს" 4 წარმომადგენელი ჰყავს, ერთით ნაკლები კი „სამეფო კლუბის" წევრია. ნაკრები კი სულ ოთხმა გუნდმა შეადგინა: ორ-ორი ფეხბურთელი „ვილიარეალიდან" და „მალაგადან" მოხვდნენ რჩეულებში.

**დავიდ დე ხეა** (ატლეტიკო): „ატლეტიკოს" გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი. „ბლაუგრანა" საათზე მეტხანს ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას და ახალგაზრდა გოლკიპერის კარს მწვავედ უტევდა, დე ხეამ რამდენჯერმე იხსნა მასპინძელთა გუნდი.

**ალვარო არბელოა** (რეალი): „დეპორტივოს" და „ლივერპულის" ყოფილი მცველი თანდათან საკუთარი ძალების რწმენას იძენს. „რეალში" არბელოა ფლანგის შემტევ მცველად ჩამოყალიბდა, რომელიც ფლანგზე მეტოქეს მუდმივად აწიოკებს. „ხერესის" წინააღმდეგ არბელოამ მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. აქამდე არბელოას სულ ორჯერ აქვს გატანილი გოლი.

**ველიგტონი** (მალაგა): როგორც არბელოამ, ველიგტონმაც თავისი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. მან „რასინგის" კარში შეუჩერებლად დაარტყა. ამასთან, ბრაზილიელი ცენტრალური მცველი „მალაგას" კარის მშრალად შენახვაში დაეხმარა „ელ სარდინეროზე".

**ლუის პერეა** (ატლეტიკო): ათლეტთა დაცვის ხაზი ხშირად ცდებოდა და ყველაზე ხშირად კრიტიკის ცენტრში სწორედ პერეა ხვდებოდა. მაგრამ **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** წინააღმდეგ სულ სხვა პერეა ვიხილეთ. მართალია, შვედმა ერთი გოლის გატანა მაინც შეძლო, მაგრამ ამის გარდა ზლატანი, მთელი თამაში რომ ჩრდილში იყო, „ატლეტიკოს" ცენტრალური მცველის დამსახურებაცაა.

**ხოან კაპდევილია** (ვილიარეალი): ვეტერანმა მარცხენაფლანგელმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა ჩემპიონატში. ახლა ნომინალური მცველი 5 გატანილი გოლით „ელ სუბმარინოს" თანაბომბარდირია. თანაც კაპდევილიას გოლები გამოცდილ და დახელოვნებულ ფორვარდთა სტილში გააქვს. მართალია მას ამ სეზონში უფრო შემტევი როლი აქვს, მაგრამ კაპდევილია არც საკუთარი გუნდის კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვას ივიწყებს.



ხოსე ანტონიო რეიესი ტურში საუკეთესო იყო

**ტიაგო** (ატლეტიკო): პორტუგალიელი იჯარის წესით შეუერთდა მადრიდულ კლუბს იტალიური „იუვენტუსიდან". არცთუ ისე ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ტიაგო უკვე ჩინებულად შეეწყო ლა ლიგას. „ბარსასთან" თამაშში ტიაგოს სეზონში (თუ კარიერაში არა) ურთულესი ამოცანა მისცეს - ჩავის ჩრდილად ქცევა და მისთვის თამაშის გაკონტროლების საშუალების მოსპობა. ტიაგომ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მისია, მიუხედავად იმისა, რომ ჩავი მაინც ძალზე აქტიური იყო.

**ხოსე ანტონიო რეიესი** (ატლეტიკო): ტიაგო მის უკან „შავ სამუშაოს" ასრულებდა, საჭირო იყო ამ დახმარების გამოყენება და რეიესმაც ძველი დრო გაიხსენა - მან კარგად გამოიყენა შესუსტებული „ბარსას" შეცდომები დაცვაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საგოლე პასი დიეგო ფორლანისადმი, ბრწყინვალე გამჭოლი გადაცემა, რომელიც ურუგვაელმა დააგვირგვინა. ჩვენი აზრით, იგი ტურის ფეხბურთელია.

**დავიდ ფუსტერი** (ვილიარეალი): ამ სეზონამდე მას თითქმის არავინ იცნობდა, თუმცა სეზონი ფუსტერმა სენსაციურად დაიწყო, ამის შემდეგ ნახევარმცველი ისევ ჩაიკარგა მასაში და აი, მორიგი გაბრწყინება - მისი თამაშის ცქერა ბასკური „ატლეტიკის" წინააღმდეგ ერთი სიამოვნება იყო. კაპდევილიას საოცარი სილამაზის საგოლე პასი მიაწოდა.

**კაკა** (რეალი): სეზონის პირველ ნახევარში „რეალის" ბრაზილიურ სუპერშენაძენს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად კაკა საუკეთესო ფორმაში შედის. კრიშტიანო რონალდოს არყოფნაში მან გუნდის ლიდერობა იტვირთა, მისი დაბრუნების შემდეგ კი დაამტკიცა, რომ CR9-ს (როგორც პორტუგალიელს ესპანეთში უწოდებენ) მოედანზე შესანიშნავად ეწყობა - ამის დასტური კაკას ორი საგოლე პასია ორწუთიან მონაკვეთში.

**ფელიპე კაიშედო** (მალაგა): „მალაგამ" სეზონის ნახევარი კი ჩააგდო, მაგრამ ახლა გუნდი დაფრინავს, ანდალუსიური კლუბი „რასინგს" შეხვდა და 3:0 მოუგო. კაიშედო იანვარში „მანჩესტერ სიტიდან" გადმოვიდა და მას შემდეგ წარმატებით თამაშობს ესპანურ ლიგაში. გოლი ბრწყინვალე სოლო გარღვევის შემდეგ გაიტანა.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): ორმატჩიანი დისკვალიფიკაციიდან დაბრუნება დუბლით აღნიშნა. პირველ ტაიმში ჩრდილში იყო, მაგრამ მეორე ტაიმში „აფეთქდა", რაც საბრალო „ხერესს" სავსებით ეყო.

სხვები, რომელთა აღნიშვნაც გვსურდა: ***დიეგო ლოპესი*** *(ვილიარეალი),* ***მარკ ბერტრანი*** *(ტენერიფე),* ***ნიკო პარეხა*** *(ესპანიოლი),* ***ლასანა დიარა*** *(რეალი),* ***ფერნანდო სორიანო*** *(ალმერია),* ***სიმაო*** *(ატლეტიკო),* ***ნილმარი*** *(ვილიარეალი).*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბაიერნი



ბაიერნის კარს მომავალ სეზონშიც ჰანს-იორგ ბუტი დაიცავს

# მიუნხენში გადაწყვიტეს: გაისადაც ბუტი!

## რეკორდმაისტერი ახალ მეკარეს არ იყიდის

მიუნხენის „ბაიერნმა" **ჰანს-იორგ ბუტს** კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაუგრძელა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერის კარს მომავალ სეზონშიც ვეტერანი მეკარე დაიცავს. ეს კი იმის ნიშანია, რომ ბავარიელები ზაფხულში უმაღლესი დონის მეკარეს არ იყიდიან. ბუტს მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა.

*„ჰანს-იორგის თამაშით უაღრესად კმაყოფილები ვართ და გვიხარია, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე თანხმობა განაცხადა,"* - ეს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ ბუტი „ბაიერნში" 2008 წელს, ლისაბონის „ბენფიკადან" გადავიდა. მანამდე მას „ლევერკუზენისა" და „ჰამბურგის" რიგებში ბუნდესლიგაში 324 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. „ბაიერნში" ბუტს პირველ მეკარედ არ მოიაზრებდნენ. იმხანად **ოლივერ კანს** აქტიური სპორტული კარიერა ახალი დამთავრებული ჰქონდა და რეკორდმაისტერში „ტიტანი" ახალგაზრდა **მიხაელ რენზინგს** უნდა შეეცვალა, ბუტი კი მისი შემცვლელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რენზინგმა იმედები ვერ გაამართლა და 35 წლის ჰანს-იორგი ბავარიელთა კარის პირველი დარაჯი გახდა.

*„ბაიერნში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მიხარია, რომ ამ გუნდის ღირსებას კიდევ ერთი წლით დავიცავ,"* - ამბობს ბუტი.

სეზონის ბოლოს კონტრაქტი რენზინგსაც უმთავრდება, მაგრამ მიუნხენელები მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებენ. შესაბამისად, ზაფხულში რენზინგი მიუნხენს დატოვებს. ბუტამდე მიუნხენელებმა უკვე გაუფორმეს კონტრაქტები **დანიელ ვან ბუიტენს** (2012 წლამდე), **თომას მიულერს** (2013 წლამდე) და **ჰოლგერ ბადშტუბერს** (2014 წლამდე). სეზონის ბოლოს ხელშეკრულების ვადები ეწურებათ კაპიტან **მარკ ვან ბომელს** და მარჯვენა ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს.**

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი

# ვან ნისტელროიმ დაამტკიცა...

## შტუტგარტთან შესრულებული დუბლით რუუდმა კრიტიკოსები დაადუმა

**რუუდ ვან ნისტელროის** „ჰამბურგში" ტრანსფერს მთელი ევროპის მასშტაბით დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ ბევრმა ექსპერტმა ვეტერანი ჰოლანდიელის გერმანულ კლუბში გადასვლა სკეპტიკურად შეაფასა. ამბობდნენ, მადრიდის „რეალში" ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვერაფერი დაამტკიცა, თანაც, უკვე 33 წლისაა და მისი კარიერა ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდებაო. ეს იყო აბსოლუტურად გამართლებული კრიტიკა, რადგან ვან ნისტელროის მართლაც დიდი ხანია, ღირებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ გასულ შაბათს რუუდმა თითოეულ კრიტიკოსს საკადრისი პასუხი გასცა და თანაც იქ, სადაც საჭირო იყო - საფეხბურთო მოედანზე.

მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ჰოლანდიელი გოლეადორი მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა, იმ დროს, როცა ანგარიში 1:1 იყო და ვან ნისტელროიმ 90 წამში (!) ორი გოლი გაიტანა.

*„ამაზე უკეთეს დასაწყისს ვერ წარმოვიდგენდი. წინა ტურში მხოლოდ 2 წუთი ვითამაშე და იმ მატჩს დებიუტად არც ვთვლი. „შტუტგარტთან" კი მოედანზე 25 წუთი დავყავი და დუბლი შევასრულე. „ჰამბურგი" ძალიან მაგარი გუნდია, აქაური ატმოსფერო ძალიან მომეწონა. შესანიშნავი თანაგუნდელები მყავს, არაფერს ვამბობ ფანებზე. გულშემატკივრებმა ძალიან თბილად მიმიღეს. ამიტომაც იყო, გოლების შემდეგ მათთან რომ მივირბინე",* - ამბობს ჰოლანდიელი.



რუუდ ვან ნისტელროი შტუტგარტის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

ბუნდესლიგა ვან ნისტელროისთვის ახალი გამოწვევა და თავგადასავალია. *„გერმანიის ჩემპიონატში ძალიან მაღალი დონე დამხვდა - არანაკლები, ვიდრე ესპანეთსა და ინგლისშია. ერთადერთი, რაც დღეს ბუნდესლიგას აკლია, სუპერვარსკვლავების სიმრავლეა. იმედი მაქვს, რომ ტოპფეხბურთელები გერმანიაშიც მომრავლდებიან,"* - ამბობს რუუდი.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ვილიარეალს როდრიგესი დააკლდა

„ვილიარეალი" უახლესი სამი კვირის განმავლობაში არგენტინელ მცველ **გონსალო როდრიგესს** მოისაკლისებს. „ელ სუბმარინოს" ფეხბურთელმა საზარდული დაიზიანა. „სუპერ დეპორტეს" მტკიცებით, როდრიგესს ორშაბათს სკანირება ჩაუტარდა, რომელმაც დაზიანების ხარისხი გამოავლინა. როდრიგესი პრიმერაში ორ მნიშვნელოვან შეხვედრას გამოტოვებს, „რეალთან" და „დეპორტივოსთან", ის „ვილიარეალს" ევროპის ლიგაზეც დააკლდება გერმანული „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ.

## ბრუნო კოჭმა შეაშინა

„ვალენსიას" მცველმა **ბრუნო სალტორმა** ვარჯიშზე კოჭი ისე დაიშავა, რომ ერთ თვეს ვერ ითამაშებს. პირველად 29 წლის მცველის ტრავმა მსუბუქი ეგონათ, მაგრამ, როცა ბრუნომ ვერ შეძლო ვარჯიშს დაბრუნებოდა, ის გულმოდგინედ გასინჯეს „ვალენსიას" ექიმებმა. საქმე იმაშია, რომ ბრუნომ ზუსტად იმ ადგილზე დაიზიანა კოჭი, სადაც ადრე მოტეხილი ჰქონდა, ამიტომაც ექიმები დასკვნებში ძალზე ფრთხილობენ. ამიტომაც ოთხ კვირაზე ადრე ბრუნოს მოედანზე დაბრუნების ნებას არ დართავენ.

## ბერდიევი ჰიდინკს შეცვლის, ჰიდინკი თერიმს?

რუსეთსა და თურქეთში სამწვრთნელო გადაადგილებების მოლოდინია. უკვე გაცხადდა, რომ **გუუს ჰიდინკი** 30 ივნისს რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს ოფიციალურად დატოვებს. სადღა არ „ნიშნავენ" ჰოლანდიელს - „იუვენტუსი", „ლივერპული", კოტ დ'ივუარის ნაკრები... მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ამ ფრონტზე ფავორიტი თურქეთია, სადაც ის **ფათიჰ თერიმს** შეცვლის. თავად ჰიდინკის შემცვლელს რაც შეეხება, გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ის შეიძლება იყოს **ყურბან ბერდიევი**, რომლის ხელშიც ყაზანის „რუბინმა" ზედიზედ ორჯერ მოიგო რუსული ფეხბურთის მთავარი ტიტული და ჩემპიონთა ლიგაშიც ერთობ შთამბეჭდავად იასპარეზა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკამათო საკითხები

# კუთხურის გოლია

**ნილ უორნოკმა** თანამსაჯ **ტრევორ მესეის** დასჯა მოითხოვა. „კრისტალ პალასის“ თავკაცის მტკიცებით, ამ ლაინსმენმა მისი გუნდისა და „ასტონ ვილას“ სათასო შეხვედრაში ბირმინგემელთა სასარგებლოდ დანიშნა კუთხური, რომელიც არ ყოფილა და რომლის წყალობით „ვილამ“ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. გოლი, რომელიც შეცდომით დანიშნულ კუთხურს მოჰყვა, თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე **სტილიან პეტროვმა** გაიტანა. საბოლოოდ შეხვედრა 2:2 დასრულდა და ახლა, მეოთხედფინალისტის გასარკვევად გუნდები ერთმანეთს 24 თებერვალს ბირმინგემის „ვილა პარკზე“ უნდა შეხვდნენ.

ტელეგამეორებებმა აჩვენეს, რომ კუთხური მართლა არ უნდა დაენიშნათ. ეპიზოდი სინამდვილეში ასე განვითარებულა: „კრისტალ პალასის“ გოლკიპერმა **ჯულიან სპერონიმ** ბურთი თავით აისხლიტა, რის შემდეგაც ის „ასტონ ვილას“ შემადგენლობაში ახალშესულ **ნათან დელფუნესოს** მოხვდა და ხაზს იქით ამის შემდეგლა გადავარდა. განრისხებულმა უორნოკმა ტრევორ მესეის გადაწყვეტილებას სამარცხვინო უწოდა. მან თქვა:

*„ეს გადაწყვეტილება სრულიად სამარცხვინო გახლდათ. ჩვენს თამაშს პრემიერლიგის არბიტრი კევინ ფრენდი სჯიდა, რომლის კვალიფიციურ გადაწყვეტილებებს მისტერ მესეი მთელი სალამოს განმავლობაში დროშით დასცინოდა. სადაც სამართალია, მას რამდენიმე ტურით დისკვალიფიკაცია უნდა მიუსაჯონ. ერთადერთი, რასაც ის აკეთებდა, რამეს რომ ეტყოდი, საპასუხო ღიმილი იყო. მან მითხრა, თუ ვცდები, დისკვალიფიკაციას მომისჯიანო. მე ვკითხე, შინ რომ მივიდოდა და სავარძელში დაჯდებოდა, წამით მაინც თუ გავახსენდებოდით. მსაჯი და თანამსაჯი თითოეული კუთხურის დანიშვნისას უნდა ფიქრობდნენ, რომ ისინი ამა თუ იმ გოლს, ფაქტობრივად, საგოლე მომენტს უქმნიან და პასუხისმგებლობაც აქედან გამომდინარე უნდა იკისრონ. იმ ეპიზოდში, ფრენდმა ნამდვილად ვერ დაინახა რა მოხდა და ამიტომაც ჰკითხა მესეის, მან კი შეცდომაში შეიყვანა. ფაქტობრივად, მესეიმ „ასტონ ვილას“ გოლი გაატანინა. ერთი სიტყვით, თამაშის მთავარი მსაჯი შეაცდინა კაცმა, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში არაფრად ვარგოდა და თუ დასჯიან, ვერანაირ თანაგრძნობას ვერ გამოვხატავ. ნეტავ, თუ გრძნობს რა მძიმე შედეგი მოჰყვა მის შეცდომას? ჩვენ ხომ პრემიერლიგის კლუბთან ვიბრძოდით და დაუმსახურებლად ვერ გავიმარჯვეთ“.*

მაგრამ, „ასტონ ვილას“ თავკაცმა **მარტინ ონილმა** ეპიზოდს სხვანაირი შეფასება მისცა: *„მართალი გითხრათ, არ მესმის, რითია ონილი უკმაყოფილო. შემიძლია, ჩემი წილი არგუმენტები მოვიტანო და დავამტკიცო, რომ დღეს მსაჯობა ჩვენთვის უფრო ცუდი იყო, ვიდრე „კრისტალ პალასისთვის“, მაგრამ ხმას არ ვიღებ. ვფიქრობ, ამ შეხვედრაში დამარცხებას არც ჩვენ ვიმსახურებდით და არც „კრისტალ პალასი“.*

კენჭისყრამ, ამ ორ გუნდს შორის გამარჯვებულს „რედინგსა“ და „ვესტ ბრომვიჩს“ შორის უკეთესთან შეხვედრა დაუთქვა.

■ ■ ■

...და კიდევ „კრისტალ პალასის“ გარშემო. **იან რაიტმა**, რომლის საგაზეთო წერილებს ინგლისური ფეხბურთის გულშემატკივარი „ლელოს“ ფურცლებიდან დროგამოშვებით ეცნობა, განაცხადა, რომ ამდენი წლის შემდეგ შესაძლოა აზრი შეიცვალოს და მწვრთნელობას მიჰყოს ხელი - „არსენალის“ ლეგენდა, რომელმაც კარიერა „კრისტალ პალასში“ დაიწყო, ძალების მოსინჯვას ამ გუნდში აპირებს.

სწორედ „არწივებმა“ აღმოაჩინეს 1985 წელს „გრინვიჩ ბოროს“ შემადგენლობაში ყმაწვილი თავდამსხმელი და დიდ ასპარეზზე გაიყვანეს იგი. რაიტმაც არ გაუწბილა იმედები: მალე გუნდის ბომბარდირად იქცა და ის, რომ „პალასმა“ 1990 წელს ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში ითამაშა, მისი დიდი დამსახურება გახლდათ. შემდეგ კი, მიაღწია რა პირველ წარმატებებს, ფორვარდი 2,5 მილიონ ფუნტად „არსენალში“ გაიყიდა. და აი, დღეს რაიტი ამბობს, რომ მზადაა კვლავ გამოადგეს თავის ოდინდელ გუნდს, რომელიც ასე ძალიან უყვარს. საიდან გაჩნდა „კრისტალ პალასში“ დაბრუნების იდეა? საქმე ის გახლავთ, რომ 24-გუნდიანი „ჩემპიონატის“ ცხრილში მე-19 ადგილზე მყოფი და ფინანსურ გაჭირვებაში ჩავარდნილი „პალასის“ გადასარჩენად ხელი, შესაძლოა, ყოფილმა მეპატრონემ **რონ ნოდსმა** გამოილოს ხელი და ამ შემთხვევაში რაიტი მზადაა მთელი ძალითა და ღონით შეუდგეს საქმეს.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა განაცხადა: *„რამდენადაც გავიგე, რონი აპირებს საქმისთვის ხელის მოკიდებას. ამბობენ, რომ სტივ კოპელიც (ყოფილი მწვრთნელი, რომელიც ბოლოს „რედინგს“ ედგა სათავეში - ავტ) მზადაა, რალაც ფორმით ჩაერთოს „პალასის“ გადარჩენის საქმეში და ეს ძალიან კარგია. დღეს კლუბს ყველაზე მეტად ერთგული, მოყვარული ხალხი სჭირდება. ფანები „კრისტალ პალასის“ ხელმძღვანელობას უნდა ენდობოდნენ. იმ ადამიანებმა, რომლებიც ლონდონელებს აქამდე ხელმძღვანელობდნენ, გულშემატკივრები გადარიეს და შედეგიც შესაბამისია. ცხრილში კარგად ჩანს, რა მოიტანა მათმა მეთოდებმა. ვფიქრობ, ხალხს კიდევ არ ესმის, როგორ უყვარს რონ ნოდსს „კრისტალ პალასი“ და რამხელა საქმე აქვს გაკეთებული მისთვის. ხოლო ის, რომ იგი სტივ კოპელთან ერთად აპირებს დაბრუნებას, ძალიან კარგი, იმედისმომცემი ამბავია. „პალასი“ მეც ძალიან მიყვარს. ეს ის ადგილია, სადაც დიდ ფეხბურთს ვეზიარე. რონს უდიდეს პატივს ვცემ და მზად ვარ, მისი ხელმძღვანელობით დღესაც ვიმუშაო. იქნებ, სტივთან ერთად მართლა გამოგვივიდეს რამე“.*

„კრისტალ პალასი“ დღეს გასავარდნთა ზონას მხოლოდ ერთი ქულით აღემატება. თუ „ჩემპიონატის“ ცხრილში დაკვირვებით ჩაიხედავთ, აღმოაჩენთ, რომ მას, 11 მოგებისა და 10 ფრის გამო 43 ქულა უნდა ჰქონდეს, მაგრამ 33 უწერია. მიზეზი: ლონდონელები გაკოტრდნენ, სახელმწიფომ კლუბი მეპატრონეს ჩამოართვა და ადმინისტრატორებს გადააბარა. ამის გამო „პალასი“ 10 ქულით დაისაჯა. ბოლო თავმჯდომარემ, **საიმონ ჯორდანმა** უფლებების ჩამორთმევამდე გადაწყვიტა, რისი თუ ვისი გაყოდვაც შეიძლებოდა ყველა და ყველაფერი გაეყიდა: იანვრის სატრანსფერო ბაზარზე მან „უიგანს“ 20 წლის თავდამსხმელი **ვიქტორ მოზესიც** მიჰყიდა, მაგრამ ასე მიღებული შემოსავლით ვერაფერს გახდა - კლუბი მაინც ადმინისტრატორების ხელში ჩავარდა.

თუმცა რაიტი მაინც იმედიანადაა: *„კლუბის ადმინისტრატორთათვის გადაცემა საშინელი ამბავია. რა მოხდება ვერ ვიწინასწარმეტყველებ, მაგრამ იქნებ მიწაზე დანარცხებამ გამოფხიზლებისა და ახალი აღმშენებლობის იმპულსი მოგვცეს“.*

ბუნებრივია, ასეთ პირობებში „კრისტალ პალასის“ ახლანდელი მწვრთნელის **ნილ უორნოკის** მომავალი გაურკვეველი რჩება. უორნოკზე, რომელიც საიმონ ჯორდანის ახლო მეგობარი გახლავთ, ამბობენ, რომ ლონდონის კიდევ ერთ გუნდში „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გადავა. რაიტი ამბობს, რომ ეს დიდი უბედურება არ იქნება:

*„ნილი ძველი სკოლის კარგი წარმომადგენელია, მაგრამ ის „კრისტალ პალასისთვის“ შესაფერისი არ იყო. „პალასს“ ახალი იდეებით აღსავსე ახალგაზრდა ადამიანი სჭირდება. საჭიროა კაცი, ვისაც ახალგაზრდა ფეხბურთელები ყურს დაუგდებენ და გაჰყვებიან. ეს სწორედ ის საქმეა, რომელზეც პირადად მე სიამოვნებით დავფიქრდები“.*



ნილ უორნოკი



იან რაიტი

დაბრუნება



პატრიკ ვიეირა აცხადებს, რომ იტალიაში გაცილებით უჭირდა...

# სტოკი იტალიაში არ არის

**პატრიკ ვიეირამ** განმარტა, რატომ მოიჩქაროდა პრემიერლიგისკენ ასე ძალიან - თურმე „სტოკ სიტისთან“ და მისნაირ გუნდებთან თამაში მონატრებია. მოგეხსენებათ, ფრანგი ვარსკვლავის ახალმა გუნდმა, „მანჩესტერ სიტიმ“, **ტონი პულისის** სტოკელ შეგირდებთან გუშინ ითამაშა. 33 წლის ფეხბურთელმა განაცხადა:

*„იტალიაში „სტოკ სიტის“ მსგავსი გუნდები არ არის. ასეთ მოწინაამდეგეებთან საქმის დაჭერა ძალიან მომენატრა. ჩემი ფეხბურთი მნიშვნელოვანწილად ფიზიკურ მომზადებაზეა დაფუძნებული. სერია A-ში ყველაფერი სხვანაირად იყო და გაცილებით მიჭირდა. ამიტომაც მოვიჩქაროდი ინგლისისკენ“.*

შემდეგ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა რამდენიმე დღის წინ გამართულ ფეხბურთის ასოციაციის თასის შეხვედრაზე ილაპარაკა. შაბათს, იგივე გუნდები ამ შეჯიბრებაშიც შეხვდნენ ერთმანეთს და 1:1 ითამაშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად 24 თებერვალსაც გაიმართება შეხვედრა, ოღონდ უკვე სტოკში. საბოლოოდ გამოდის, რომ ეს ორი გუნდი 11 დღეში სამჯერ შეხვდება ერთმანეთს.

*„ჯერ თამაში დაბეჯითებით უნდა მოგვეგო და საფეხბურთო ხელოვნებაზე მერე უნდა გადავსულიყავით“,* - განმარტა ვიეირამ, რომელიც „ინტერიდან“ მანჩესტერის ისტლენდზე გადმობარგების შემდეგ ტრავმამ შეაწუხა და ახალ გუნდში პირველი ექვსი თამაში გაუცდა. ვიეირამ თქვა:

*„ვიმედოვნებ, რომ ფიზიკურ ფორმას სულ მალე სრულყოფილად აღვიდგენ. სეზონის დასრულებამდე ძალიან ბევრი თამაში აღარ დარჩა და თან ახლა წლის გადამწყვეტი პერიოდი იწყება“.*

მნიშვნელოვანი ფიგურა

# ძველი მასკერანოს დაბრუნება




ხავიერ მასკერანო

„**ლივერპულის**“ თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** განაცხადა, რომ მისი გუნდის გადამწყვეტ ბრძოლას პრემიერლიგის ტოპოთხეულში შესასვლელად წინ **ხავიერ მასკერანო** გაუძღვება - როგორც ჩანს „ბარსელონასთან“ დაკავშირებული სატრანსფერო ისტერიკა ჩაწყნარდა.

შეგახსენებთ, რომ არგენტინელი ნახევარმცველი სეზონის პირველ ნახევარში საშინლად თამაშობდა, საკუთარ თავს არ ჰგავდა, რაშიც დიდი როლი გაუთავებელმა მითქმა-მოთქმამ ითამაშა. დღე ისე არ გავიდოდა, ვინმეს რომ არ ეთქვა, თუ როგორ არის ესპანეთის ჩემპიონი მისი ყიდვით დაინტერესებული. შესაბამისად, ნახევარმცველის მომავალი „ენფილდ როუდზე“ ჩრდილქვეშ ექცეოდა, ხოლო თავად მასკერანოს თავგზა ებნეოდა. ვითარება ბოლო ექვს თვეში შეიცვალა, როდესაც ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული საყრდენი კვლავ ძველებურად ათამაშდა.

კვირას მერსისაიდელები მანჩესტერში მიემგზავრებიან „სიტის“ წინააღმდეგ სათამაშოდ. ვინც პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში ოდნავ მაინც ჩახედულია, დიდი განმარტება არ სჭირდება, თუ რა მნიშვნელობისაა ეს თამაში. „ლივერპულისთვის“ დამარცხება ისტლენდელებთან პოტენციურ ექვსქულიან ჩამორჩენას ნიშნავს, რადგან „სიტის“ თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. „წითლების“ მწვრთნელმა განაცხადა:

*„მოედანზე მასკერანოს რომ უყურებ, ხვდები, რატომ არის ის არგენტინის ნაკრების კაპიტანი. ის ძალიან ძლიერი ნებისყოფის ადამიანია, მებრძოლი სული აქვს, თანაგუნდელებს იყოლიებს და ბრძოლისთვის განაწყობს. ხავიერი მთელ გუნდზე ზემოქმედებს. „ევერტონთან“ იგი დაცვის მარჯვენა ფრთაზე თამაშობდა და იქიდანაც კი ახერხებდა ყველას დარაზმვას. სეზონის დასაწყისში მის გარშემო სატრანსფერო ისტერიკა იყო ატეხილი და ამ ისტერიკასთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ დღეს მასკერანო ისევ ის ფეხბურთელია, რომელსაც კარგად ვიცნობდით. დღეს იგი ასი პროცენტით თავდადებულია“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# საჩემპიონო ამბიციები და ტოტის მორიგი ტრავმა

იტალიაში ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, შეძლებს თუ არა „რომა“ „ინტერისთვის“ სასკუდეტო კონკურენციის გაწევას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ თვით **კლაუდიო რანიერია** მეტად სკეპტიკურად განწყობილი, ბევრს მაინც მიაჩნია, რომ „მგლებს“ ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შეუძლიათ. ამ საკითხზე, თავისი მოსაზრება აქვს „ჯალოროსის“ დაცვის ბურჯს **ჟუანს**:

„ძალიან კარგად ვთამაშობთ და შედეგიც შესაბამისი გვაქვს, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს. მოგატყუებთ, თუ გეტყვით, რომ სკუდეტოზე არ ვფიქრობ, მაგრამ მეორე მხრივ, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მხოლოდ ჩვენს თავზე არ ვართ დამოკიდებულნი. „ინტერი“ ძალიან ძლიერი გუნდია, რომელსაც შესანიშნავი მწვრთნელი თავკაცობს. ჟოზე მოურინიომ კარგად იცის, როგორ უნდა მიიყვანოს გუნდი მორიგ სკუდეტომდე, ამიტომ, ობიექტურნი უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ მთავარი ფავორიტი მაინც „ნერაძურია“. ვნახოთ, უახლოეს კვირებში უფრო კარგად გამოჩნდება, შევწევს თუ არა ძალა, „ინტერს“ კონკურენცია გავუწიოთ“.

ჟუანი ძალიან ფრთხილ კომენტარს აკეთებს და საერთოდაც, რომაელები მოკრძალებულ პოზიციას აფიქსირებენ. ვფიქრობთ, ეს ერთგვარი პოზაა, რადგან იგივე **ტოტი** ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა სკუდეტოზე, როდესაც გუნდი ოთხეულშიც არ იყო. თავად განსაჯეთ, „ჯალოროსის“ სხვადასხვა ტურნირში ოცი თამაშია არ წაუგია, ბოლო ცხრა პაექრობა კი სულაც გამარჯვებით დაასრულა. ბუნებრივია, თუ ასე გააგრძელეს, „ინტერის“ საჩემპიონო ამბიციები დიდი რისკის ქვეშ დადგება.

ამასობაში, იტალიური პრესა **ფრანჩესკო ტოტის** შესახებ ავრცელებს მეტად სამწუხარო ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო, მაინც ითამაშა „პალერმოს“ წინააღმდეგ და ცხვირიც წაიმტვრია. ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და შესვენებისას შესაცვლელი შეიქმნა. ექიმების პირველადი ვერდიქტით, მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა და დიდია შანსი, ოპერაციის გაკეთება გახდეს საჭირო. ასეთ შემთხვევაში, ტოტის მინიმუმ ერთი თვით მოუწევს ლაზარეთში გადანაცვლება.

**ლაშა ნიკლაური**



მარჩელო ლიპი და ფაბიო კაპელო. შედგება ორი იტალიელის ფინალი?

იტალიის ნაკრები

# ლიპის ოცნების ფინალი: იტალია და ინგლისი

## მამელის ჰიმნი და ფაბიო კაპელო

„გაძეტა დელო სპორტმა“ მარჩელო ლიპისა და ეროვნულ ნაკრებზე მორიგი ვრცელი მასალა გამოაქვეყნა. ავტორიტეტული გამოცემის ჟურნალისტი მაესტროს შეხვდა და მასთან ერთი სრული დღე გაატარა. ეს ამბავი სალერნოში მოხდა, სადაც „სკუადრა აძურას“ დამრიგებელი სათევზაოდ ყოფილა ჩასული. ლიპის უახლოესი გეგმები იტალიურ ტურნეს უკავშირდება: სერია A-ს კლუბებს სტუმრობს ბაზაზე და ეროვნული გუნდის თითოეულ კანდიდატს პირისპირ ესაუბრება. ამასთან, ადგილზე ეცნობა მათ მდგომარეობას და სათამაშო კონდიციას. ტურნეს პირველი ეტაპი გასულ კვირას დაამთავრა და ახლა, ცოტა ხანს დასვენება აქვს გადაწყვეტილი - თუმცა, როგორც თავად ამბობს, დასვენების დროსაც მუშაობს, რადგან მწვრთნელის საქმიანობა პირველ რიგში ფიქრია. მოვუსმინოთ მარჩელოს:

„მწვრთნელი არასდროს ისვენებს, რადგან ჩვენი უპირველესი მოვალეობა ფიქრი და სწორი დასკვნების გამოტანაა. ამიტომ, როდესაც მშვიდ გარემოში ხარ, თევზაობ და ისვენებ, სწორედ მაშინ მოგდის ის აზრები, რომლებსაც შემდეგ მოედანზე იყენებ. ძალიან მიყვარს უბრალო ხალხთან ურთიერთობა და მათთან ფეხბურთზე საუბარი. თუნდაც მეთევზეები ავიღოთ, უნდა ნახოთ, როგორი ენთუზიაზმით მიზიარებენ აზრებს და მაძლევენ რჩევებს. დიახ, რჩევებსაც მაძლევენ და ხშირად საკმაოდ საინტერესოს. ასეთი საუბრები ენთუზიაზმით მავსებს, კიდევ უფრო მოტივირებული ვხდები, თუმცა ამ მხრივ, პრობლემა არც არასდროს მქონია. ხშირად მიფიქრია, კარგი იქნებოდა, ჩემთან ერთად ფეხბურთელებიც რომ მოგ ზაურობდნენ, ისინიც უამრავ დადებით ემოციას მიიღებდნენ ამ ხალხისგან და კიდევ უფრო კარგად გააცნობიერებდნენ, რას ნიშნავს მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეყნის ღირსების დაცვა“.

„გაძეტას“ ჟურნალისტმა ლიპის შემადგენლობაზე ჩამოუგდო სიტყვა და **ალესანდრო ნესტას** შესახებ კონკრეტულად საუბარი სთხოვა. „მილანელოზე“ სტუმრობისას ლიპი პერსონალურად შეხვდა ნესტას და პირისპირ კარგა ხანს ესაუბრა. აი, რას ამბობს ამ ყველაფერთან დაკავშირებით მარჩელო:

„სანდროს ველაპარაკე, ისევე როგორც ფრანჩესკო ტოტის დაახლოებით სამი თვის წინ. ორივე მათგანმა მყარად გადაწყვიტა სანაკრებო კარიერის დასრულება და მათ ამ ნაბიჯს პატივს ვცემ. არ დავმალავ, ნესტას ვუთხარი, რომ თუ ნაკრებში დაბრუნებას გადაწყვეტს, სიამოვნებით გამოვიძახებ. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ შესარჩევ ეტაპზე არ უთამაშია, მისი კალიბრის ფეხბურთელზე უარს არ ვიტყოდი. თუმცა, ჯერჯერობით ნაკრებში დაბრუნების სურვილი არ გამოუხატავს. აქვს თუ არა შანსი კასანოს? - ამ საკითხზე უკვე დავაფიქსირე ჩემი მოსაზრება. კარი არავისთვის დამიხურავს, მაგრამ ის კი აღვნიშნე, რომ ანტონიო ჩემს სათამაშო მონახაზში არ ჯდება. შესანიშნავი ფეხბურთელია, კარგი ინდივიდუალისტი, მაგრამ მისი ადგილი ამ ფორმაციის „აძურაში“ უბრალოდ არ არის. თუ შეიცვლის სათამაშო მანერას და სხვა ამპლუაში მოგვევლინება, შეიძლება დაფიქრება, მისი საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს“.

ლიპი ინდივიდუალისტებს არ წყალობს და მუშა ფეხბურთელებს ეყრდნობა - ამის გამო მარჩელოს ბევრსაც აკრიტიკებენ, თუმცა შედეგზე პასუხისმგებელი სწორედ მწვრთნელია და იმ ფეხბურთელებს იძახებს, რომლებიც მის სათამაშო მონახაზში ჯდებიან:

„ჩემი მთავარი მიზანია, რომ სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე წარმატებით ვიასპარეზოთ და პლანეტის საუკეთესო გუნდის ტიტული შევინარჩუნოთ. სწორედ ამიტომ, ხშირად არ ვუსმენ გულშემატკივართა აზრს და პრაგმატულ გადაწყვეტილებებს ვიღებ. ბევრს უნდა, რომ რაც შეიძლება მეტი „ფანტაზისტა“ გამოვიძახო და ამით, „აძურას“ თამაში უფრო სანახაობრივი გავხადო. კი, მაგრამ, ჩვენ ამით ხეირს ვერ ვნახავთ. რაც უნდა მოვინდომოთ, ამ კომპონენტში ბრაზილიელებს მაინც ვერ ვაჯობებთ და გამოდის, რომ იმაზე ვაკეთებთ აქცენტს, რაშიც მაინც ვერ ვიქნებით პირველები. ჩვენ ჩვენი კოზირები გვაქვს და მომეცით საშუალება, რომ ამ კოზირებზე ვიმუშაო. მიზნის მისაღწევად ისეთი ფეხბურთელები მჭირდება, რომლებიც კონკრეტულ ამოცანებს შეასრულებენ. ამიტომ, ხშირად არ ესმით რატომ ვიწვევ ამა თუ იმ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში“.

ერთ-ერთ ინტერვიუში ლიპიმ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიასთან შეხვედრას ისურვებდა. **დუნგას** უძლიერესი გუნდი ჰყავს და სწორედ მისი დამარცხება ისურვა მარჩელომ გადამწყვეტ პაექრობაში. თუმცა გავიდა ხანი და ბრაზილია ინგლისმა ჩაანაცვლა. ამ საკითხზე ლიპი საკმაოდ საინტერესოდ საუბრობს:

„ბრაზილიას უძლიერესი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ფინალში მაინც ინგლისთან დაპირისპირებას ვისურვებდი. ფაბიო კაპელოს გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს და ვფიქრობ, რომ მათ ძალუძთ უმაღლესი მიზნების მიღწევა. ჩვენი ფინალი იტალიური სამწვრთნელო სკოლის დიდი გამარჯვება იქნება, რადგან გადამწყვეტ პაექრობაში ერთმანეთის პირისპირ ორი აპენინელი სპეციალისტი წარდგება. თანაც, ძალიან მაინტერესებს, როგორ მოიქცევა ფაბიო გოფრედო მამელის შედევრის, იტალიის ეროვნული ჰიმნის შესრულებისას“.

როგორც იცით, **კაპელომ ჯონ ტერის** ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. თუ რატომ, ამის შესახებ ფეხბურთის ნებისმიერმა გულშემატკივარმა იცის და აღარ გავიმეორებთ. ლიპის „გაძეტას“ ჟურნალისტმა ასეთი კითხვა დაუსვა - თქვენ როგორ მოიქცეოდით ფაბიოს ადგილზეო? მარჩელოს პასუხი ასეთი იყო:

„კაპიტანი ყოველმხრივ სამაგალითო უნდა იყოს და მესმის კაპელოს გადაწყვეტილების. ტერი დიდი ფეხბურთელია და ტიპური ლიდერი, მაგრამ შეეშალა და ამისთვის დაისაჯა კიდეც. მე როგორ მოვიქცეოდი? - შესაძლოა სხვა ფორმით დამესაჯა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ინციდენტს უყურადღებოდ არ დავტოვებდი“.

ბოლოს, ლიპიმ მუნდიალის ფავორიტებზე ისაუბრა და მთავარი კონკურენტები სათითაოდ დაახასიათა:

„ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია, ეს ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ. დუნგას უდიდესი საკადრო რესურსი აქვს, გადახედეთ იტალიურ კლუბებს და ამაში თავადაც დარწმუნდებით. მახსოვს, ბრაზილიაში მუდმივად იმაზე წუწუნებდნენ, მეკარეები არ გვივარგაო და დღეს ამ მხრივაც იდეალურად აქვთ საქმე. ჟულიო სეზარი ერთ-ერთ საუკეთესო კიპერია მსოფლიოში, იგივე შეიძლება ითქვას ნელსონ დიდაზე, ალეშანდრე დონიზე დონიზე და ჟულიო სერჟიოზე. ფავორიტია ინგლისი და ამაზე ზემოთაც ვისაუბრე. მარტო ის რად ღირს, რომ ამ გუნდს ფაბიო კაპელო უდგას სათავეში. დღეს ინგლისი ისეთი თავდაჯერებულია, როგორიც არასდროს. სიურპრიზებს ველოდები საფრანგეთის და არგენტინის ნაკრებებისგან. ამ გუნდების შანსებზე ექსპერტები სკეპტიკურად საუბრობენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორივე ნაკრები ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ესპანეთი ნამდვილად არ დამვიწყნია, ეს გუნდი ბურთს ფანტასტიკურად ფლობს და თუ შენც მის თამაშს აჰყევი, განწირული ხარ. პირენეელებს სივრცეები უნდა შეუზღუდო და თამაში ჩაუკეტო, ასეთ შემთხვევაში, შანსები ერთიორად იზრდება. მთლიანობაში, ძალიან საინტერესო მუნდიალი იქნება და ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც მოცემული მომენტისთვის უკეთ იქნება მომზადებული“.

**ლაშა ნიკლაური**

კარიდან დანახული ფეხბურთი

# ჩეხი ჩეხის საფიქრალი

„ჩელსის“ მეკარე **პეტრ ჩეხი** „სტემფორდ ბრიჯზე“ დარჩენას კიდევ ათი წლით გეგმავს. რასაკვირველია, ამისათვის ერთი აუცილებელი პირობაა - მან ახლანდელი ფორმა უნდა შეინარჩუნოს. თუ გახსოვთ, სეზონის დასაწყისში ჩეხს გვარიანად აკრიტიკებდნენ, რადგან მის გამო დასავლეთლონდონელთა გუნდი სტანდარტული მდგომარეობებიდან გოლს გოლზე უშვებდა. „ლურჯების“ საბედნიეროდ, გოლკიპერმა ბოლო ხანს ძველებური ფორმა აღიდგინა და ხშირად თვალისმომჭრელად გაიბრწყინებს ხოლმე. 27 წლის ფეხბურთელს „ჩელსისთან“ 2013 წლამდე უკვე აქვს კონტრაქტი გაფორმებული, თუმცა ამაზე გაჩერებას, როგორც გითხარით არ აპირებს. მან თქვა:

„თუ ჯანზე ვიქნები, თუნდაც ისეთზე, როგორზეც დღეს ვარ, შევეცდები, რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო. ფეხბურთელის კარიერა ხომ ძალიან ხანმოკლეა და ამ ცხოვრებას რაც მეტს გამოსტყუებ, მით უკეთესი. ვიმეორებ, რასაკვირველია, ყველაფერი ფორმაზეა დამოკიდებული. მეკარის კარიერაში, სამწუხაროდ, დგება დღე, როდესაც ის უცბად აღმოაჩენს, რომ ძველებური რეაქცია აღარ მოსდგამს და გოლებს უშვებს. ასე რომ, გააჩნია ეს არასასიამოვნო დღე როდის დამიდგება“.

ჩეხის მონაწილეობით „ჩელსიმ“ პრემიერლიგის ორი ტიტული მოიპოვა, ოღონდ ორივეჯერ გუნდს **ჟოზე მოურინიო** ედგა სათავეში თუ ლონდონელები ტიტულს წლეულსაც მოიპოვებენ გამოვა, რომ მათ პორტუგალიელი მწვრთნელის ეპოქა საბოლოოდ გაიარეს და მის გარეშეც შეუძლიათ წარმატებების მიღწევა. ჩეხი ამბობს, რომ ერთი სული აქვს, როდის დადგება შემდეგი კვირის ოთხშაბათი, 24 თებერვალი, როდესაც მათი გუნდი მილანში ჩავა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ინტერს“ დაუპირისპირდება. ინტერის მწვრთნელი კი, მოგეხსენებათ, სწორედ ჟოზე მოურინიოა. მეკარემ განაცხადა:

„ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის ყოველ წელიწადს ვიბრძვით. პირადად მე ყოველ სეზონში ძალასა და ღონეს არ ვიშურებ, რათა ეს ჯილდო ბოლოს და ბოლოს მოვიპოვო. ჩემპიონთა ლიგა ერთადერთი შეჯიბრებაა, რომელშიც ჩვენ ჯერ არ გაგვიმარჯვია და რად უნდა ლაპარაკი, ჩვენი გუნდის ყველა წევრს ძალიან უნდა მისი მოპოვება. ამჯერად, „ინტერს“ ვხვდებით და ეს, როგორც ფანებისთვის ასევე ფეხბურთელებისთვის თუ „ჩელსისთან“ დაკავშირებული ნებისმიერი ადამიანისთვის საგანგებო მოვლენაა. შობამდე, უფრო სწორად კი კენჭისყრამდე ვთქვი, თუ ინგლისურ და იტალიურ პრესა-ტელევიზიას სანტა კლაუსისგან საჩუქარი უნდა, „ჩელსი“ „ინტერს“, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“ „მილანს“ უნდა შეხვდეს-მეთქი. როგორც ხედავთ, მართლა ასე მოხდა და ეს მშვენიერია“.

დღეს, პეტრ ჩეხს „ლურჯების“ მწვრთნელი **კარლო ანჩელოტიც** ძალიან ემადლიერება, ხოლო თავად გოლკიპერი, რომელიც ოდესღაც ფრანგულ „რენში“ გამოდიოდა, ბედნიერია, რომ თამაშობს გუნდში, რომლის დაცვაც მეტოქეებს საგოლე მომენტების შექმნის საშუალებას ათასში ერთხელ აძლევს.

„ხანდახან მოსაწყენია, რადგან 10-15 წუთი ისე გადის, რომ შენს სიახლოვეს არაფერი ხდება და ტყუილად დგახარ. შემდეგ, უეცრად ვითარება შეიცვლება და იძულებული ხარ, მყისიერად ჩაერთო საქმეში. ეს მენტალურად ძნელი გასაძლებია. შესაძლოა, ერთი მომენტი გამოხდეს და გოლი გაგიტანონ. ეს შესაძლოა საუცხოო გოლი იყოს, რომელსაც გაუშვებ შეხვედრაში,რომლის განმავლობაშიც შენს კართან სხვა არაფერი მომხდარა - ტყუილად იდექი. ართი სიტყვით, თუ თამაშის მოგება გინდა, კარგმა მეკარემ მთელი 90 წუთის განმავლობაში არ უნდა მოადუნოს ყურადღება. უამრავი შემთხვევა ვიცი, როდესაც საშუალო გუნდის გოლკიპერი ძლიერ გუნდში გადასულა და ამ პრობლემასთან დამარცხებულა. ეს ხალხი ვერ შეეგუა ახლებურ სიტუაციას, როდესაც მთელი შეხვედრის განმავლობაში შესაძლოა სულ ერთხელ ან ორჯერ შემოგიტიონ და შენ ამ დროს არ უნდა გეძინოს“.

**ილია ბაბუნაშვილი**



პეტრ ჩეხი

ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან




მანუჩარ მარკოიშვილი (მარცხნივ, თეთრი მაისურით) და ვიქტორ სანიკიძე (მარჯვნივ)

# 25 ქულა, რომელიც წაგებამ გააფერმკრთალა

**მანუჩარ მარკოიშვილი „კიევში" თამაშობდა, როცა „კანტუს" მწვრთნელმა ანდრეა ტრინჩიერიმ დაურეკა. მწვრთნელმა მოკლედ და გარკვევით უთხრა - შენი შესაძლებლობები ვიცი და ჩემს გუნდში მინდა გიხილოო.**

**ანდრეა ტრინჩიერი ჭკვიანი მწვრთნელი აღმოჩნდა - მანუჩარ მარკოიშვილის სახით ისეთი კალათბურთელი დაიმატა, რომელსაც ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია ბოლომდე ენდოს. ქართველი კი იმედს არ გაუცრუებს. ასე მოხდა კვირა სალამოსაც - მარკოიშვილმა 4-4 ორ და სამ ქულიანი (5-5 მცდელობიდან) ჩააგდო, ხუთი საჯარიმოც მიამატა და 25 ქულა მოუგროვდა. გულდასაწყვეტია, რომ მანუს თანაგუნდელებმა მხარი სათანადოდ ვერ აუბეს და „კანტუ" „მონტეგრანაროსთან" ბოლო წამებზე 71:77 დამარცხდა.**

**მანუჩარ მარკოიშვილთან საუბარი სწორედ ზემოთ ნახსენები მატჩით დავიწყეთ.**

- გამარჯვება შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე რიგ ეპიზოდებში ათზე მეტი ქულის სხვაობით დაწინაურდა, ბოლო წუთებზე თამაში გამოვასწორეთ და სხვაობა ქულამდე შევამცირეთ (70:69), თუმცა ბოლო წუთზე მაინც მასპინძლებმა გვაჯობეს. „მონტეგრანარო" მიმდინრე სეზონში შინ დამაჯერებლად ასპარეზობს. მათ დარბაზში განსხვავებული ატმოსფეროა შექმნილი და ორი ქულის წამოღება ძნელია. ამიტომაცაა, „მონტეგრანაროს" შინ ჯერ მატჩი არ წაუგია.

**- მატჩის შემდეგ მეტოქის მწვრთნელმა შენს თამაშს გაუსვა ხაზი, „კანტუს" თავკაცს კი არაფერი უთქვამს...**

- ჩვენი მწვრთნელი გაბრაზებული იყო, მატჩის მსვლელობისას ბევრი შეცდომა დავუშვით... ამიტომ, პოზიტიური კუთხით ვერც ერთი კალათბურთელის თამაშს ვერ შეაფასებდა.

**- წაგება რომ არა, 25 ქულაც სხვანაირად დაფასდებოდა...**

- გეთანხმები. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ მატჩის შემდეგ კმაყოფილი არ დავრჩენილვარ. მეც გაბრაზებული ვიყავი...

**- ასეა თუ ისე, სტატისტიკის მიხედვით, ეს იყო შენი საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში...**

- ქულების რეკორდი გავაუმჯობესე, 25 ქულა მოვაგროვე, ტყორცნების რეალიზების მაჩვენებელიც მაღალი მქონდა, მაგრამ წაგებულ მატჩში 30-35 ქულაც რომ ჩამეგდო, კმაყოფილი მაინც ვერ ვიქნებოდი.

**- ვიდრე საქართველოს ნაკრების სხვა მეტოქეებზე გადავიდოდეთ, ორი სიტყვით „კანტუს" საპლეიოფო შანსებზე ვთქვათ.**

- პლეი ოფში გასვლაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერ „კანტუს" განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა გვსურს, თამაში კიდევ უნდა გავაუმჯობესოთ. დანარჩენს უშუალოდ თამაშები გვიჩვენებს.

**- უახლოესი შეხვედრა იტალიის თასზე გელით. ნახევარფინალში „ბიელას" დაუპირისპირდებით.**

- 19 თებერვალს რთული ბრძოლა გველის. ჩემპიონატში „ბიელასთან" შინ დავმარცხდით, თუმცა მომავალი მატჩისთვის კარგად ვემზადებით და ნახევარფინალში გასვლას ვეცდებით.

**- ნახევარფინალში ვის დაუპირისპირდებით?**

- სიენს „მონტეპასკის". თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალის ბარიერი დაძლია.

**- „მონტეგრანაროში" თამაშობს ბულგარეთის ნაკრების წევრი დეიან ივანოვი. როგორი კალათბურთელია?**

- კვირას თამაში ისე ვერ წაუვიდა, როგორც სურდა. თუმცა ეფექტური კალათბურთელია, შავ სამუშაოს არ თაკილობს და იმ მოთამაშეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც „არაფრისგან თამაშის გაკეთება" შეუძლიათ.

**- ნაკრების მომავალი მეტოქეებიდან კიდევ ვის წინააღმდეგ გითამაშია?**

- არაერთის წინააღმდეგ... პოლონელი შიმონ შევჩიკი სლოვენიის „ოლიმპიაში" ჩემი თანაგუნდელი იყო. იგი ახლა იტალიური „აველინოს" ღირსებას იცავს. „კასერტაშია" პოლონელი გამთამაშებელი კოზარეკი...

**- ბელგიელებსაც ძლიერი ნაკრები ჰყავთ. ბილბაოელმა აქსელ ჰარველემ ამ უქმეებზე მადრიდის „რეალს", ფაქტობრივად, მარტომ მოუგო...**

- კარგი ფორვარდია. ძალიან გამიკვირდა, „რეალმა" რომ გაუშვა...

**- ყველაზე ნაკლებად პორტუგალიას ვიცნობთ...**

- ამ გუნდთან სამი წლის წინათ ვითამაშეთ. ვფიქრობ, ისინი ბევრს არაფერს შეცვლიდნენ და მეტ-ნაკლებად ვიცით, რას უნდა ველოდეთ პორტუგალიელებისგან. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. გვისტომდე ხუთი თვეა დარჩენილი.

**- ბოლოს ზოგადად ჩვენს ჯგუფზე ვთქვათ...**

- რომელ ჯგუფშიც უნდა მოვხვედრილიყავით, იოლი მატჩები არც ერთში გვექნებოდა. კარგია, რომ პირველ ჯგუფს ავცდით, მაგრამ სიტუაციას მეტოქეების თვალით შევხედოთ: საქართველოს ნაკრები A დივიზიონში ახალი გადასულია და ბევრი რამ დასამტკიცებელი აქვს. თუმცა, არც იმ დონის გუნდი გვყავს, რომ ჯგუფში აუტსაიდერებად ჩაგვთვალონ და ბოლო ადგილზე გაგვამწესონ...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

# ლიდერები რისკს ერიდებიან

„აეროფლოტის" საჭადრაკო ფესტივალი, ფაქტობრივად, ფინიშის სწორზე გავიდა, რადგან მეტოქეებს ორ-ორი პარტიაღა დარჩათ გასამართავი, ამიტომ მეწინავენი ზედმეტ რისკს ერიდებიან. დასტურად მეშვიდე ტურის ორთაბრძოლებიც გამოდგება: პირველი 15-დან 10 პაექრობა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ **სონ ნგუენი** და **ბორის გრაჩევი**, **არკადი ნაიდიჩი** და **ქუანგ ლი**, რითაც ისარგებლეს **ბორის სავჩენკომ** და **იან ნეპომნიაშჩიმ**, რომლებმაც, შესაბამისად, **ჯოვანი ვესკოვისა** და **არმან პაშიკიანს** სძლიეს და 5-5 ქულით უწინდელ ლიდერებს გაუთანაბრდნენ.

საკუთარ შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშა **ლელა ჯავახიშვილმა**, რომელმაც შავი ფიგურებით **ჰრანტ მელქუმიანთან** წააგო. დამარცხდა **მარი სებაგი** - ამერიკელ **ანტონ შომოევთან**. სამაგიეროდ, იყოჩაღეს დებმა **კოსინცევებმა** - **ტატიანამ სერგეი ჟიგალკოს** დააყრევინა ფარხმალი, **ნადეჟდამ ეჰსან ჩაემს** აჯობა, **ჰოუ იფანი** კი **ზავენ ანდრიასიანს** დაუზავდა.

ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ქალებში პირველ-მეორე ადგილებს 3,5-3,5 ქულით ჰოუ იფანი და ტატიანა კოსინცევა იყოფენ. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება ნადეჟდა კოსინცევა. ჯავახიშვილს 2,5, სებაგს კი 2 ქულა აქვს.

მერვე ტურში ქართველი დიდოსტატი ირანელ ჩაემს დაუპირისპირდება. ასევე, საინტერესო იქნება შემდეგი ორთაბრძოლები: **იან ნეპომნიაშჩი (5)-ბორის გრაჩევი (5), ქუანგ ლი (5)-ბორის სავჩენკო (5), სონ ნგუენი (5)-ევგენი ნაიერი (4,5), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (4,5)-კრიშნან საშიკირანი (4,5), არკადი ნაიდიჩი (4,5)-ანტონ კორობოვი (4,5), ივან ჩეპარინოვი (4,5)-ევგენი ბარეევი (4,5), ვესლი სოუ (4,5)-ჯინჩაო ჟოუ (4,5).**

**ვაჟა დანელია**

# კვარტეტთან ახლოს სულაშვილი დგას

ირანში მოჭადრაკეთა კასპიის თასის გათამაშებაზე მორიგი ორი ტურის პარტიები გაიმართა. გაუწყებთ ჩვენებურების შეხვედრათა შედეგებს:

მე-5 ტური: **მალხაზ სულაშვილი-ვალერიან გაფრინდაშვილი** 1:0, **აზჰარ გოლიზადეხი-დავით ბენიძე** 1:0, **გევორქ ჰარუთიუნიანი-დავით ლომსაძე** 1:0, **არმან აირაპეტიანი-მერაბ გაგუნაშვილი** 1:0, **კონსტანტინე შანავა-ომიდ ნორუზი** 1:0, **ამირ მალახი-დავით მალალაშვილი** 0,5:0.5, **აკაკი შალამბერიძე-ზუზანქარი** 0:1, **ბაჩანა მორჩიაშვილი-კუჰესთანი** 0:1, **სარასადათ ხადმალშარი-ივერი ჭილლაძე** 0:1.

მე-6 ტური. **ფარიდ აბასოვი-გაიოზ ნიგალიძე** 1:0, **რობერტ ჰოვანესიანი**-მალხაზ სულაშვილი 0,5:0,5, **არაზ როგჰანი**-კონსტანტინე შანავა 1:0, დავით ბენიძე-**აიაზ მამადოვი** 1:0, დავით მალალაშვილი-**ამირეზა ფურამეზანალი** 0:1, ვალერიან გაფრინდაშვილი-ზუზანქარი 0:1, **მითრა ჰეჯაზიფური**-დავით ლომსაძე 0,5:0,5, ივერი ჭილლაძე-**პოია იდანი** 0:1, ბაჩანა მორჩიაშვილი-**გაზალ ჰაკიმიფარდი** 1:0, **რასულ აბასი**-აკაკი შალამბერიძე 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: სულაშვილი - 4,5, ბენიძე, ნიგალიძე - 4-4, შანავა, ლომსაძე, გაგუნაშვილი - 3,5-3,5, მალალაშვილი, გაფრინდაშვილი, შალამბერიძე, მორჩიაშვილი - 3-3, ჭილლაძე - 2,5 ქულა.

თასის გათამაშებას 5-5 ქულით აზერ მირზოევი, ელშან მორადიაბადი, ფარიდ აბასოვი და აზჰარ გოლიდახერი უდგანან სათავეში. შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურია დარჩენილი. იმედია, ჩვენს მოჭადრაკეებს სპარსულ-აზერბაიჯანული ბარიერების გადალახვა და კვარცხლბეკზე ასვლა არ გაუჭირდებათ.

**ვაჟა დანელია**

# ქართული ტრიო ფრანგულ კაპელაში

კაპელე ლა გრანში გრძელდება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 652 წარმომადგენელი ასპარეზობს, მათ შორის სამი დიდოსტატი საქართველოდანაა. **თორნიკე ჯოჯუამ** პირველი ორი შეხვედრა მოიგო. ორიც ყაიმით დაამთავრა და ახლა 3 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა, თუმცა, ამდენივე მონაგარი უამრავ მონაწილეს აქვს. **დავით არუთინიანმა** 2,5 ქულას მოუყარა თავი, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე** მას ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ფრანგულ ტურნირს ოთხი შესაძლებლიდან უდანაკარგოდ უკრაინელი **იური ვოვკი** ლიდერობს. რვა დიდოსტატმა კი ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა.

**ვაჟა დანელია**

# ჩემპიონები დაზავდნენ

ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირზე ერთპიროვნული ლიდერი, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **სალომე მელია** გუშინ შავი ფიგურებით ყაიმზე შეუთანხმდა **ელენა კოსმას**, რომელიც რუმინეთის 2010 წლის ჩემპიონატის გამარჯვებულია. სამწუხაროდ, ისევ დამარცხდა **ბელა ხოტენაშვილი**. მე-7 ტურში იგი თეთრი ფიგურებით **ანიტა გარას** დანებდა. რუმინეთის წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა **ქრისტინა ფოიშორმა ევა რეპკოვას** გააჩერებინა საათი, ხოლო **სიდონია ვაიდა** და **ირინა ტუროვა** დაზავდნენ. ყველაზე ბოლოს **კორინა პეპტანისა** და **მარია მუზიჩუკის** შეხვედრა დამთავრდა. ეტლების ენდშპილში მუზიჩუკს ზედმეტი პაიკი ჰყავდა, რომლის რეალიზება ვერ შეძლო და პარტია ყაიმით დამთავრდა.

სატურნირო მდგომარეობა შვიდი ტურის შემდეგ: მელია - 4,5, პეპტანი, კოსმა, ტუროვა, მუზიჩუკი - 4-4, ვაიდა, გარა - 3,5-3,5, რეპკოვა, ხოტენაშვილი, ფოიშორი - 2,5-2,5 ქულა.

დღეს მერვე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: მუზიჩუკი-ტუროვა, მელია-ვაიდა, რეპკოვა-კოსმა, გარა-ფოიშორი, პეპტანი-ხოტენაშვილი.

**ვაჟა დანელია**

**საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის მონაწილის ნოდარ ქუმარიტაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტს, ზამთრის სახეობათა ფედერაციას და გარდაცვლილის ოჯახს. ქართული ჭიდაობის ფედერაცია**

**საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრის ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.**

მძლეოსნობა

# ნაუგებელ სერიას განაგრძობს

ქართველი მძლეოსანი **მარიამ ქევხიშვილი** ამერიკაში სწავლობს, იქვე განაგრძობს ბირთვის კვრაში ვარჯიშსა და შეჯიბრებებში მონაწილეობას. გასულ უქმეებზეც მან მორიგ სტუდენტურ ტურნირში იასპარეზა. 25 მეტოქესთან პაექრობისას ერთ-ერთ ცდაზე ბირთვი 18,29-მეტრიან ზღვარს გადააცილა და ბოლო ორი წლის განმავლობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ მეთერთმეტედ ავიდა.

მარიამი მომავალ შაბათ-კვირას დაისვენებს, შემდეგ კიდევ ერთი შტატის პირველობაზე მოსინჯავს ძალებს, 14-16 მარტს კი ამერიკის ჩემპიონატზე საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ბრაუნსვილში, ფავორიტის წინააღმდეგ...



ტეხასის შტატის ქალაქ ბრაუნსვილში იწყება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარია. ჰარდის საფარის კორტებზე ქართველი **ნიკოლოზ ბასილაშვილიც** (550) იასპარეზებს. ნიკა ჩვენს თანამეეამულეთა შორის დღეისათვის ერთადერთი ვაჟი ჩოგბურთელია, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე ხშირად გამოდის. 17 წლის ქართველი (ნიკა 18-ის ერთ კვირაში შეუსრულდება) პირველ წრეში მე-5 ნომრად განთესილ ესპანელ **არნაუ ბრუგეს-დავის** (366) ეთამაშება. 24 წლის ბრუგეს-დავი სწორედ ახლა იმყოფება კარიერის პიკზე, 14 თებერვალს მან მეხიკოს საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $) მოიგო. ნიკა წყვილთა ბადეში რუს **რომან კისლიანსკისთან** (1187) ასპარეზობს. მათი პირველი მეტოქეები „უაილდ ქარდით" მიწვეული ამერიკელები, **ბოლინგი** და **კვონი** არიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# მზადება ტრაბზონისა და ესპანეთისთვის

საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში გამარჯვებით 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებას ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. 27 თებერვალს თბილისში ესპანეთის ნაკრების დამარცხებით „ბორჯღალოსნები“ მსოფლიოს თასის საგზურს ოფიციალურად გაიფორმებენ. მერე კი, რუსეთის ნაკრებთან 20 მარტის პრინციპული მატჩი თურქეთის ქალაქ ტრაბზონში გაიმართება.

საქართველოს რაგბის კავშირმა და იმ ტუროპერატორების ხელმძღვანელებმა, რომლებიც ტრაბზონში გულშემატკივართა გამგზავრებას უზრუნველყოფენ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს, რომლის დასრულების შემდეგ ჟურნალისტთა კითხვებს პასუხი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ტიმ ლეინმაც** გასცა.

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„რუსეთის ნაკრებთან სათამაშოდ ტრაბზონი ერთი წლის წინ ავირჩიეთ. ეს არჩევანი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ტრაბზონი საზღვართან ახლოსაა და საშუალება მოგვეცემოდა, საქომაგოდ ბევრი გულშემატკივარი ჩაგვეყვანა.*

*სტადიონი, სადაც თამაში გაიმართება, 6 ათას მაყურებელს იტევს. თავდაპირველად საფეხბურთო კლუბ „ტრაბზონსპორის“ სტადიონზე გვინდოდა გვეთამაშა, მაგრამ მოგვიანებით თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ „ტრაბზონსპორისა“ და „გალათასარაის“ საფეხბურთო მატჩი ზუსტად 20 მარტისთვის დანიშნა.*

*რუსეთთან მატჩზე გულშემატკივრების გამგზავრების ორგანიზება და ბილეთების რეალიზაცია ტურისტულ სააგენტოებს „მილენიუმსა“ და „აჭარატურს“ მივანდეთ. ისინი 17 თებერვლიდან დაიწყებენ ბილეთების გაყიდვას და ტურისტულ მომსახურებასაც შესთავაზებენ ქომაგებს.*

*გვინდა ტრაბზონში წამომსვლელებს რამდენიმე რჩევა მივცეთ. კარგი იქნება, თუ ტურისტული სააგენტოს მომსახურებით ისარგებლებენ, რადგან გამორიცხული არაა, როცა საბაჟოს ერთბაშად ხუთი ათასი ადამიანი მიაწყდება, სერიოზული პრობლემები შეიქმნას. საზღვრის გადალახვა დიდ დროს წაიღებს და შესაძლოა, თამაშს ვერც ჩაუსწრონ.*

*სასურველია, ფული თბილისში ან ბათუმში გადაცვალოთ, რადგან ტრაბზონში ერთადერთი გადამცვლელი პუნქტია და ისიც ძალიან ხშირად დაკეტილია. მანქანით წამსვლელებს ვაფრთხილებთ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებობს სიჩქარის შეზღუდვა . ამ შეზღუდვის დარღვევას არავის ვურჩევ, რადგან ჯარიმა დიდ თანხას შეადგენს.*

*პრობლემები შეიძლება შეიქმნას ალკოჰოლთან დაკავშირებითაც. სტადიონზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა არ შეიძლება და კარგი იქნება, თუ ქომაგი მისი მიღებისგანაც თავს შეიკავებს.“*

**მალხაზ დობორჯგინიძე,** „აჭარატურის“ დამფუძნებელი:

*„ტურისტულ სააგენტო „მილენიუმთან“ ერთად მომსახურების სხვადასხვა პაკეტი შევიმუშავეთ. მაგალითად, ბათუმიდან ტრაბზონში ჩასვლა, მატჩზე დასწრება და უკან დაბრუნება 70 ლარი ჯდება. ეს მინიმალური თანხაა. მატჩზე დასასწრები ბილეთები 10, 15 და 20 ამერიკული დოლარი ღირს. მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ მისი გათვალისწინებით, გასაყიდი ბილეთების მინიმალური რაოდენობაა დარჩენილი.*

*ბათუმიდან ავტობუსები 20 მარტს დილით ადრე გავლენ. თბილისში კი ქომაგთა თავშეყრის ადგილი რესპუბლიკის მოედანი იქნება. ავტობუსები ტრაბზონისკენ 19 მარტს 22 საათზე დაიძვრებიან. იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი რაოდენობის მსურველი შეგროვდება, შესაძლებელი იქნება პირდაპირი ავიარეისის დანიშვნაც. ბილეთის ფასი 295 ამერიკული დოლარია. ამ თანხაში მატჩის ბილეთის საფასურიც შედის.*

*ქომაგებისთვის ვამზადებთ შარფებს, რომელიც ხუთი დოლარი ეღირება. სასურველი იქნება, თუ ქომაგები ორგანიზებულად გაემგზავრებიან. ჩვენ საზღვარზე გადავცემთ წამსვლელთა მონაცემებს, რათა იქ მწვანე დერეფანი გაკეთდეს.*

*საქართველო-რუსეთის მატჩზე ტრაბზონში წასვლის მსურველებს ამომწურავი ინფორმაციის მიღება ტურისტული სააგენტოების ვებგვერდებზე შეუძლიათ: www.adjartour.com და www.mtravel.ge“.*

ამის შემდეგ პორტუგალიურ პერიპეტიებზე რაგბის კავშირის პრეზიდენტმა და ნაკრების მწვრთნელმა ილაპარაკეს:

**გიორგი ნიჟარაძე:** *„პორტუგალიის ნაკრებთან თამაშის წინ ჩვენს გუნდს დიდი თავგადასავალი გადახდა. საწვრთნელი შეკრება ტრადიციულად, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში გავმართეთ. ეს ქალაქი იმიტომ ავირჩიეთ, რომ წელიწადში 350 დღე მზიანი ამინდია. სამწუხაროდ, ამინდმა მაინცდამაინც ჩვენი იქ ყოფნისას აურია. იმდენად, რომ შეკრება, ფაქტობრივად, ჩაიშალა. გუნდს წესიერად ერთხელაც არ უვარჯიშია.*

*ლისაბონში ხუთშაბათს ნიცის აეროპორტიდან უნდა გადავფრენილიყავით, მაგრამ დილიდან ისე თოვდა, ყველა რეისი გადაიდო. გვიან ღამემდე არ იყო ცნობილი, როდის გახდებოდა შესაძლებელი გამგზავრება. გუნდმა ღამე ნიცასთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქის სასტუმროში გაათია.*

*მეორე დღეს აეროპორტში მდგომარეობა თითქმის უცვლელი იყო. ბოლოს და ბოლოს, გუნდის ერთმა ნაწილმა, დაახლოებით 15-მა კაცმა, ლისაბონში გამომგზავრება შეძლო. მე იმ დროისთვის უკვე იქ ვიყავი. ნიცაში დარჩენილნი ორად გაიყვნენ. ნაწილი მარსელში გაემგზავრა მიკროავტობუსით და ლისაბონში იქიდან გადმოფრინდა. მესამე ნაწილმა კი ჩვენამდე ღამის 12 საათზე ჩამოაღწია.*

*ამასთან დაიკარგა ბარგი. სათამაშო ფორმა თამაშის დაწყებამდე სამი საათით ადრე მივიღეთ. ბიჭები მართლა ძალიან დაიღალნენ. ფაქტობრივად ერთი კვირის უვარჯიშებლებმა და ორი დღის მგზავრობით გათანგულებმა მაინც ბოლომდე იბრძოლეს და გაიმარჯვეს.*

*რაც შეხება თამაშს, არ მიყვარს მსაჯებზე ლაპარაკი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ძალიან ცუდი მსაჯობა იყო. თუმცა ბიჭებსაც ხშირად ვეუბნები, რომ ეს სულ ასე იქნება, უნდა შევეგუოთ, რომ მუდამ 16 კაცის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა მოედანზე გასვლა და გამარჯვებაა.“*

ტიმ ლეინი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„საქართველოს ნაკრებმა ორი განსხვავებული მატჩი გამართა. პირველმა მეტოქემ, სიმართლე რომ ვთქვათ, არ ჩამოიყვანა უძლიერესი შემადგენლობა. ამან საშუალება მოგვცა, თამაშში ექსპერიმენტები განგვეხორციელებინა. ვეცადეთ ხელდახელ თამაშის სხვადასხვა კომბინაციის დახვეწას.*

*პორტუგალიის ნაკრები, ცხადია, ბევრად უფრო ძლიერი, აბსოლუტურად განსხვავებული სტილით მოთამაშე გუნდია. ბიჭებს დავავალე, უფრო მეტად შერკინებით ეთამაშათ, დერეფანსა და მოლში ზუსტად, უშეცდომოდ გარჯილიყვნენ. ძალისმიერ თამაშში პორტუგალიელებიც აგვყვნენ. აგრესიული დაცვა დაგვახვედრეს და ჩვენი მორაგბეები იძულებულნი იყვნენ, კიდევ უფრო აგრესიულად შეეტიათ. ვფიქრობ, ორივე მატჩში გუნდმა დადებითად წარმოაჩინა თავი და საკმაოდ ღირებული გამოცდილებაც შეიძინა.*

*დარჩენილი მატჩებისთვის ახალი მოთამაშეების გამოძახებას არ ვაპირებ. ერთა თასის ხუთივე შეხვედრა მოკლე დროში, ორი თვის განმავლობაში ტარდება და ერთადერთი შანსი გვაქვს, ნაკრების ძირითადი ბირთვი ერთად გვყავდეს, ვავარჯიშოთ და მსოფლიო თასისთვის ვემზადოთ. ესპანეთთან, რომელიც წლეულს მომძლავრებულია, ძნელი თამაში გვექნება. ამ და კიდევ დარჩენილ შეხვედრებში თავის გამოჩენის საშუალებას ნაკრების ყველა მოთამაშეს მივცემთ. ისინი, ვინც აქამდე სათადარიგოთა შორის იყვნენ, ახლა ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ.*

*რაც შეეხება ახალგაზრდა მოთამაშეებს, მათ ივნისში IRB-ის ერთა თასზე და სამხრეთ აფრიკაში მარტის ბოლოს დაგეგმილ ტურნეზე კიდევ ერთხელ გავსინჯავთ. აფრიკელებთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და შესაძლებელია, იქ ლეგიონერების გარეშე მოთამაშე არგენტინის ნაკრებსაც შევხვდეთ. ამასთან, IRB-ის დახმარებით შესაძლებელია, ნოემბერში თბილისში კანადისა და აშშ-ის ნაკრებები ჩამოვიყვანოთ. კარგი შანსი გვეძლევა, „ჩერჩილის თასზე“ განცდილი მარცხისთვის რევანში ავილოთ. თანაც მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად ეს თამაშები უაღრესად სასარგებლო იქნება“*




ტიმ ლეინი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლეგიონერები




აჟენი-დაქსი

# რვა მომდევნო ეტაპზეა, ორი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში ელიტურ, მეორე და ფედერალ 1 დივიზიონებში გამოტოვებული შეხვედრები გაიმართა. მეორე დივიზიონში ლიდერობა ისევ **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა“ დაიბრუნა. აჟენელებმა დიდთოვლობის გამო გადატანილ მე-9 ტურის შეხვედრაში შინ **გიორგი კუთარაშვილის** „დაქსი“ დაამარცხეს - 23:6.

კუთარაშვილი, რომელიც დაქსელთა ძირითად შემადგენლობაში იყო, არბიტრმა მე-20 წუთზე გაასინბინა. მერე კი, 46-ეზე წითელი ბარათი აჩვენა. საფრანგეთის რაგბის ლიგის დისციპლინარულმა კომიტეტმა შერკინების ქართველ ბურჯს ათდღიანი დისკვალიფიკაცია მისცა. ფეიქრიშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

**ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა“ საკუთარ მოედანზე „მონ დე მარსანი“ დაამარცხა - 36:12. დათუნაშვილმა „ბორჯღალოსანთა“ რიგებში პორტუგალიის წინააღმდეგ ითამაშა. დიდთოვლობის გამო ისევ გადაიდო **გურამ კავთიძის** „ლიონის“ შეხვედრა სტუმრად „ლანამეზანთან“.

საფრანგეთი. II დივიზიონი: **ორიაკი - მონდე მარსანი 36:12, აჟენი -დაქსი 23:6, კოლომიე - ოში 6:9, ლანამეზანი - ლიონი (გადაიდო)**

სატურნირო მდგომარეობა: **1. აჟენი - 68 ქულა, 2. ოიონაქსი - 65, 3. ლა როშელი - 58, 4. ნარბონი - 56, 5. გრენობლი - 54, 6. ლიონი - 53, 7. პო - 53, 8. ორიაკი - 50, 9. ბორდო - 49, 10. დაქსი - 45, 11. ტარბი - 41, 12. ოში - 41, 13. მონ დე მარსანი - 38, 14. კოლომიე - 31, 15. ექსი - 25, 16. ლანამეზანი - 10.**

ფედერალ 1 დივიზიონში პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. მომდევნო, მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება ქართველ მორაგბეთა რვა გუნდმა უკვე გაინაღდა. კიდევ ორი თავიანთ ჯგუფებში საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის.

B ჯგუფში ერთი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა. **გიორგი ნემსაძის, შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, სანდრო ესაკიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“ სტუმრად წააგო „დიჟონთან“ - 25:28. სუთიაშვილმა სრულად ითამაშა, აშვეთია 56-ე წუთზე შეცვალეს. კობაური და ესაკია განაცხადში არ იყვნენ. ნემსაძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

პარიზელებს ბოლო ტურის წინ 45 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე არიან. ამავე ჯგუფში 24 ქულით მე-6 ადგილზეა **სოსო ნიკოლაენკოსა** და **დავით ბოლღაშვილის** „ლილი“, რომელიც დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად გააგრძელებს ბრძოლას.

C დივიზიონში **ბესო უდესიანის, ირაკლი მაჩხანელისა** და **შოთა საყვარელიძის** „სენტ ეტიენმა“ სტუმრად წააგო **ირაკლი გუნდიშვილის** „ბედარიდესთან“ - 6:20. საყვარელიძემ სრულად ითამაშა. გუნდიშვილი განაცხადში არ იყო. მაჩხანელმა და უდესიანმა საქართველოს ნაკრებში ითამაშეს.

მარცხის მიუხედავად, „სენტ ეტიენი“ 35 ქულით მე-4 ადგილს ინარჩუნებს და უახლოეს მდევარ „რომანს“ შვიდი ქულით უსწრებს. შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს ასევე **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ“, რომელიც 48 ქულით პირველ ადგილზეა და მეორეადგილოსანმა, **დავით კაჭარავას** „ნიცამ“. ნიცელები „ბეზიეს“ ოთხი ქულით ჩამორჩებიან.

D ჯგუფში **ირაკლი გიორგაძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „შამბერი“ შინ დამარცხდა **გია ლაბაძის** „მარსელთან“ - 17:22. მაისურაძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო. გიორგაძემ და ლაბაძემ პორტუგალიასთან მატჩში ითამაშეს.

„მარსელი“ 40 ქულით მე-2 ადგილზეა და მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებს. 32 ქულით მეოთხე ადგილზეა **შოთა მელიქიძის** „ობენა“. ჩვენებურის გუნდს სამი ქულით ჩამორჩება „ლა სეინი“. „ობენას“ ბედი ბოლო ტურში გადაწყდება, რომელიც მომავალ უქმეებზე გაიმართება.

მსოფლიო კლასიფიკაცია

# ერთი ნაბიჯით წინ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო რეიტინგში ერთი საფეხურით წაიწია. ბორჯღალოსნებმა პორტუგალიაში გამარჯვების წყალობით მე-17 ადგილზე გადაინაცვლეს და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები მოიტოვეს. დღესდღეობით ჩვენს გუნდს 67,44 ქულა აქვს და 0,19 ქულით ჩამორჩება რუსეთის ეროვნულ გუნდს.

მსოფლიო რეიტინგი: **1. ახალი ზელანდია - 91,68. 2. სამხრეთ აფრიკა - 88, 60. 3. ავსტრალია - 85,56. 4. საფრანგეთი - 84,40. 5. ირლანდია - 83,33. 6. ინგლისი - 81,77. 7. არგენტინა - 80,56. 8. უელსი - 79,63. 9. ფიჯი - 75,90. 10. შოტლანდია - 75,51. 11. იტალია - 72,17. 12. სამოა - 72,08. 13. იაპონია - 70,59. 14. კანადა - 68,80. 15. ტონგა - 68,11. 16. რუსეთი - 67,63. 17. საქართველო - 67,44. 19. რუმინეთი - 64,62. 21. პორტუგალია - 59,13. 22. ესპანეთი - 58,23. 26. გერმანია - 55, 72.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ამირან ტოტიკაშვილთან

# შემდეგი გაჩერება დიუსელდორფია

**საქართველოს ნაკრები დაბრუნდა ვენიდან, სადაც მსოფლიოს თასზე წარუმატებლად გამოვიდა - საუკეთესო შედეგი ამირან პაპინაშვილის (60) მეხუთე ადგილი გამოდგა. ავსტრიაში ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობა გამოდიოდა და დიდ წარმატებებს არც ველოდებოდით - უფრო მნიშვნელოვანი გამოცდილების მიღება იყო, მაგრამ მათთან ერთად რამდენიმე ტიტულოვანი და მნიშვნელოვანი სპორტსმენიც გამოდიოდა. აი, მათი გამოსვლა კი ძალიან გვაინტერესებდა, მაგრამ ვერ გაგვახარეს.**

**ავსტრიული ტურნირის თუ თებერვლის დარჩენილ უქმეებზე მიყოლებით გასამართი დიუსელდორფისა და პრაღის შეჯიბრებების შესახებ ნაკრების თავკაცი ამირან ტოტიკაშვილი გვესაუბრება.**

**- ვენის ტურნირს როგორ შეაფასებთ?**

- თავის მართლება არ მიყვარს და არ მინდა, ახლა ასე გამიგოთ, მაგრამ ასეთი წარუმატებელი გამოსვლის მიზეზი ის შეფერხებაცაა, რომელიც ვენაში გამგზავრებამდე გადაგვხდა. მოგეხსენებათ, ავარიის გამო თბილისის აეროპორტიდან ფრენა არ იყო და ლამის 12 საათი იქ გავატარეთ. ვენაში ღამის 19 საათზე ჩავედით, ბიჭები გადაღლილები იყვნენ და ვერც ვარჯიში მოვახერხეთ, ისე დავიწყეთ ჭიდაობა. თუმცა ეს თავის დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. ყველა აგებდა მესამემეოთხე წუთებზე... ვენაში ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობა წავიყვანეთ, ყველაზე მეტად კი 60-ში ამირან პაპინაშვილის და 90-ში ვალერი ლიპარტელიანის გამოსვლა გვაინტერესებდა. სამწუხაროდ, იმედები ვერ გაგვიმართლეს. ლიპარტელიანი შეხვედრის დამთავრებამდე 20 წამით ადრე სამ იუკოს იგებდა, მაგრამ მაინც დათმო შეხვედრა. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიოს ძიუდოში თაობათა ცვლის პროცესი მიდის. ჩვენ ვენაში არ გვყავდა ისეთი ძლიერი შემადგენლობა, როგორიც - საფრანგეთში, მაგრამ მომავალ უქმეებზე გერმანიაში კვლავ ძლიერი გუნდით გამოვალთ.

**- ლიპარტელიანის წაგების მიზეზად რას მიიჩნევთ? მის ჭიდაობას უკვე რამდენიმე ტურნირზე უყურეთ და რა უნდა გააკეთოს საამისოდ, რათა ტატამზე მოპოვებული დიდი უპირატესობა ტაბლოზეც ასახოს?**

- მარტო ლიპარტელიანმა კი არა, მთელმა გუნდმა უნდა მოუმატოს ფიზიკურად. საერთოდ, ჩვენი პრობლემაა სუნთქვა და შრომისმოყვარეობა. ინტერნეტით თვალს ადევნებთ ტურნირების მიმდინარეობას და ალბათ, ამჩნევთ - სხვები რა ტემპშიც იწყებენ, ისევე ამთავრებენ, ჩვენები კი 3 წუთის მერე ძალა ეცლებათ. ამ შრომით, ამ ვარჯიშებით ჩემპიონობაზე პრეტენზია გამორიცხულია. ბაკურიანში მოწყობილ შეკრებაზე ავადმყოფობის გამო ბევრმა სრულად ვერც ივარჯიშა, მაგრამ ის ერთი შეკრებაც მთელი წელიწადი საკმარისი არაა.

**- გუნდში ფიზიკური მომზადება რომ სერიოზული პრობლემაა, ამაში გეთანხმებით, მაგრამ ლიპარტელიანის პრობლემა უფრო სხვა რამ გვგონია - უნდა ისწავლოს ტაქტიკური ჭიდაობა, ანგარიშის შენარჩუნება, დროის გაყვანა, ტემპის დაგდება... ის ყოველთვის დიდ უპირატესობას იღებს, მაგრამ მაინც აგებს.**

- რაკი ფეხიდან ჭიდაობა აკრძალეს, ცოტა მანაც უნდა შეცვალოს სტილი. ამაზე ვენაში ვისაუბრეთ და შევთანხმდით. ის ზურაბ ზვიადაურთან ერთად ავსტრიიდან თავის გერმანულ კლუბში გადავიდა და დიუსელდორფშიც იქიდან შემოგვიერთდებიან. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ლიპარტელიანს მიზანმიმართული გეგმა ექნება, რომელ ილეთებზე უნდა იმუშაოს, რა უნდა გააკეთოს და რომელი ილეთები წაალგება. უამისოდ არც არაფერი შეიცვლება და არც წინსვლა ექნება. ვიმედოვნებთ, მას იმის პოტენციალი აქვს, მიცემული დავალება კარგად შეასრულოს.

**- არა მგონია, საჭიდაო სტილის შეცვლამ ის დიდად დააზარალა, რადგან ფეხში შესვლებზე არც იყო დამოკიდებული.**

- გასაგებია, მაგრამ სამი წუთის შემდეგ მითხრა, ხელებს ვერ ვიმორჩილებო. მას ფიზიკური მომზადებაც აკლია და ტექნიკურიც. ორ დღეში ამის შეცვლას ვერ მოვასწრებდი, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გარკვეული გეგმა გვაქვს. კიდევ ვიმეორებ - ვითარება რადიკალურადაა შესაცვლელი, რაც დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ვერ მოხერხდებოდა. თან ბიჭები ვარჯიშის ახალ მეთოდებსაც არ არიან შეჩვეულები, მაგრამ გაძლევთ პირობას, რომ ერთ წელიწადში ეს ნაკლი გამოსწორდება და არც ერთი სპორტსმენი ტატამზე არ დაიღლება.

**- ზვიადაურის გამოსვლაზე რას იტყვით?**

- მოგეხსენებათ, ის ბაკურიანში გაცივდა და სრულად ვერ ივარჯიშა, თბილისში გავლილი შეკრება კი საკმარისი არ აღმოჩნდა. ძველი ფორმის დასაბრუნებლად მას ბევრი შრომა სჭირდება. ყველასთვის უცნობ შვედ მოჭიდავესთან წაგება არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

**- თვითონ რა თქვა ამ წაგებაზე?**

- რა უნდა ეთქვა, თვითონაც გაკვირვებულია. ხელებს და ფეხებს ვერ ვიმორჩილებდიო, თქვა და დაამატა, რომ საკმარისი დრო არ ჰქონდა მოსამზადებლად. მან თვითონ ითხოვა გერმანიაში დარჩენა და მომზადება, რაზეც უარი არ მითქვამს - ოღონდ კი ვინმემ იშრომოს და როგორ დავუშლი. მაგრამ გერმანიაშიც თუ არადამაკმაყოფილებლად გამოვა, კანდიდატთა სიიდანაც ამოვარდება.

**- ლორიაშვილისგანაც ცოტა მეტს ველოდით...**

- ლორიაშვილი ძალიან ნესიერი და მშრომელი ახალგაზრდაა, მაგრამ ტატამზე ცოტა მეტი აზროვნება სჭირდება. მასაც ვესაუბრე და აუცილებლად უნდა გამოასწოროს ის ხარვეზები და პრობლემები, რაც წინსვლაში ხელს უშლის.

**- მაინც რა კონკრეტულად?**

- სპორტსმენობა მარტო ის არაა, გახვიდე ტატამზე და მხოლოდ ფიზიკურად დაჯაბნაზე იფიქრო. ცოტა იმაზეც უნდა იფიქრო, რა გაუკეთო, რითი აჯობო, ანგარიში როგორ შეინარჩუნო... კიდევ ვიმეორებ, რომ ის ძალიან ნესიერი და მშრომელია, მაგრამ ტატამზე მეტი შემოქმედებითობა, მეტი აზროვნება სჭირდება. რუსებს მწვრთნელად ჩემი ძველი მეგობარი სერგეი კოსმინი ახლდა, მაგრამ სპორტსმენებს არავინ ეჯდა ტატამთან. მიზეზი რომ ვკითხე, იტალიელ მთავარ მწვრთნელ ეციო გამბაზე მითხრეს, იმან ასე დაგვავალა, სპორტსმენი ტატამზე რომ შედის, იქ თვითონ უნდა იფიქროს და იაზროვნოსო.

**- გერმანიაში რა შემადგენლობა მიგყავთ?**

- 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბეთქილ შუკვანი და ნესტორ ხერგიანი იჭიდავებენ, 66-ში - მინდია ხომიზური და შალვა ქარდავა. 73-ში ზაზა კედელაშვილმა თითი იტკინა და ის პრალაში გამოვა, გერმანიაში კი ამ წონაში თენგიზ პაპოშვილი და ამბაკო ავალიანი გამოვლენ. დანაკლისია 81-შიც - გრიგოლ შინჯიკაშვილი ავად გახდა და მკურნალობს, გიორგი ბაინდურაშვილმა კი ნეკნი იტკინა. მათ ნაცვლად იოსებ წელაური გამოვა. 90-ში ლიპარტელიანი და საბა გავაშელიშვილი იქნებიან, რადგან მინდია ბოდაველს მხარი ისევ აწუხებს. 100-ში კვლავ გამოვცდით ლორიაშვილს და ზვიადაურს, მძიმეში კი ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი იქნებიან.

**- გუჯეჯიანმა საბოლოოდ მოირჩინა ტრავმა?**

- ნაწილობრივ მოირჩინა. წონაც დაიკლო - მთელი 20 კილოგრამი და ვარჯიშობს. მას ძალიან ბევრი გაუცდა და მინდა, გერმანიაშიც იჭიდაოს და პრაღაშიც.

**- გამოდის, საევროპოდ ამზადებთ, რაკი მის სატურნირო პრაქტიკაზე ასე ზრუნავთ.**

- ამას ვერ გამოვრიცხავ, რადგან ამ წონაში ვერც ოქრუაშვილმა და ვერც ხანჯალიაშვილმა მოსაწონი ჭიდაობა ვერ დამანახეს, ვერ დამარწმუნეს შესაძლებლობებში, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. მათ კვლავ ექნებათ შანსი, გუჯეჯიანსაც დავაკვირდებით და პრაღაში უფრო კონკრეტულად ჩამოვყალიბდებით. დაახლოებით ასეთი სურათია 73-შიც - აქ ვერავინ დამანახა დამაიმედებელი რეალობა, კედელაშვილი კი გამოცდილი და უძლიერესი სპორტსმენია. თუმცა აქ სხვებსაც მიეცემათ შანსი და ამ წონაშიც ყველაფერი ჩეხეთში გაირკვევა.

**- ჩიკოიძის ჯანმრთელობა როგორაა, მოასწრებთ მის გამოცდას ევროპამდე?**

- ჩიკოიძეს ნეკნი სტკიოდა, მაგრამ მის მწვრთნელთან საუბრის შემდეგ არ გამოვრიცხავ, ჩეხეთში ამანაც იჭიდაოს.

**- გიგა მეგრელაძეს და ლაშა გურულს არსად გამოცდით?**

- არა, მათი გამოცდა ამ ეტაპზე არსად იგეგმება.

**- ალბათ, ლომერ ჟორჟოლიანიც ჩეხეთში გამოვა...**

- ჟორჟოლიანიც პრაღაში იჭიდავებს და ირაკლი ცირეკიძეც.

**- გამოდის, ევროპის პირველობაზე წამსვლელი შემადგენლობა საბოლოოდ პრაღაში გაირკვევა და არა დიუსელდორფში.**

- მთლად ასეც ვერ ვიტყვი. რა თქმა უნდა, ძირითადი კანდიდატები პრაღაში გამოვლინდებიან, მაგრამ ამის შემდეგ შეკრებების მთელი ციკლია გასავლელი - სამი ეტაპი. მათ შორის ფიზიკური მომზადებისთვის განკუთვნილი შეკრებაც იქნება და ამ ციკლში კიდევ დავაკვირდები მათ. ვინც კარგად ვერ გაივლის ამ ეტაპებს, არ შეასრულებს ჩემ მიერ დასახულ გეგმებს, მას აუცილებლად ჩავანაცვლებთ უფრო კარგად მომზადებული სპორტსმენით.



ამირან ტოტიკაშვილი

თემა ქართულ პრიზმაში



# ბოკიევი სამშობლოში დაბრუნდა

ტაჯიკი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში **რასულ ბოკიევი** სამშობლოში დაბრუნდა. რუსეთის ნაკრებში მისი გადასვლის შესახებ „ლელო" უკვე წერდა ოქტომბრის ბოლოს - „დაფასება ტაჯიკურად", როცა მან ნალჩიკში რუსეთის ჩემპიონატი მოიგო. თუმცა მაშინვე სპორტსმენმა რუსეთის ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივაზე, ცოტა არ იყოს და, უცნაური პასუხი გასცა, როცა თქვა, მე ჩემი გავაკეთე, ახლა კი **ეციო გამბაზეა** დამოკიდებული, ევროპის პირველობაზე ვის დააყენებს ამ წონაში, მაგრამ მგონია, არჩევანს უფრო ძლიერზე გააკეთებსო. რუსთა იტალიელი თავკაცი გამბა მაშინ აცხადებდა, რომ ევროპის პირველობაზე ქვეყნის ჩემპიონები წავიდოდნენ და უცნაური ჩანდა ბოკიევის შიში, რომ შეიძლება, კონტინენტის პირველობაზე არ წაეყვანათ. ეს მომენტი იმთავითვე საეჭვოდ მომეჩვენა, როგორც ის, ლენადალეული ბოკიევი სამშობლოს ხელის დაქნევით რომ ემშვიდობებოდა, თან უბოდიშებდა და იქვე იმედს გამოთქამდა, რომ თავისი ხალხისთვის ჭიდაობას კიდევ შეძლებდა. ბუნებრივია, ჩვენ ვერანაირ გარიგებაზე ვერაფერს დავამტკიცებთ და ეს არც გვაინტერესებს. უბრალოდ, მის სიტყვებში რაღაც წინააღმდეგობრივი მომენტები მაშინვე ჩანდა. ასევე უცნაური იყო ტაჯიკური პრესის და ტაჯიკეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ლამის აბსოლუტური დუმილიც, ორიოდე სტატიას თუ არ ჩავთვლით.

ბოკიევმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო 2007 წელს ბრაზილიაში მოიპოვა, ოლიმპიადაზე - 2008 წელს პეკინში. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ტაჯიკეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მას სტიპენდიაც მოუხსნა და არც ფინანსურად ეხმარებოდნენ. მეტიც - ტურნირებზე წასასვლელადაც ძალზე ხელმოკლედ აფინანსებდნენ. ტაჯიკეთში ძიუდო არც ისე პოპულარულია და ბოკიევის გარდა სხვა ცნობილი ძიუდოისტი არც ჰყავთ, მაგრამ წარმატებული სპორტსმენის ასე უყურადღებოდ მიტოვებაც გაუმართლებელი ჩანდა. ბოკიევს მამამისი ავარჯიშებს და ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლებისგანაც ვიცი, რომ ისინი ტურნირებზე მარტო დადიან - უპატრონოდ, ანუ ყველა პრობლემის მოგვარება თვითონვე უწევთ. ასეთი დამოკიდებულების შემდეგ არც იყო გასაკვირი, ბოკიევმა რუსეთში გადასვლა რომ გადაწყვიტა - იქ ხომ ექვსი წელიწადი ვარჯიშობდა კლუბ „სამბო 70"-ში **ვლადიმირ ელჩანინოვთან**. მას მოქალაქეობაც უმალ მისცეს და ქვეყნის ჩემპიონატშიც აჭიდავეს. იქ სხვა ლიდერები არ გამოსულან და ბოკიევს გამარჯვება არ გასჭირვებია.

ეტყობა, ტაჯიკური სპორტის მმართველები სინდისმა შეაწუხა და, როგორც ირკვევა, დაბრუნების თაობაზე ბოკიევთან მოლაპარაკებები გამართეს (საკითხავია, მანამდე სად იყვნენ ან რატომ გაუშვეს?!). საბოლოოდ ყველაფერი წარმატებით დამთავრდა - ტაჯიკეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა „ალუმინის სახელმწიფო კომპანიის" სახით სპონსორიც უშოვა და სპორტსმენი დაბრუნებაზეც დაიყოლია. მხარეებმა 3 თებერვალს ხელშეკრულებაც გააფორმეს, რომელშიც კონკრეტულადაა გაწერილი მხარეთა ვალდებულებები. ალუმინის კომპანიამ ბოკიევის მოსამზადებელი ციკლის სრული დაფინანსება ივალდებულა 2010-12 წლებში. როგორც ტაჯიკეთის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარე **მალიშკო ნეგმატოვმა** (პარალელურად, ის იქაური ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტიცაა) განაცხადა, ტაჯიკური სპორტის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა სპორტსმენთან პროფესიული კონტრაქტი გაფორმდა (ჩვენზე უარესებიც ყოფილან ამ ქვეყანაზე!).

*„მე ყოველთვის მზად ვიყავი, დამეცვა მშობლიური ტაჯიკეთის ღირსება უმაღლეს სპორტულ დონეზე. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს ჩემს ყოველმხრივ მომზადებას საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებით გამოსასვლელად"*, - განაცხადა ბოკიევმა კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ, უახლოეს გეგმებზე საუბრისას კი განმარტა, რომ უმთავრეს მიზნად 2010 წელს აზიის თამაშებსა (ჩინეთი) და 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლა აქვს დასახული.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

კალათბურთი

# გასოლი ზედიზედ მეორედ

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით ევროპის საუკეთესო კალათბურთელად ზედიზედ მეორედ ესპანეთის ნაკრების ცენტრი **პაუ გასოლი** დასახელდა.

ექსპერტებისა და გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლეგიონერმა დიდი უპირატესობით აჯობა „დალას მავერიქსის" გერმანელ ფორვარდ **დირკ ნოვიცკისა** და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" სერბ ლეგიონერს **მილოშ ტეოდოშიჩს**. გამარჯვებულმა ექსპერტთა 433 და გულშემატკივართა 9815 ხმა მიიღო. შედარებისთვის, ნოვიცკის შესაბამისი მაჩვენებლები 94 და 5370 ხმას შეადგენდა.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ესპანელმა კალათბურთელმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო და თან ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. პოლონეთში გასოლი საშუალოდ მატჩში 18.7 ქულასა და 8.3 მოხსნას აგროვებდა. ევროპული წარმატების გარდა, პაუმ 2009 წელს NBA-ის ჩემპიონის ტიტულიც დაუმატა.



# ტრეიდების მოლოდინში



„ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრმა **მარკუს კემბიმ**, შესაძლოა, სულ მალე კლუბი შეიცვალოს.

არაერთი წყაროს ცნობით, მზადდება გაცვლა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსსა" და კალიფორნიულ კლუბს შორის. „პორტლენდმა" მიმდინარე სეზონის მსვლელობისას ორი ცენტრი დაკარგა და კემბის დახმარება ჰაერივით სჭირდება. ეს კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 12.2 მოხსნას აკეთებს. „ბლეიზერსის" ხელმძღვანელობა მზად არის მარკუსის სანაცვლოდ მცველი **სტივენ ბლეიკი** და ფორვარდი **ტრევის აუთლო** დათმოს.

თავად კემბი აცხადებს, რომ მისთვის არაფერია ცნობილი მომავალი ტრეიდის შესახებ და არ სურს პორტლენდში გადაბარგება.

მიმდინარე რეგულარულში ტრევის აუთლო და სტივ ბლეიკი საშუალოდ მატჩში 9.9 და 7.6 ქულას აგროვებენ. კემბის ანალოგიური მაჩვენებელი 7.7 ქულას უდრის.

■ ■ ■

როგორც ამერიკული პრესა ირწმუნება, თითქმის გადაწყვეტილია **ტრეისი მაკგრეიდის** „ნიუ იორკ ნიქსში" გადასვლა. ტი-მაკის ამჟამინდელი კლუბი „ჰიუსტონ როკეტსი" გაცვლის ოპტიმალურ ვარიანტს ათანხმებს ნიუიორკულ კლუბთან.

კლუბებმა შეარჩიეს რამდენიმე კალათბურთელი, რომლებიც მომავალი ტრეიდის მონაწილენი უნდა გახდნენ. ესენი არიან: **ჯარედ ჯეფრიზი, ჯორდან ჰილი, ელ ჰარინგტონი** და **ლარი ჰიუზი**. გარდა ამისა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს დრაფტ-პიქების გაცვლის თაობაზე.

■ ■ ■

სულ უფრო ხშირად ვრცელდება ჭორები „კლივლენდ კავალიერზის" შემადგენლობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. არაერთხელ ვწერდით იმაზე, რომ შესაძლოა, **ლებრონ ჯეიმსის** გუნდში ვიხილოთ „ფინიქს სანზის" ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი**. ამერიკელი ჟურნალისტები ამ ტრანსფერის განხორციელების საკმაოდ მაღალ ალბათობაზე წერენ.

ახლა კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „კლივლენდის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს „გოლდენ სტეიტ უორიორზთან" ფორვარდ **კორი მაგეტის** გადაბირების თაობაზე. როგორც ამბობენ, ამ კალათბურთელის გუნდში ხილვა თვით ლებრონს სურს. მოსალოდნელი ტრეიდის მიხედვით, „უორიორზის" რიგებს ლიტველი ცენტრი **ჟიდრუნას ილგაუსკასი** შეემატება. ასევე გაცვლის მონაწილენი შეიძლება გახდნენ „კლივლენდის" მხრიდან **დენი გრინი** და „გოლდენ სტეიტიდან" **დევინ ჯორჯი**.

ამ სეზონში კორი მაგეტიმ 47 მატჩი გამართა და საშუალოდ 20.8 ქულა და 6.1 მოხსნა მიითვალა.

# ჯორდანი კლუბს ყიდულობს

ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებულ **მაიკლ ჯორდანს** სულ მალე საკუთარი კლუბი ეყოლება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ამის შესახებ ჟურნალისტებს „შარლოტ ბობკეტსის" მთავარმა მწვრთნელმა **ლარი ბრაუნმა** აცნობა.

*„მაიკლ ჯორდანი უახლოეს პერიოდში, შესაძლოა, NBA-ის კლუბ „შარლოტ ბობკეტსის" ერთპიროვნული მეპატრონე გახდეს. ის ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ გაზარდოს კლუბში თავისი წილი და მისი სრულუფლებიან მფლობელად მოგვევლინოს. მე უკვე ველაპარაკე მაიკლს და მან აღიარა, რომ მაქსიმალურად ეცდება კლუბის აქციათა პაკეტის გამოსყიდვას. მას ამის დიდი სურვილი აქვს"*, - ამბობს ბრაუნი.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** გამოვიდა წინადადებით, რომლის მიხედვითაც ჯორდანს უახლოესი ორი თვის განმავლობაში შეეძლება გარიგების გაფორმება.



ჰოკეი. NHL

# კვირის სამი ვარსკვლავი



ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ტამპა ბეი ლაითნინგის" ფორვარდი **სტივენ სტემკოსი** აღიარა. გუნდის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 9 ქულას (3 შაიბა+6 შედეგიანი პასი) მოუყარა თავი.

კვირის მეორე ვარსკვლავის სტატუსი ერგო „ფილადელფია ფლაიერზის" მეკარე **მაიკ ლეიტონს**, რომლისთვისაც ეს პირველი აღიარებაა კარიერაში. „მფრინავებმა" გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგეს. ამ შეხვედრებში ლეიტონი საშუალოდ 1.98 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 92.5 პროცენტს იგერიებდა.

მესამე ვარსკვლავიც მეკარეა. „დალას სტარზის" გოლკიპერმა **მარტი ტურკომ** საშუალოდ 1.30 შაიბა გაუშვა, დარტყმების 96.5 პროცენტი მოიგერია და ამასთან, კარიერაში მე-40 შათაუტი შეასრულა.

ველოსპორტი

# პედოფილი ჩემპიონი

პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ავსტრალიელმა ველომრბოლმა **მარკ იან ჯეიმისონმა** არასრულწლოვნების მიმართ სექსუალურ ძალადობაში დამნაშავედ სცნო თავი. სამხრეთი ავსტრალიის საოლქო სასამართლოს წინაშე ჩემპიონმა ოთხი ასეთი შემთხვევა გაიხსენა, ერთ-ერთი ეპიზოდში კი 25 წლის სპორტსმენი თავს დამნაშავედ არ თვლის.

ჯეიმისონი ამ დანაშაულებს 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის იანვრის პერიოდში ჩადიოდა. პედოფილს განსაკუთრებით 15-16 წლის ასაკის გოგონები აინტერესებდა.

ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება თითქმის ნახევარი წელი გაგრძელდა და ახლა პეკინის თამაშების ტრიუმფატორს ხანგრძლივი პატიმრობა ელის.




გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| მილანი-მანჩესტერ იუნ. | 2:3 |
| ლიონი-რეალი | 1:0 |
| **ევროპის თასი** | |
| **1/16 ფინალი. I მატჩები** | |
| ევერტონი-სპორტინგი | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| სტოკი-მანჩესტერ სიტი | 1:1 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბლეკპული-მიდლსბრო | 2:0 |
| ბრისტოლი-ლესტერი | 1:1 |
| კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |
| დერბი-პრესტონი | 5:3 |
| ნოტინგემი-შეფილდი | 1:0 |
| პიტერბრო-იფსვიჩი | 3:1 |
| პლიმუტი-სუონსი | 1:1 |
| სკანთორპი-ბარნსლი | 2:1 |
| უენსდი-დონკასტერი | 0:2 |
| ქუინზ პარკი-უოტფორდი | გადაიდო |
| **I ლიგა** | |
| კარლაილი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| ლიდსი-უოლსოლი | 1:2 |
| იეოვილი-კოლჩესტერი | 0:1 |
| **II ლიგა** | |
| ჰერეფორდი-ალდერშოტი | 2:0 |
| ლინკოლნი-აკრინგტონი | 2:1 |
| მორეკამბი-ბარტონი | 3:2 |
| **კონფერენსი** | |
| ალტრინჩემი-ისტბურნი | 3:0 |
| გეიტშიდი-ბაროუ | 2:1 |
| ოქსფორდი-რაშდენი | 1:0 |
| სალისბერი-ტამუორტი | 1:0 |
| იორკი-ლუტონი | 0:0 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| ქუინი-ეირი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| დამბარტონი-სტირლინგი | 2:4 |
| **III დივიზიონი** | |
| ფორფარი-ელჯინი | 1:0 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| აბერდინი-რეითი | 0:1 |
| **უელსი** | |
| ნითი-ებერისტვიტი | 1:3 |
| პორტ ტელბოტი-სეფნი | 7:0 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანიის თასი** | |
| ბრემერჰავენი-ტელეკომი | 91:68 |
| **ჰოკეი** | |
| **ავსტრია** | |
| ალბა-კლაგენფიურტი | 2:1 |
| ვენა-ვილახი | 2:3 |
| ზალცბურგი-აკრონი | 4:1 |
| ლინცი-ზაგრები | 3:1 |
| ოლიმპია-გრაცი | 2:5 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-შტრაუბინგი | 2:3 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 2:3 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 2:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| იოკერიტი-კიეკო | 1:3 |
| პელიკანსი-კალპა | 1:2 |
| ტაპარა-ჰიფკ | 1:5 |
| ტპს-ლუკო | 1:5 |
| ჰპკ-ილვესი | 3:2 |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 1:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| ფერერო-მელო | 6:1, 6:2 |
| ლორენსი-დანიელი | 1:6, 3:6 |
| ერნანდესი-ანდუხარი | 4:6, 1:6 |
| ანდრეევი-ფონინი | 7:5, 7:6 |
| კოლერერი-ვენტურა | 4:6, 2:6 |
| გასკე-ჩელა | 6:7, 5:7 |
| ვოლანდრი-მოია | 2:6, 5:7 |
| გრანოლერსი-ხუნკეირა | 6:1, 6:2 |
| მონტანიესი-კუევასი | 6:2, 6:2 |
| **ATP. მარსელი** | |
| სტახოვსკი-ბოლელი | 6:3, 3:6, 6:4 |
| მარჩენკო-ბემელმანსი | 4:6, 6:3, 6:2 |
| ლოდრა-როჟე ვასელენი | 6:7, 6:3, 6:4 |
| ბენეტო-ბოლი | 7:6, 7:6 |
| სიმონი-ო. როხუსი | 5:7, 2:6 |
| კლემანი-სეპი | 6:7, 5:7 |
| ისტომინი-კ. როხუსი | გადაიდო |
| **ATP. მემფისი** | |
| ლაჩკო-რეინოლდსი | 2:6, 7:6, 6:4 |
| გულბისი-კენდრიკი | 6:4, 6:4 |
| კოლშრაიბერი-კოროლიოვი | 5:7, 5:7 |
| ნიემინენი-სელა | 6:2, 7:5 |
| კარლოვიჩი-ბეკერი | 7:6, 7:6 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| ზაკოპალოვა-ალბანესე | 4:6, 7:6, 6:1 |
| სოლერი-ვეინეროვა | 3:6, 6:4, 6:2 |
| დე ლოს რიოსი-ზეც პეშკარიჩი | 6:4, 6:1 |
| ჰერცოგი-კასტანიო | 5:7, 2:6 |
| კორიტცევა-პოის ტიო | 6:3, 1:6, 6:1 |
| მეირი-საბალა | 6:1, 6:3 |
| პარმენტიე-დენტონი | 6:3, 6:2 |
| დუკე მარინო-არნი | 2:6, 6:0, 6:3 |
| სუარეს ნავარო-ანტონიიჩუკი | 1:6, 4:6 |
| დულკო-იოჰანსონი | 6:4, 6:4 |
| **WTA. დუბაი** | |
| რაზანო-პეერი | 2:6, 2:6 |
| ვოზნიაცკი-ციბულკოვა | 6:2, 7:6 |
| ბარტოლი-დულგერუ | 6:2, 6:1 |
| გრონეფელდი-მოლიკი | 6:4, 6:4 |
| პავლიუჩენკოვა-გარბინი | 4:6, 6:1, 6:2 |
| სკიავონე-გოვორცოვა | 4:6, 4:6 |
| იანკოვიჩი-რეზაი | 4:6, 6:4, 7:5 |
| პენეტა-პეტკოვიჩი | 6:3, 6:3 |
| აზარენკა-კ. ბონდარენკო | 6:1, 6:0 |
| ზვონარევა-ფლიპკენსი | 6:0, 6:0 |
| ნა ლი-მარტინეს სანჩესი | 7:6, 2:6, 6:4 |
| კულიკოვა-ვოგელი | 6:3, 6:0 |
| ვ. უილიამსი-ლისიცკი | 6:2, 6:3 |
| დემენტიევა-ჰანტუხოვა | 4:6, 1:6 |
| **WTA. მემფისი** | |
| ბალტაჩა-ვორაკოვა | 7:5, 6:1 |
| შპრემი-ჰრადეცკა | 6:4, 6:4 |
| გრენვილი-ვაიდიშოვა | 4:6, 2:6 |
| ოსტერლო-დუბუა | 3:6, 6:4, 6:4 |

TV პროგრამა

**17 თებერვალი. ოთხშაბათი**

**I არხი**

12:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი. კანადა.
18:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი. კანადა.
21:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. პორტუ-არსენალი (LIVE).
01:35 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. ვანკუვერი. კანადა.

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ფიორენტინა (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. პორტუ-არსენალი (LIVE).
04:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. შვედეთი-გერმანია. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

09:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. რუსეთი-ლატვია. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ფიორენტინა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. პორტუ-არსენალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

20:40 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. ზენიტი (რუსეთი)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი). საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

19:55 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. უნივერსიტეტი (რუსეთი)-ვაკიფ გიუნეში (თურქეთი). საპასუხო მატჩი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ფიორენტინა (LIVE).

**EUROSPORT**

22:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. თხილამურებით რბოლა. სპრინტი. კაცები. ქალები. კვალიფიკაცია. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
23:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. სწრაფდაშვება. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
00:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. თხილამურები რბოლა. სპრინტი. კაცები. ქალები. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
04:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ციგურებით სირბილი. კაცები. 1000 მ. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
05:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. შორტ ტრეკი. ქალები. 500 მ. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
07:15 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. სნოუბორდი. ჰაფ-პაიპი. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
09:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. მამაკაცები. ჩეხეთი-სლოვაკეთი. ვანკუვერი. კანადა (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
15:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).

ფორმულა 1

# 17 წლის გოგოს ფიქრები



17 წლის ბრიტანელ **ელის პაუელს** იმედი აქვს, რომ ბოლო 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში ფორმულა 1-ის პირველი ქალი პილოტი გახდება. ელისმა, რომელიც რვა წლის ასაკიდან გამოდიოდა კარტინგის რბოლებში, საჯინიბო Manor Competition-ის ყურადღება მიიპყრო. თავის დროზე, სწორედ ამ გუნდმა გაუკვალა გზა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონებს - ბრიტანელ **ლუის ჰემილტონსა** და ფინელ **კიმი რაიკონენს**. 2009 წელს პაუელი „ფორმულა-რენოს" ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახდა.

*„ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც ავტომრბოლი ბიჭები არიან - მაქვს ორი ხელი და ორი ფეხი... არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ მე მათი დამარცხება არ შემიძლია. სპორტის ამ სახეობაში რომელიმე გოგონამ წარმატებას რომ მიაღწიოს, მაშინ აქ სუსტი სქესის უფრო მეტ წარმომადგენელს ვიხილავთ. არ არსებობს მიბაძვის ობიექტი, თანაც მშობლებს ეს სპორტი სახიფათოდ მიაჩნიათ და თავიანთ ქალიშვილებს უკრძალავენ იქ გამოსვლას",* - ამბობს ელის პაუელი „თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.



# ალონსო სახლს იცვლის

„ფერარის" ახალწვეული, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** საცხოვრებელ ადგილს იცვლის, - წერს შვეიცარიული გაზეთი Blick.

ფორმულა 1-ის პილოტთა დიდი ნაწილი მშვიდ შვეიცარიაში ცხოვრებას ამჯობინებს. ამ ქვეყანას შემთხვევით არ უწოდებენ მილიონერების სამოთხეს. ბოლო დრომდე ესპანელი პილოტი ქვეყნის დასავლეთით, დაბა მონ-სიურ-როლში ცხოვრობდა, მაგრამ ახლა ქალაქ ლუგანოს რაიონში გადავიდა. სხვათა შორის, იქვე ახლოს „ფერარის" ბაზა მდებარეობს.

როგორც გაზეთი იტყობინება, ფერნანდო იტალიელ პილოტ **იარნო ტრულისთან** ახლოს დასახლდა, რომელსაც სახლი აქვს იტალიის ჩრდილოეთით. ასევე ალონსოს მეზობლები იქნებიან „ფორს ინდიას" წევრი **ვიტანტონიო ლიუცი** და ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **მიკა სალო**.

# შუმის ექიმი აღარ სჭირდება



ვალენსიაში წინასასეზონო ტესტებისას მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ **მიხაელ შუმახერს** თან ახლდა ექიმი **იოჰანეს პეილი**. იმ დროს გერმანული პრესა წერდა, რომ 41 წლის ლეგენდარულ ავტომრბოლს ექიმის დახმარება იმისთვის სჭირდებოდა, რომ იოჰანესს მუდმივად შეემოწმებინა „წითელი ბარონის" კისრის მდგომარეობა, რომელიც მიხაელმა შარშანდელ სეზონში მოტოციკლიდან ჩამოვარდნისას დაიზიანა.

*„მისი დახმარება აუცილებელი იყო იმის გასაგებად, რამდენად მზად ვიყავი ახალი სეზონისთვის. ახლა ყველანი დავრწმუნდით, რომ ექიმის მეთვალყურეობა აღარ მჭირდება - ფიზიკურად მზად ვარ მომავალი ჩემპიონატისთვის",* - განაცხადა შუმიმ.

მართლაც, ხერესის ტესტებზე „მერსედესის" ბოქსებში **იოჰანეს პეილი** აღარავის უნახავს.

კრივი

# ყოფილი ჩემპიონი კოკაინზე ჩავარდა



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ოლივერ მაკოლი** ორი დღის წინ ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ-ლოდერდეილის პოლიციამ დააპატიმრა. მოკრივეს კოკაინის შენახვა ედება ბრალად.

გუშინ, 44 წლის მაკოლს ფლორიდის შტატში მორიგი საკრივო შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა. მისი მეტოქე ამერიკელი **ზური ლოურენსი** გახლდათ. მაგრამ ეს ბრძოლა ჩაიშალა, რადგან პრომოუტერებმა მოკლე ვადებში ვერ მონახეს დაპატიმრებული ოლივერის შემცვლელი.

რამდენიმე კვირის წინ, მაკოლი სუპერმძიმე წონის ელიტაში დაბრუნების შესახებ ელაპარაკა ჟურნალისტებს. ის წელს სამი-ოთხი ბრძოლის ჩატარებას აპირებდა, რის შემდეგაც ჩხუბში გამოიწვევდა ძმებს **კლიჩკოებიდან** ერთ-ერთს. მაგრამ ახლა თამამად შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ ამერიკელის საკრივო კარიერა დასრულებულია.

ადრე მაკოლი ნარკოტიკულ მიდრეკილებაზე მკურნალობდა, 2006 წელს კი ტენესის შტატში ანალოგიური ბრალდებით დააკავეს.

■ ■ ■

სანამ მაკოლი პოლიციასთან არკვევს ურთიერთობას, ცნობილმა ამერიკელმა მძიმეწონოსანმა **კრის არეოლამ** მორიგი ბრძოლა დანიშნა. ახალგაზრდა მოკრივე (28-1, 25KO) 24 აპრილს გავა რინგზე და პრინციპულ მოწინააღმდეგეს - **ტომაშ ადამეკს** (40-1, 27KO) დაუპირისპირდება.

მომავალ პარასკევს ლოს ანჯელესში ოფიციალური პრესკონფერენცია გაიმართება, სადაც კონტრაქტის დამატებით დეტალებს გაახმოვანებენ. შეხვედრა კალიფორნიის შტატის ქალაქ ონტარიოში, Citizens Business Bank-ის არენაზე გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**







